жений указывает на достижение тесного контакта между собеседниками, взаимную заинтересованность в обсуждаемой теме. И, напротив, - развернутые формулы, большое количество сложных предложений – создают главную дистанцию между коммуникантами.

Продолжительность разговора тоже оказывает влияние на характер беседы. Как правило, короткая самопрезентация и изложение проблемы произносится официальным тоном. Официальный тон выглядит самым нейтральным по сравнению с намеренно дружеским или нарочито грубым. Однако в длительной беседе официальность тона не может сдерживаться на протяжении всей беседы, и поэтому возникают разговорные эпизоды.

Построение «*мы - дискурса*» носит социальный характер 0020 и основано на социальных дейктических маркерах.

К таким социальным дейктикам относятся, прежде всего, так называемые идентификационные формулы, языковые обороты: *личные и притяжательные местоимения; лексемы со значением совместности (вместе, единство); собирательные лексемы с компонентом совместности; этнонимы; топонимы; сравнительные обороты со значением причастности.*

Изучив понятие языка, его социального статуса, как основу полагающую категорию для выявления и анализа социального дейксиса дискурса массовой коммуникации, мы видим, что существенным каналом выражения статусных отношений наравне с вербальными социальными дейктическими маркерами является невербальная коммуникация фонация, кинесика, проксемика, молчание и невербальные действия, сопровождающие речь. Индексы социального статуса коммуникантов – служебное положение, материальные личные заслуги, возраст – находят свое отражение в процессе коммуникации. Все они учитываются при выборе обращений, именовании на интонационном и грамматическом уровнях. Категория вежливости в языке является второй основополагающей категорией для выявления маркеров социального дейксиса. Различия в стратегиях вежливости соответствуют различно в статусной индикации на персональном и социальном уровнях.

И еще основополагающим является тот факт, что в условиях масс-медиа дискурса существует социальная детерминированность мены коммуникативных ролей. Коммуникативная инициатива рассматривается нами как средство выражения социального дейксиса.

Градации отношений между участниками кодируются через выбор форм обращения, играющих важную социально- дейктическую роль. Градации отношений в английском языке кодируются через выбор местоимений. К традиционным социальным дейктическим элементам местоимениям первого и второго лица мы

относим и местоимения третьего лица. Информация о социальном статусе референтов включена в значение местоимений – этот факт становится очевидным.

Социальная индикация общения, социальные дейктические единицы находят выражение как в вербальной, так и невербальной коммуникации. О наибольшей важности невербальных, либо вербальных социальных маркерах судить достаточно сложно в связи с тем, что их существование неразделимо – параллельно.

Нами были выявлены социальные дейктические элементы в масс-медиальном дискурсе. Среди них особое внимание мы обратим на категорию вежливости в языке обращение как индекс социальных отношений между участниками коммуникации, грамматическую структуру предложения, принцип сотрудничества / кооперации. Совершенно очевидно, что социальная обусловленность языка, давно ставшая аксиомой лингвистики, выражается в том, что определенные языковые средства приобретают функции социальных символов – маркеров принадлежности говорящего в той или иной социальной среде. Даже в тех ситуациях общения, когда речевые единицы являются преобладающими, доминирующими способами выражения и трансляция смыслов, последние оформляются структурно и кодируются не одними только языковыми средствами, но и знаковыми элементами поз, мимики и знаковыми движениями различных частей тела. Важную роль здесь играют соотношения с обозначаемым объектом.

Д. Макния утверждает что жесты возникают на ранней стадии построения сообщения, или в его терминологии, коммуникативной динамике, то есть тогда же, когда порождается языковой материал. По его словам, жестовые знаки проходят путь от когнитивного представления через образную репрезентацию смысла к выражающему его моторной артикуляции, при этом постоянно соединяясь и взаимодействуя с речью.

Между жестовыми и естественными языками наблюдается определенное сходство. Параллельное существование и взаимодействие тела и языка слов в коммуникативном акте возможно в силу того, что глубинные процессы, лежащие в основании вербальной и невербальной деятельности человека по всем видимости аналогичны. Об этом говорят следующие факты:

В определенных условиях смысл может выражаться только жестами:

ИМ: Yes this Russia doesn't accept this law and it is strange for me to hear it. Sergey Michalech meets with the President regularly enough. He is the third person in the government. If he considers that this law is good and he hasn't got any difficulty to persuade the president in it, and

ОМ: (*wipes his beard*)

УМ: / and through the use of researches of the President ...

OM: Remember, it isn't me who said it.

Практически любой элемент вербального поведения как элемент языка, может стать компонентом соглашения и обрести значение.

ЛИТЕРАТУРА

1. Якобсон Р. Шифтеры. глагольные категории и русский глагол // Принципы типологического анализа языков различного строя / Отв. ред. О. Г. Ревзина.- М.: Наука, 1972. С. 95 - 113.
2. Bean S. S. Symbolic and Pragmatic Semantics: A Kannada System of Address.- Chicago, 1978.
3. Brown G., Yule G. Discourse Analysis. Cambridge, 1983.
4. Brown P., Fraser C. Speech as a marker of situation // Social markers in Speech.- Cambridge, 1979. P. 33-38
5. Brugmann K. Die Demonstrative Pronomina der indogermanischen Sprachen. -Leipzig: Gruyter, 1904. 144 с
6. Dijk T. A. van Discourse as Social Interaction. London, 1997.
7. Fillmore C. J. Pragmatics and the description of discourse // Radical Pragmatics. New York, 1981, P. 143-166.
8. Fillmore C. J. Santa Cruz Lectures on Deixis. Bloomington, 1975
9. Lakoff R. T. Remarks on this and that // Berkeley studies in syntax and semantics. L.: The MIT Press, 1974. - P. 345-356.
10. Levinson S.C. Pragmatics. Cambridge: Cambridge Univ. Press, 1983. - P. 85-160.
11. Lyons J. Deixis and the cause of reference // Formal semantics of natural language./ E.L. Keenan (ed.). Cambridge: Cambridge Univ. Press, 1975. - P. 28-37.
12. Pierce C.S. Collected papers of C.S. Pierce Cambridge: The Beknap Press of Harvard Univ.Press, 1960. - Vol. II. - 535 p.
13. Rauch G. Aspects of Deixis // Essays on Deixis/ G. Rauch (ed.). Tubingen: Narr, 1983.-P. 9-60.
14. Renkema J. Discourse Studies: An Introductory Textbook. Amsterdam, 1993.169. Renkema, 1993.

SOCIAL DEIXIS AS ONE OF THE KINDS OF DEIXIS IN ENGLISH.

Mahmudova.Sh.A.

Azerbaijan university of languages

SUMMARY

This article deals with the social deixis, its being one of the kinds of deixis in English. Social deixis is connected with the coding of social differences among the

participants, firstly relations between the speaker and the addressee. Graduation of relations in English is coded through the choice of pronouns. We refer the third person pronoun to the traditional social-deictic elements of first and second pronouns.

TRANSLATION AS INTERPRETATION

Tamar Mebuke

Georgian Technical University

Key words: translation, interpretation, equivalence of meaning


In the book *Experiences in translation* Eco mentions (2001: 74) that the term *translatio* first appears in the sense of “change”, even of address, “transport,” banking operation, botanical graft, and metaphor. Only in Seneca does it appear as a turning from one language into another. Likewise *traducere* meant “to lead beyond.” The passage from transporting something from one place to another to translating from one language to another seems to be the result of an error by Leonardo Bruni, who had interpreted Aulus Gellius (*Noctes* 1, 18) incorrectly: “*Vocabulum Graecum vetus traductum in linguam Romanam*,” where this means that the Greek word had been transported or transplanted into Latin. In any event, *tradurre* in its modern sense was common currency in the fifteenth century, and it supplanted (in Italian and French, at least) *translatare*. English, on the contrary, transported – in the ancient sense of *traducere* – the Latin *translatare* into its lexicon, thus coining *to translate*.

In the essay on linguistic aspects of translation, Jakobson (1959) stated that there are three types of translation: intralinguistic, interlinguistic, and intersemiotic. Intralinguistic translation (or rewording) is defined as “*an interpretation of verbal signs by means of other signs of the same language*.” In terms of Jakobson, intralinguistic translation is *rewording* – saying something using words from one’s own language. Intralinguistic translation includes most of the phenomena of interpretation defined by Peirce, and so the meaning of an expression can be interpreted by another expression, and the meaning of that second expression in its turn by another still, and so on potentially *ad infinitum*, except for the cases in which the chain of interpretants ends up as the final logical interpretant, that is, the formation of *a habit*, which leads us to act on reality, and this habit in its own turn is an interpretation of the original expression.

Interlinguistic translation occurs when a text is translated from one language to another; in other words, when we have *an interpretation of verbal signs by means of signs of some other language* (which is translation proper).

Intersemiotic translation occurs when we have *an interpretation of verbal signs by means of signs of non-verbal sign systems*, and therefore when a novel is “translated” into a film, for example, or a fairy tale into a ballet. Jakobson proposed to call this form of translation “*transmutation*.”

On the grounds of Jakobson’s proposal Eco (2001: 68) draws the following diagram:



Peirce regards any type of translation as interpretation. In *Collected Papers* (4.127) he specifically reiterates his central idea that the meaning of a sign is expressed by its interpretation through another sign. Here Peirce is emphasizing that the meaning of an expression is (or can only be rendered explicit by) „*a second assertion which all that follows from the first assertion equally follows, and vice-versa*“. The central point of his reasoning is that in agreement with the pragmatic maxim, the principle of interpretance establishes that every more or less elusive „equivalence“ between two expressions can only be given by the identity of consequences that they imply or make implicit. Peirce, in the same context, asserts that *meaning*, in its primary sense, is a „*translation of a sign into another system of signs*“. Thus, Peirce assumes „translation“ as a synecdoche for „interpretation.“ To explain what *to interpret* means, Peirce develops the following argument:

1. Meaning results when one expression is replaced by another expression from which follow all the illative consequences that follow from the first.
2. If you do not understand what I mean, think of what happens in a process whose laboriousness is obvious to anyone, and that is the ideal translation of a sentence from one language to another language, in which it is presumed or demanded that all the illative consequences from the expression in the target language follow all the illative consequences that follow from the expression in the source language.
3. Translation from language to language is the most obvious example of how we try to say the same thing using different sign systems.

4. This capacity, and this interpretative laboriousness, do not concern only translation from language to language, but also all attempts to make the meaning of an expression clear.

Paolo Fabbri (1998: 115-116) asserts that „*the act of translation is the first act of signification, and that things signify thanks to an act of translation internal to them.*“ Fabbri suggests that the translation principle is the basic motivating force of semiosis, and therefore that every interpretation is in the first place translation. Furthermore, the process of interpretation can render explicit that which was implicit. If the concept of interpretation is to be assumed in its widest sense, it is clear that translation, at least in the sense of interlinguistic translation, is only a very limited type of interpretation.

Speaking about interlinguistic translation, Eco (2001: 8-9) distinguishes between „faithful“ and „literal“ translation. A good translation is not concerned with the denotation but with the connotation of words. The word connotation is an umbrella term used to name many kinds of non-literal senses of a word, of a sentence, or of a whole text. That words, sentences, and texts usually convey more than their literal sense is a commonly accepted phenomenon, but the problems are: 1 how many secondary senses can be conveyed by a linguistic expression, and 2 which ones a translator should preserve at all costs.

Equivalence in meaning cannot be taken as a satisfactory criterion for correct translation, first of all because in order to define the still undefined notion of translation one would have to employ a notion as obscure as equivalence of meaning, and it is commonly thought that meaning is that which remains unchanged in the process of translation.

Although there is no absolute synonymy for lexical items, different sentences in different languages can express the same proposition. As Eco (2001: 38-39, 42) writes: *Every sentence (or short sequence of sentences) of a discourse conveying a story can be summarized (or interpreted) by a microproposition.* The hypothesis is that one can change the literal meaning of a single sentence in order to preserve the meaning of the corresponding micro-propositions, but not the sense of major propositions. In certain cases, we are faced with a dilemma: if we wish to save something, we lose something else.

Although in translation the critical attitude of the translator is in fact implicit, and tends to be concealed, in *Experiences in Translation* Umberto Eco defines translation as „*The art of saying almost the same thing.*“ However, this „almost“ could be the subject matter of thousands of books. Susan Petrilli (2000) defined the art of translation as „*indirect speech hidden behind direct speech.*“ On the other hand, Gérard Genette (1982), reflecting on the subject of translation, compares it to palimpsest, which in Ancient Greek means „*recorded again.*“ In other words, according to Genette translation is a text that

nonetheless maintains traces of a previous writing - that of the original author - that have been expressly erased to give room to the writing that exists today - that of the translator.

Since the translated text can never reproduce the meaning of the original, we have to rely on the feeling that all languages somehow converge (Eco 2001: 10). All languages – each taken as a whole – intend one and the same thing, which, however, is not accessible to any one of them but to the totality of their mutually complementary intentions. As Derrida (1985) said: *Translation, the desire for translation, is not thinkable without this correspondence with a thought of God.*

If it is possible to speak of equivalence in meaning, one should then say that every language has its own genius (as Humboldt said) or, rather, that every language expresses a different world-view (Sapir-Worf hypothesis). Linguistic systems seem to be mutually incommensurable. Incommensurability, however, does not mean incomparability, and the proof is that we are able to compare different language systems as far as related matters are concerned.

Translation is not only connected with linguistic competence, but with intertextual, psychological, and narrative competence. Similarity in meaning can only be established by interpretation, and translation is a special case of interpretation, in Pierce's sense. To substitute a given expression with a series of interpretants means that the substituting expressions are never equivalent to the one substituted, since they can say more according to one context and less according to another.

Eco asserts (2001: 14, 16) that translations do not concern a comparison between two languages but the interpretation of two texts in two different languages. *Interpreting means making a bet on the sense of a text, among other things. This sense that a translator must find – and preserve, or recreate – is not hidden in any pure language. It is just the outcome of an interpretative inference that can or cannot be shared by other readers.*

Additionally, translation is always a shift, not between two languages, but between two cultures – or two encyclopedias (Nergaard 1995). As in translation a Source Text is transformed into a Target Text, translation can be either target or source oriented. What is more, translating sometimes means rebelling against one's own language, when it introduces effects of sense that were not intended in the original. If the translator were to insert a play of words, he or she would be betraying the intentions of the source text (Eco 2001: 46).

While we tend to accept verbal language as the most powerful system of all (according to Lotman, it is the primary modelling system), we are nonetheless aware that it is not wholly omnipotent. The form of a linguistic expression cannot be mapped one to one onto another continuum (Eco 2001: 98). Humboldt was the first to speak about the way in which a translated text can change the target language. It is extremely important

to study the role of translation within the context of a receiving culture, but from this point of view a translation becomes a purely internal affair of the target language, and all the linguistic and cultural problems posed by the original become irrelevant.

There are translations that splendidly enrich the target language and that, in cases that many consider to be felicitous, manage to say more (in other words, are richer in suggestion) than the originals. As Humboldt had already suggested, translating means not only leading the reader to understand the language and culture of the original, but also enriching one's own, there can be no doubt that in every translation of a creative work it leads the language to express what it was unable to express before, translation makes a language take a step forward.

BIBLIOGRAPHY

1. Derrida, Jacques 1985 Des tours de Babel. In: Differences in translation. Ithaca: Cornell UP
2. Eco, Umberto 2001. Experiences in Translation. University of Toronto Press Incorporated
3. Fabbri, Paolo 1998 La svolta semiotica. Bari: Laterza
4. Gennet, Gerard 1972 Figures III. Paris: Seuil
5. Gennet, Gerrard 1982 Palimpsestes. La literature au second degree. Paris: Seuil
6. Humboldt, Wilhelm von 1816 Einleitung. In: Aeschylus. Agamemnon metrisch Uebersetzt. Leipzig: Fleischer 125-142
7. Jakobson, Roman 1959 Linguistic Aspects of Translation. In: Brower, ed. 1959: 51-62
8. Nergaard, Siri 1995 Teorie contemporane della traduzione. Milano: Bompiani.
9. Peirce, Charles S. 1931-1948 Collected Papers. Cambridge:Harvard UP
10. Petrilli, Susan 2000 La traduzione. Athanor X, 2, 1999-2000
11. Petrilli, Susan 2001 Lo stesso altro. Athanor XXII, 4.
12. Steiner, George 1975 After Babel. London: Oxford UP

TRANSLATION AS INTERPRETATION

Tamar Mebuke

Georgian Technical University

Abstract

Following Jakobson (1959) we consider three types of translation: intralinguistic (or rewording i.e. an interpretation of verbal signs by means of other signs of the same language), interlinguistic (an interpretation of verbal signs by means of signs of some other language i.e. translation proper) and intersemiotic (an interpretation of verbal signs

by means of signs of non-verbal sign systems). Any type of translation is in a way interpretation as the meaning of a sign is expressed by its interpretation through another sign. Translation from language to language is the most obvious example of how we try to say the same thing using different sign systems and a good translation is not concerned with the denotation but with the connotation of words. That is why Umberto Eco defines translation as *"The art of saying almost the same thing."* Similarity in meaning can only be established by interpretation, and translation is a special case of interpretation, in Pierce's sense.

Translating means not only leading the reader to understand the language and culture of the original, but also enriching one's own, as in every translation of a creative work it leads the language to express what it was unable to express before, translation makes a language take a step forward.

თარგმანი როგორც ინტერპრეტაცია

თამარ მეზუკე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

იაკობსონის მიხედვით არსებობს სამი სახის თარგმანი: შიდაენობრივი (ენობრივი ნიშნების ინტერპრეტაცია იგივე ენის სხვა ნიშნებით), ენათაშორისი (სიტყვიერი ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნებით -- თვით თარგმანი), და სემიოტიკური სისტემების შორისი (სიტყვიერი ნიშნების ინტერპრეტაცია არასიტყვიერი ნიშანთა სისტემების ნიშნებით). ასე რომ ნებისმიერი თარგმანი წარმოადგენს ინტერპრეტაციას ვინაიდან ნიშნის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სხვა ნიშნით ინტერპრეტაციით. ამის გამო უმბერტო ეკო განსაზღვრავს თარგმანს როგორც „თითქოს იგივეს თქმის“ ოსტატობას, ვინაიდან მნიშვნელობის მსგავსება დგინდება ინტერპრეტაციის გზით, და თარგმანი, პირის განსაზღვრით, წარმოადგენს ინტერპრეტაციის კერძო შემთხვევას.

თარგმანი აძლევს მკითხველს არა მხოლოდ ორიგინალის ენის და კულტურის გაგების საშუალებას, არამედ თავისი კულტურის და ენის გამდიდრების საშუალებას, ვინაიდან ნებისმიერი ინოვაციური ნაშრომის თარგმნის დროს ენა იძულებული ხდება გამოხატოს ის, რისი გამოხატვა მას არ შეეძლო, რაც ემსახურება ენის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ინტერპრეტაცია, მნიშვნელობის ეკვივალენტობა.

Перевод как интерпретация

Тамар Мебуке,

Грузинский Технический Университет

Резюме

Вслед за Якобсоном (1959) мы рассматриваем в статье три вида перевода: внутриязыковый (интерпретация языковых знаков посредством других знаков того же языка), межязыковый (интерпретация словесных знаков посредством знаков иного языка, т.е. собственно перевод) и межсемиотический (интерпретация словесных знаков путем знаков неязыковых знаковых систем). Таким образом, любой вид перевода является интерпретацией, поскольку значение знака выражается путем его интерпретации через другой знак. По этой причине Умберто Эко определяет перевод как искусство «сказать почти то же самое» поскольку сходство значения достигается путем интерпретации, а перевод является частным случаем интерпретации (по определению Пирса).

Перевод дает возможность читателю не только возможность понять язык и культуру оригинала, но и обогатить свою собственную, поскольку при переводе любой новаторской работы язык вынужден выражать то, что он ранее не был способен выразить, что ведет к развитию языка перевода.

Ключевые слова: перевод, интерпретация, эквивалентность значения

გიუნტერ გრასის შემოქმედების პრობლემები ტრანსლატიკური პარადიგმის შუქში

გიუნტერ გრასის ნაწარმოებების „დედალი ვირთაგვა“, „კიბორჩხალას ნაბიჯით“
ქართულად თარგმანის მაგალითზე

ნინო ფალავანდიშვილი, დოქტორანტი

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ასპექტები, კონოტაციური, წყარო-ტექსტი, დენოტა-
ტიური უნივერსალიები.

გიუნტერ გრასი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ წამყვან პოსტმოდერნისტ მწერლად მოიაზრება. მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია თითქმის ყველა ის ნიშან-თვისება, რაც პოსტმოდერნისტულ ლიტერატურას ახასიათებს: თავისუფალი ფორმები, მოქმედება, განუსაზღვრელობა, ირონია, ინტერტექსტი, ორმაგი კოდირება, წერილი, მცირე ისტორია, მოულოდნელობებით დატვირთული.

ჩვენი ნაშრომის მიზანია გიუნტერ გრასის ნაწარმოებების „დედალი ვირთაგვას“ და „კიბორჩხალას ნაბიჯით“ ქართულ თარგმანთა კრიტიკული ანალიზი, ქართული თარგმანების ეკვივალენტურობის კვლევა, ტრანსლატიკის კოგნიტიური და სემიოტიკური ასპექტები.

ამოცანა კი გახლავთ ტექსტის თარგმანი შევადარო ორიგინალს და კონტრასტული მეთოდის დახმარებით, დავაკვირდეთ, როგორ ხდება ტექსტის საზრისის გადმოცემა თარგმანის ენაზე, რამდენად ადეკვატურია წყარო-ტექსტის სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურების გამოვლინება მიზან-ტექსტში კონვერგენტულ-დივერგენტული მახასიათებლების დონეზე. კვლევის დროს გამოყენებული კონტრასტული მეთოდი, ემყარება ორი ენის, ამ შემთხვევაში გერმანული და ქართული ენების შედარებით კვლევას და გამოავლენს სათარგმნი ანუ წყარო-ტექსტის ადეკვატურობის ხარისხს თარგმნილ ტექსტთან შედარებით.

ამ მიზნით ანალიზის პროცესში განვიხილავ ლექსიკას, რომლის საშუალებითაც მთარგმნელი ქმნის თარგმანის ტექსტის საზრისს. რა თქმა უნდა, „საზრისში“ არ ვგულისხმობთ სიტყვებისა და სიტყვათშეერთების იმ მნიშვნელობებს, რომლებიც შეტანილია ლექსიკონებში. მხედველობაშია სიტყვათა კონოტაციური მნიშვნელობები, რომელთა რეალიზაციასაც მთარგმნელი ახდენს

ასოციაციების დონეზე, სიტყვების დენოტატიური მნიშვნელობების გააზრების საფუძველზე.

ტექსტების შედარება ხდება შერჩეული პასაჟების მიხედვით, რაც ითვალისწინებს იმის დადგენას, თუ რამდენად ახერხებს მთარგმნელი ქართული ტექსტის ვრცელი მონაკვეთების კოჰერენციის შენარჩუნებას და მის ცალკეულ წინადადებებში სინტაქსურ სტრუქტურებს შორის რელაციებს შორის კოჰეზიის დაცვას.

კონტრასტული ანალიზის ობიექტს წარმოადგენს გიუნთერ გრასის რომანებში „დედალი ვირთაგვა“ და „კიბორჩხალას ნაბიჯით“ ორიგინალში მწერლის მიერ გამოყენებული ლექსიკის, სინტაქსის, სემანტიკისა და ფრაზეოლოგიზმების დონეები და მათი შესაბამისი სტრუქტურები თარგმანის ტექსტში. (ქართულად ნაწარმოებები ითარგმნა მთარგმნელ ნანა გოგოლაშვილის მიერ) თარგმნის პროცესში მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის შინაარსის სამ სახეობაზე, ესაა: ტექსტის „სამყაროსეული სურათი“, სიტყვის მნიშვნელობა და ტექსტის საზრისი. თარგმანის მიზანია, წყარო-ტექსტის „სამყაროსეული სურათი“ დატოვოს უცვლელად და ამრიგად, მისი საზრისი გადმოიცემა სიტყვათა განსხვავებული მნიშვნელობების საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ თავად სიტყვა „დედალი ვირთაგვა“ (Die Raettin) გიუნთერ გრასის სიტყვათწარმოებითი შემოქმედების შედეგია, რადგან გერმანულ ენაში არსებობს მხოლოდ სიტყვა „ვირთხა“ (Die Ratte), რომელიც მდედრობითი სქესისაა და სქესებს შორის განსხვავების კონოტაცია არ გააჩნია. ავტორი უკვე წყარო-ენის დონეზე ქმნის თავად ცნების პრობლემას. ცნობილია, რომ გერმანულ ენაში არ არსებობს სიტყვა „die Rättin“ და იგი გ. გრასის მდიდარი სიტყვათ-შემოქმედების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს. ლექსიკონებში ვხვდებით მხოლოდ სიტყვას „die Ratte“, რომელიც ქართულად ითარგმნება როგორც „ვირთხა“ ან „ვირთაგვა“. ეს სიტყვა გერმანულში მდედრობითი სქესისაა და მხოლოდ ამ ფორმით იხმარება.

ამრიგად მთარგმნელის წინაშე იდგა ამოცანა, რომ ქართულ თარგმანში არ დაკარგულიყო ავტორის ჩანაფიქრი, მისი ზუსტი ეკვივალენტის არ არსებობის გამო, რომანის სათაური საზრისის დონეზე გადმოეცა, და, ამით ავტორის მსგავსად, შესაძლებლობა ჰქონოდა, ტექსტის თარგმანში ტერმინოლოგიურად გამოეყო სიტყვა „დედალი ვირთაგვა“ სიტყვა „ვირთხისაგან“ განსხვავებით, რადგან მათ სიუჟეტის თანახმად, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება ეკისრებათ. როგორც შემდგომ, თარგმანის ტექსტი ადასტურებს, სიტყვა „დედალი ვირთაგვა“ მისი ინტეგრალური ელემენტი და შინაარსობრივი ქარგის აქტუალიზატორი ხდება.

გ.გრასის სიტყვათშემოქმედების ნიმუშია ასევე ცნება „Watsonkricks“ = “

უოტსონკრიკები“ , რომელიც მან შექმნა დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეიმჟავის, ანუ გენის ორმაგი სპირალის ფორმულა) ავტორების უოტსონისა და კრიკის მიხედვით, ახალი ტიპის „ადამიანი-ვირთხის“ აღსანიშნავად, რომლებიც ტექსტში „დიდი ზათქის“ შემდეგ დაეპატრონებიან დედამიწას.

სიტყვები: „Watsonkricks“, „Marnippels“ da „Nippels“ Rattensch, oder Menschratte". ტექსტში გამოყენებულია საგანგებო სემანტიკური ველის შესაქმნელად, რომელიც ავტორს სჭირდება ვირთხების და ადამიანი-ვირთხების, ანუ „მანიპულების“, იმავე „ნიპულების“ დასაპირისპირებლად. ეს არის სემანტიკური ველი, რომელზეც შემდგომ მწერალი აგებს შინაარსს.

საინტერესო ნიმუშია მთარგმნელის მიერ ამ ნაწარმოებებში გამოყენებული მეტაფორები, რომლებიც აზრობრივი ეკვივალენტობის მაგალითებს წარმოადგენენ. ამით მთარგმნელში ემოციურ სიმძაფრეს აძლევს ტექსტს და ამავე დროს თხრობის ესთეტიკური მხარესაც ითვალისწინებს მეტაფორის შინაარსის სწორი ამოცნობა კი დიდწილად დამოკიდებულია მკითხველის ალლოზე, მის გონებრივ უნარზე და მხატვრული გემოვნების განვითარებაზე . მოვიყვან ერთ მაგალითს „დედალი ვირთავა“ Es sind die jungen Mastratten, vormals schmackhaft genannt, die das Deck und die Niedergaenge mitthilfs, zum Burgraum besetzt halten...es ruehrt zu sehen, wie sie mit schwachen Gesten die Mastratten auffordern, das wrack zu raeumen. Ihre weizenblonde Behaarung ist fahl, lehmig geworden und zottelt verfilzt” (G. Grass, 1986, 502), ახლა გემის ყველა კუთხე კუნჭული იმ ჩაკურატებულ, ჯეელ ვირთხებს დაუკავებიათ, ცოტა ხნის წინ „გემრიელ ლუკმას რომ ეძახდნენ.....გული გიკვდება, როცა ხედავ არაქათგამოცდილები როგორ მოუწოდებენ ჩაკურატებულ ვირთხებს, გემი დატოვონ. თავთუხიანი ბალახი გამოუხუნებიათ, გასთხელებიათ და ახლა ბუწუწებიდა ჰკიდიათ ტანზე (გ. გრასი, 2011, 475).

ნოველა „კიბორჩხალას ნაბიჯ“-ში გერმანული ზმნის «abknallen» - ჩაცხრილვა თარგმნისას, მთარგმნელმა კონოტატიური შეფერილობა მისცა და კიდევ უფრო გაამძაფრა ქართული სიტყვით „დამბრიდო“ «Nein, nächstens darfst du mich abknallen» (G. Grass, 2004, 49) „არა, შემდეგ ჯერზე შეგიძლია თავად დამბრიდო“ (გ. გრასი, 2008, 60).

„შენამდე ეს არ დავიდა“ (გ. გრასი, 2008, 37 ეს ქართულში ფრაზეოლოგიზმია, გერმანულში კი ჩვეულებრივი წინადადება. ენა იძლევა საშუალებას, მთარგმნელმა მსგავსი ილეთები აკეთოს.

„der Gedanke aufgekommen“ (G. Grass 2004, 170) აეკვიტა ფიქრი (გ. გრასი, 2008, 23), der letzte Gruss entboten wurde”(G. Grass 2004, 35) „პატივი მიაგო“ (გ. გრასი, 2008, 43)

„Als ware seitdem ich ein Haufen Zeit bachuntergegangen“ (G. Grass 2004,) „თითქოს უამრავ წყალს არ ჩაევლოს (გ. გრასი, 2008, 16)

„KeineAurede mag“ (G. Grass 1986,7) „სიტყვის ბანზე აგდება არ უყვარს“ (G. Grass 1986, 7)

„wieso es blechen muss“ (G.Grass 2004, 21) „როდის უნდა გაიკრას ჯიბეზე ხელი“ (გ. გრასი, 2008, 27) როგორც ვიცით შეიძლება მოხდეს წყარო ენის ფრაზეოლოგიზმის ან იდიომის მიზან ენაზე რამდენიმეჯერადი ტრანსფორმაცია, შეიძლებოდა ეს იდიომა სხვაგვარადაც თარგმნილიყო, მაგრამ ზემოდ მოყვანილ მაგალითებში მთარგმნელს ავტორის სათქმელი გამოხატული აქვს შესაფერისი ქართული ფრაზეოლოგიზმებით. მთარგმნელის კრეატიულ მიდგომაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას შეუძლია წყარო-ტექსტის ნეიტრალური გამონათქვამი. მიზან-ტექსტში იდიომით ან ფრაზეოლოგიზმით შეცვალოს. „Sie spielt mit meinen Aengsten, die ihr handlich sind. Also rede ich gegenan“ (G. Grass 1986,9) „შიშით შეპყობილს მეთამაშება და ეს ერთობ მარჯვედ გამოსდის. მე კი კრიჭაში ვუდგები“.

მხატვრული თარგმანისათვის ხშირია შემთხვევები, როდესაც მეორე ენაში არ არის მსგავსი სტილისტური შეფერილობის სიტყვები. ამ შემთხვევაში მთარგმნელი მიმართავს ნეიტრალურ ლექსიკურ ერთეულებს „Sie machte „ainjetaeperte Feneten“, guckte dann normal und gab ihrer freundin Jenny, die wieder mal den richtigen Riecher geahbt hatte recht; „Was in ons rdin steckt im Kopp ond keberall, das beeste muss raus...““ (G. Grass 2004, 212) „დედამ თვალეზი თავისებურად გადაატრიალა; მერე ჩვეულებრივად შემომხედა და აღიარა: „ჩემს მეგობარ ჯენის ალლო არასოდეს ღალატობდა, და, ამჯერადაც მართალი გამოდგა, როდესაც მითხრა: „რაც კი თავში ბოროტება გვიზის, გარეთ უნდა გამოიდევნოსო“ (გ. გრასი, 2011, 212)

როდესაც მთარგმნელი გადადის სინტაქსზე, გრამატიკულ უნივერსალიტეტებზე, რომელიც ყველა ენისათვის უნივერსალურია მთარგმნელს ხშირად უხდება აზრის გამოხატვა შესაბამისი ქართული სინტაქსური სტრუქტურებით.

როგორც ვიცით აზრის გამოხატვა შეიძლება ზმნის აქტიური და პასიური ფორმებით. გერმანულისათვის უფრო დამახასიათებელია პასიური კონსტრუქციები, ეს არის ენის შინაგანი ბუნება. ქართული ზმნა ვერ იტანს პასიურ ფორმებს, მთარგმნელს ხშირად უხდება ქართულ თარგმანში პასივის ფორმის აქტივად ტრანსფორმირება.

„Rasierpinsel wurde belacht“ (G. Grass, 2004, 9) „საპარსი ფუნჯის დანახვაზე ყველას გაეცინა“ (გ. გრასი, 2011,5)

(ქართულში იგულისხმება „ყველა სტუმარი“ ანუ ყველა, რაც გერმანულში არ ჩანს).

პასივის ფორმის ასეთსავე ტრანსფორმაციას ახდენს მთარგმნელი ქართული ზმნის აქტივის ფორმად წინადადების თარგმნისას

„Scharlachrote und Zinkgruene Baender,deren Enden gewirbelt sein muessen, wollten zur Wiedervendung - nur nichts wegwerfen! – aufgewickelt verwahrt warden“.

(G. Grass, 2004, 9) „საჩუქრებზე შემოხსნილ მეწამულისფერ და მომწვანო თუთიისფერ ლენტებს ბოლოებს უსწორებდნენ და, რაკი გადასაგდებად ვერ იმეტებდნენ ყველაფერს ერთად ახვევდნენ და ინახავდნენ“. (გ. გრასი, 2011)

ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია თითქმის ყველა სიტყვის მნიშვნელობა, გარდა ზმნის ფორმისა, რომლის ტრანსფორმაციაც ქართულში ხდება აქტივის ფორმით. სიტყვა-სიტყვით კი იქნებოდა: „რომელთა ლენტების დახვევა და ისე შენახვა ხდებოდა“, რაც ქართული ენისთვის უჩვეულო იქნებოდა. მთარგმნელი ამ შემთხვევაში არ გამოავლენდა წინადადების „სიღრმისეულ სტრუქტურებს“ და მხოლოდ ბჭკარედის დონეზე დაკმაყოფილდებოდა მისი თარგმნით.

მთარგმნელმა უნდა იცოდეს გერმანული ზმნის დროთა პრიმარული და სეკუნდარული ფუნქციების მნიშვნელობა. მაგ. გერმანულში ზმნას Praesens- ში აწმყო დრო გამოხატვს, გარდა ამისა მას აკისრია მომავლის გამოხატვის ფუნქციაც, რაც ტექსის კონტექსტში ლექსიკური საშუალებით გამოვლინდება. „Unser Herr Matzerath hat allerkei und bald auch seinen sechzigsten Geburtstag hinter sich“ (G. Grass 1986, 28) „ჩვენს ბატონ მაცერატს რა აღარ გადახდენია თავს, და აი მალე, თავის დაბადების მესამოცე დღესაც მოიტოვებს უკან“ (გ. გრასი, 2011, 24). სინტაქსური სტრუქტურების ფორმების თარგმნისას მთარგმნელი უპირატესობას ანიჭებს ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმებს, ვნებითი კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ორგანულია გერმანული ზმნის ფორმებისათვის.

როგორც ვიცით ქართულ ენაში აუცილებელია ზმნის გამოყენება წინადადების აგებისას, რაც ნაკლებადაა დამახასიათებელი გერმანული ენისათვის. მაგ. „Welch koestliches Zubrot!(G.Grass,1986.26), ჩავიკოკლოზინებდი ხოლმე პირს ნუგბარით (გ. გრასი, 2011, 20) მთარგმნელმა კარგად მოარგო ზმნა „ჩავიკოკლოზინებდი“ და თანაც „ხოლმე“, რათა გამოეხატა განმეორებითი მოქმედების ასპექტი.

„თარგმანში არაა აუცილებელი ორიგინალის ხატოვან გამოთქმებს ან სხვა გამომსახველობით ხერხებს ყოველთვის მოვუნახოთ წმინდა ქართული შესატყვისი, აქ უნდა გავარჩიოთ ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი. ხშირად ავტორისეული გამომსახველობითი ხერხების შესაფერისი ფორმით ზუსტად გადმოტანა ამდიდრებს მშობლიურ ენას და გარდა ამისა, ანიჭებს თარგმნილ ნაწარმოებს იმ უცხო ელფერს, რაც ჩვენი აზრით, თარგმანს უეჭველად უნდა ახლდეს თან“ (ფანჯიკიძე, 1980, 19).

გამოყენებული ლიტერატურა

- ✓ გ.გაჩეჩილაძე. პროზაული თარგმანი „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“ თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1959.
- ✓ ნ.გოგოლაშვილი. გიუნტერ გრასი „დედალი ვირთაგვა“. თბილისი: შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. 2011.
- ✓ ნ. გოგოლაშვილი. გიუნტერ გრასი. „კიბორჩხალას ნაბიჯით“. თბილისი გამომცემლობა „LINK“ 2008
- ✓ დ. ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,1980
- ✓ Daniela Hermes, Guenter Gras „Der Krebsgang“ Deutscher Taschenbuch.Verlag Muenchen. 2002
- ✓ Klaus Binder/Kalle Giese „Guenter Grass „Die Raettin“. Darmstadt: Hermann Luchterhand Verlag GmbH, 1986

გიუნტერ გრასის შემოქმედების პრობლემები

ტრანსლატიკური პარადიგმის შუქში

გიუნტერ გრასის ნაწარმოებების „დედალი ვირთაგვა“, „კიბორჩხალას ნაბიჯით“
ქართულად თარგმანის მაგალითზე

ნინო ფალავანდიშვილი, დოქტორანტი

საქართველოს საპატრიარქო

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

ქართული უნივერსიტეტი

რეზიუმე

მთარგმნელმა ნანა გოგოლაშვილმა შეაღწია გიუნტერ გრასის ნაწარმოებების დედნის სიღრმისეულ სტრუქტურებში და გაითვალისწინა ყველა ელემენტის სემანტიკურ-სტილისტური მხარე, შეძლო ტექსტის ნაწილების თარგმნა მთლიან საზრისთან მიმართებაში. მთარგმნელი შეეცადა შეენარჩუნებინა დედნის ეროვნული სპეციფიკის არსებითი მხარე და არ ელაღატა საკუთარი ენის კანონებისათვის.

წყარო და მიზან-ენებში უნივერსალური აზროვნებითი კატეგორიების გამოვლინების ერთ-ერთ საშუალებას ნანა გოგოლაშვილისათვის წარმოადგენს გერმანული ენის სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების შედარების მეთოდი.

ორიგინალის გამოთქმებს ან სხვა გამომსახველობით ხერხებს მთარგმნელმა მოუნახა წმინდა ქართული შესატყვისი და შეძლო გაერჩია ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი ერთმანეთისაგან.

**The problems of Gunter Grass's literary works
in paradigm of translation**

Based on translations of Gunter Grass's literary works „Crabwalk“ and „The Rat“

*Nino Palavandishvili, Doctorate
students of the St. Andrew the First-Called
Georgian University Of the Patriarchate of Georgia*

Summary

Translator Nana Gogolashvili penetrated deeper structures of the original works of Gunter Grass considering all the elements of semantic and stylistic aspects, was able to translate the parts of the entire text with respect to the main idea. The translator tried to preserve the original national specificity of the original and at the same time kept the standards of her own language.

Method of comparison of deep and surficial structures of German language is one of the tools to manifest of categories of thought in source and target languages for Nana Gogolashvili. The translator was able to match the Georgian equivalents to the original idioms or literary techniques in the text and was able to discern between the author's and traditional artistic techniques from each other.

Key words: aspects, Connotative, source - text, denotational universal words

Проблемы творчества Гюнтера Грасса в свете парадигм перевода

На примере грузинского перевода произведений "Крысиха" и "Траектория краба"
Гюнтера Грасса.

*Нино Палавандишвили Докторант
Университета Патриархии Грузии
имени Андрея Первозванного*

Резюме

Переводчик Нана Гоголашвили смогла достичь глубину структуры подлинника, предусмотрела семантико-стилистическую сторону всех элементов, перевела все части текста и смогла соотнести их с главной идеей.

Переводчик всячески постаралась сохранить существующую сторону национальной специфики подлинника и не изменила законам родного языка.

Одним из способов выявления мыслительной категории источника в языке перевода для переводчика является метод глубокого или поверхностного сопоставления.

Для оригинальных выражений и изобразительных средств переводчик Нино Гоголашвили нашла истинно грузинские соответствия и смогла различить авторские и традиционные средства.

Ключевые слова: когнитивный и семиотический аспекты перевода, коннотативные значения слов. Степень адекватности текста-источника, денотативные значения слов. Примеры словотворчества Г. Грасса. Грамматические универсалии.

ამაგდარი

თ. ჯაგოდნიშვილი
სტუ პროფესორი

საკვანძო სიტყვები: იური სიხარულიძე, ისტორია, ტოპონიმისა, ფოლკლორისტიკა, შემოქმედებითი მემკვიდრეობა

ქართულ ენობრივ სამყაროში ორი უცნაურად აღნაგი და ჟღერადი სიტყვა ხშირად: ამაგდარი და ალამდარი. ისინი ერთცნებიანი კომპოზიტებია - ორფუძიანი სიტყვები. ერთი - „ამაგდარი“ (ამაგ+დარი“) სანიმუშო ანუ ეტალონური ამაგის (ღვაწლის, დამსახურების) მქონე ადამიანზე ითქმის; მეორე სიტყვა - „ალამდარი“ („ალამ“+„დარი“) ალამის ანუ დროშის შესადარს ანუ მედროშეობის, მეწინავეობის ღირსის შინაარსს შეიცავს. ამავე სტრუქტურისაა „მიზანდარი“, „კალენდარი“, „საზანდარი“, „სადარი“, „შესადარი“, „ავდარი“, „გამოდარი-ება“ ანუ ფუძე „დარი“-იდან მომდინარე. ლექსიკური ერთეული, რომლებშიც შედარების, ეტალონურობის შინაარსი იგულისხმება.

პროფესორ იური სიხარულიძის ნაღვაწი ამ ორი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს. იგი ქართული კულტურისა და მეცნიერების ამაგდარი და გარკვეული თვალსაზრისით ალამდარი მსახურია. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ამ მსახურების ნაყოფიერებითა და მრავალმხრივობით აოცებს საზოგადოებას. მას

იკნობენ როგორც პოეტს, მომღერალს (თანაც ისეთ სასწაულებრივ ჟანრში, როგორც გურული კრიმანჭულია), სწავლულ ისტორიკოსს, არქეოლოგს, ეთნოგრაფს, უნიკალური დარგის - ისტორიული გეოგრაფიის - სპეციალისტს, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს, მუსიკალური და სიტყვიერი ფოლ-კლორის ჭირის-უფალს, უმაღლესი სკოლის პედაგოგს - პროფესორს, რომელმაც ყველა ამ სფეროში 25 წიგნი, რამდენიმე ასეული სამეცნიერო სტატია და წერილი გამოაქვეყნა.

პროფესორი იური სიხარულიძე გურულია. მისი ფესვები გურიშია. იგი ჩოხატაურის მიმდებარე სოფელ გოგოლეისუბანშია დაბადებული და უკვე ეს ფაქტია მრავლისმეტყველი. ეს სოფელი კარგად არის ცნობილი იმით, რომ აქედან გამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, პედაგოგები, მედიცინის მსახურნი. სიხარულიძეების საგვარეულო კი არა მხოლოდ გოგოლეისუბანში, არამედ სრულიად საქართველოში გამორჩეულია მაღალი ნიჭი-ერებით. ამ საგვარეულოს ბევრი შვილი დღესაც წარმატებულად იღწვის ქართული კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკის, ეკონომიკის, პედაგოგიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში.

ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იური სიხარულიძის ცხოვრების გზა და გეზი ექვთიმე თაყაიშვილთან შეხვედრამ და ნიკო ბერძენიშვილთან საასპირანტო კურსის გავლამ განსაზღვრაო, მაგრამ არც ის არის დასავიწყებელი, რომ მას საკუთარი საგვარეულოდანაც ჰყავდა მორბედი. ეს იყო ცნობილი ფოლკლორისტი ქსენია სიხარულიძე, მისი თანასოფლელი, მასზე ოდნავ უფროსი, რომელიც 15 წლის ჭაბუკისათვის დიახაც იქნებოდა მისაბაძი ადამიანი. 1938 წელს, იმ დროს, როდესაც ი. სიხარულიძემ სოფელ გოგოლეისუბნის სკოლა დაამთავრა, ქს. სიხარულიძე უკვე ცნობილი ფოლკლორისტი იყო, ვ. კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოლკლორის განყოფილებაში თანამშრომლობდა. დაწინაურებული მოგვარის გავლენის კვალი უთუოდ იკითხება იური სიხარულიძის ფოლკლორისადმი გამოკვეთილ ინტერესსა და ამ სფეროში სერიოზული მუშაობის შინაარსში.

ი. სიხარულიძემ თავისი ეპოქისათვის მოსწავლეობისა და სტუდენტობის ტიპური გზა განვლო. გურიის სოფლებიდან გამოსული დაწყებითი განათლების მქონე ყმაწვილები შემდეგ საფეხურებზე სასწავლებლად ტრადიციულად და უპირატესად ქუთაისს მიემგზავრებოდნენ, იშვიათად ფოთსა და კიდეც უფრო იშვიათად ხონში. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ამ ქალაქებს ბათუმი შეემატა, სადაც საშუალო სპეციალური განათლების კერები - ტექნიკუმები და პედაგოგიური ინსტიტუტი გაჩნდა. ბათუმი ერთგვარად ჩაენაცვლა ქუთაისს და განათლების შეძენის მაგისტრალი გურიის სოფლებისათვის ორმხრივად გაიმართა - აღმოსავლეთით ქუთაისისაკენ, სამხრეთით - ბათუმისაკენ. ბათუმი უფრო ხელმისაწვდომი იყო ეკონომიურადაც. ი. სიხარულიძის განათლების მერიდიანი

ბათუმზე გავიდა. მან დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელ გოგო-
ლეისუბანში მიიღო და 1938 წელს ბათუმს მიაშურა, ჯერ ბათუმის პედაგოგიური
ტექნიკუმის საბაზო სკოლაში განაგრძო სწავლა, ორი წლის შემდეგ ჩოხატაურის
ნიკო მარის სახელობის სკოლაში, შემდეგ ისევ ბათუმში - მოსკოვის იურიდიული
ინსტიტუტის ბათუმის სასწავლო პუნქტში, ფილიალად რომ მოიხსენიებდნენ. აქ
უმადლესი იურიდიული განათლება ი. სიხარულიძემ 1944 წელს გაასრულა.

ე. თაყაიშვილის რჩევით ი. სიხარულიძე პარალელურად ბათუმის პედა-
გოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ეს ინსტიტუტი მან
1949 წელს დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ასპირანტურაში. საასპირანტო განათლება ცნობილი ისტორიკოსის
აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით გაასრულა. ასე
რომ, ი. სიხარულიძე ოფიციალური განათლებით ისტორიკოსი გახდა. მან
დისერტაციებიც ისტორიის დარგში დაიცვა. 1953 წელს დაცული საკანდიდატო
დისერტაციის თემა იყო „გურიის 1841 წლის აჯანყება“, 1969 წელს დაცული
სადოქტორო დისერტაციისა კი „ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა
მფლობელობის წინააღმდეგ XIII-XIV საუკუნეებში“. ი. სიხარულიძის მეცნიერული
ინტერესები ვერც ისტორიის სამანებში ჩაეტია და ვერც საზოგადოდ მეცნიერებაში.
პოეზიაშიც სცადა თავი, სიმღერაშიც... ისეთი სიმღერებიც დალაშქრა, როგორცაა
გურული კრიმანჭული - ზერთული სასიმღერო ხმა. უკვე ეს ფაქტი ცხადყოფს რა
ღრმად აქვს გაცნობიერებულ-გათავისებული მას მშობელი ხალხის სულის დიდი
შინაარსი, რადგან ეროვნული სულის რაობა უპირველესად სწორედ ხალხურ
სიმღერაში ვლინდება.

ი. სიხარულიძე ხელხვაკრიელი მკვლევარი აღმოჩნდა. მისი შემოქმედებითი
მემკვიდრეობა ორ ათეულზე მეტ წიგნსა და რამდენიმე ასეულ სტატიას, წერილს,
ნარკვევს შეიცავს. მათი პრობლემატიკა, როგორც აღინიშნა, უაღრესად ფართეა,
თუმცა ისტორიული ასპექტი თითქმის ყველგან დომინანტურია. ასე, მაგალითად,
ი. სიხარულიძის კვლევების არეში მოქცეულია მედიცინის ისტორიის, სამართლის
ისტორიის, ბიზნესის ისტორიის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ქარ-
თული ლიტერატურის ისტორიის, თეატრის მოღვაწეთა ისტორიების, სამუსიკო
და სიტყვიერი ფოლკლორის ისტორიების პრობლემები. და მაინც: ამ ისტორიების
პრობლემათა შორის უმთავრესია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის
თემატიკის გამოკვლევები.

ი. სიხარულიძე, როგორც მკვლევარი, უპირველესად სწორედ ამ იშვიათი და
ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის უაღრესად აქტუალური დარგის
პროფესიონალია. ამ მხრივ იგი თავისი დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფეა.
ჩვენში ამ დარგის სათავეებთან სწორედ მისი მასწავლებელი აკადემიკოსი ნიკო
ბერძენიშვილი დგას.

ისტორიული გეოგრაფიის სფეროში მუშაობა საზოგადოდ დიდ მეცნიერულ სითამამეს, გამბედაობას, თავდადებას ითხოვს, თანაც ისეთი ქვეყნის ისტორიისაგან, როგორც საქართველოა, რადგან ჩვენს სამშობლოს დიდი ისტორიის გზებზე ტერიტორიები შემენილზე მეტი დაკარგული აქვს (შემენილი, ვგონებ XX საუკუნის 30-40-იან წლებში საქართველოსათვის გადმოცემული ჩრდილო-კავკასიური ქლუხორის რაიონი იყო). ისტორიული გეოგრაფია კი ისტორიული მეხსიერებით შემონახული ფაქტების გამოვლენა და ისტორიულად აგრესორი ქვეყნებისათვის „შეხსენებაც“ არის და მიტაცებულ ტერიტორიებზე პრეტენზიის დაფიქსირებაც. ტერიტორიების მიმტაცებელ ქვეყნებს ამგვარი „შეხსენებები“ მაინცა და მაინც არ სიამოვნებს. ამასთან და, რაც მთავარია, ხელს უშლის თანამედროვე ცივილიზაციისა და მსოფლიო პოლიტიკის წინაშე დემოკრატიისა და სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის პატივისცემის დემონსტრირებაში, რადგან მოძალადესა და ქურდს ყოველთვის ეწვის ქუდი. ამოტომაც ისტორიული გეოგრაფიის კვლევებს აგრესორი ქვეყნები უკეთეს შემთხვევაში ალმაცერად უყურებენ.

ი. სიხარულიძის ამ მიმართულებებით გაშლილი ძიებები კი ისტორიული სიმართლით „უხერხულობას უქმნის“ პირველ ყოვლისა ამჟამინდელ თურქეთს, რომელიც უმეტესად სხვა სახელმწიფოებისა და ქვეყნებისაგან მიტაცებულ მიწა-წყალზე დგას. მათ შორისაა სამხრეთი საქართველო, ისტორიული ზემო ქართლი, მესხეთი.

ი. სიხარულიძის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები არანაკლებ სიმწვავეს უქმნის თანამედროვე რუსეთს, რომელიც თავის აგრესიულ ზრახვებს დღესაც ვერ იოკებს, რომელმაც არ იკმარა სოჭის, ადღერის, ტუაფსეს მიტაცება, ახლა შუაქართლის ნაწილი და აფხაზეთი მისაკუთრა და მუქარის თვალით გვიმზერს და არც პოლიტიკურ რიტორიკაში ერიდება ძალის დემონსტრირებას.

ი. სიხარულიძის კვლევები, ცხადია, მოწონებას არ იმსახურებენ იმ სხვა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკოსებისა და მეცნიერებისაგან, რომლებმაც სხვადასხვა მაქინაციებით მისაკუთრეს სხვადასხვა ქართული რეგიონები, რადგან ეს ნაშრომები მათაც შეახსენებს, რომ სხვისი საკუთრება აქვთ ხელში ჩაგდებული და პარტრონს ახსოვს წაგვრა-წართმევის ფაქტი, ხსოვნა კი პრეტენზიის გამოხატულებაა. ის კი არა და, ი. სიხარულიძის გამოკვლევები ისტორიული გეოგრაფიის დარგში თავად ქართველობასაც შეახსენებს დანაკარგს, გაუღვიძებს ისტორიულ მეხსიერებას, ისტორიის ხსოვნას. ხსოვნის გაღვიძება კი იმედის გაღვიძებაც არის, ხოლო იმედი სამომავლო ქმნადობაა, მომავალში ქმნა-ცდის საწიდარია.

ი. სიხარულიძის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემისადმი მიძღვნილი ნაშრომების უმეტესობა მის მიერვე განხორციელებულ საველე-სამეცნიერო

ექსპედიციებით მოპოვებულ და გადამოწმებულ მასალებს ემყარება. სწორედ ამით არის განსაზღვრული მათი მეცნიერული უტყუარობა და სანდოობა. დიდი შრომა დასჭირდა ი. სიხარულიძეს სამხრეთ საქართველოს რეგიონების კარნუს, არტაანის, ტაოს (იმიერ და ამიერ ტაოების), კლარჯეთის, შავშეთის, სპერის, ბასიანის, კარნიფორის, ყაიყულის, აზოცის, დასავლეთ საქართველოს ისტორიული რეგიონების: სოჭის, ტუაფსეს, ნიკოფსის რაიონების ისტორიული ტოპონიმების შესწავლისათვის. ამ მიმართულებით გაშლილი მისი კვლევების შედეგები თავმოყრილია დიდ ორტომიან მონოგრაფიაში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“ (1958, 1959), ასევე მის ნაშრომებში „ჭანეთი (ლაზეთი)“ (სამი ტომი, რომელთაგან ორი 1977-1979 წლებში გამოიცა, ხოლო მესამე დღემდე ხელნაწერის სახით არსებობს), „ნიგალი (ლივანა)“ (1985), „შავშეთ-იმერხევი“ (1987), ასევე უამრავი წერილი, სტატია, გამოკვლევა, რომლებიც ქვეყნდება პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“ ფურცლებზე. ი. სიხარულიძემ დიდი შრომა გასწია ფერსათის, ოდიშის, ქუთაისის, სვანეთის, სამურზაყანოს ისტორიული ტოპონიმის კვლევებისათვის. ამ თემატიკა-პრობლემატიკის ბევრი ნაშრომი ჯერაც ელის გამოქვეყნებას. ამასთან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიული რუკების შედგენაში.

ი. სიხარულიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის ისტორიის დიდი სახელის აბუსერიძე ტბელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლაში. მან მონოგრაფიულად შეისწავლა ამ ავტორის თხზულება „სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამოსა გიორგისანი“ და გამოსცა ვრცელი კომენტარებით. მთლიანი კვლევის შედეგები კი წარმოადგინა 3 წიგნსა (I - 1963; II - 1979; III - 1979) და 50-ზე მეტ სამეცნიერო სტატიაში. აბუსერიძე ტბელის ცხოვრება-მოღვაწეობას ი. სიხარულიძე 30 წლის განმავლობაში იკვლევდა.

თვალსაჩინოა ი. სიხარულიძის მიერ დატოვებული კვალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან მონოგრაფიულად შეისწავლა ჭოლა ლომთათიძის, კონსტანტინე ერისთავის, იაკობ შემოქმედელის ცხოვრების გზები და მემკვიდრეობანი. მან ასეთივე დიდი ამაგი დასდო ქართული თეატრის ისტორიას, დაწერა საყურადღებო წიგნები რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას, სახალხო არტისტის გაბრიელ მდინარაძის, თეატრალური მოღვაწის მიხეილ ჯალაღონიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ი. სიხარულიძის ინტერესი ქართული ფოლკლორის სამყაროსადმი. მან ამ სფეროშიც შექმნა საყურადღებო გამოკვლევები, რომლებიც ქართულ სამეცნიერო პერიოდიკაში ქვეყნდებოდა. ისინი უპირატესად ქართული მუსიკალური ფოლკლორის პრობლემებს ეძღვნება. სასიძლოდ ფოლკლორისადმი გამორჩეული ინტერესი სრულიად ბუნებრივია, რადგან გურია ის რეგიონია, სადაც სიტყვიერი ფოლკლორი განსაკუთრებული ტრადიციებით არ

ხასიათდება, საქართველოს სხვა კუთხეებთან მიმართებით თვალშისაცემად მწირია. ამ სიმწირის სრული კომპენსაციაა მუსიკალური ფოლკლორი - გურული მრავალხმიანობის საოცარი რეგისტრები. ქართული მუსიკალური ფოლკლორის სტიქია ამის გამოც არის ი. სიხარულიძისათვის გენეტიკურობა და საკუთარი სულიერი სამყაროს თვითგამოხატვის ეფექტური ფორმა. თუმცა მას არც სიტყვიერი ფოლკლორისათვის მოუკლია ყურადღება. ეს კარგად გამოჩნდა 1947 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ქართული ხალხური პოეზია“.

ბუნებრივია, ცალკე აღსანიშნავია ი. სიხარულიძის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი სხვადასხვა წლებში ლექციებს კითხულობდა ბათუმისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობას, კითხულობდა ლექციების კურსებს პალეოგრაფიაში, არქეოლოგიასა და საქართველოს ისტორიაში, სამართლის ისტორიის კურსს.

დამოუკიდებელ საქართველოში უნივერსიტეტების ბუმის ჟამს მან თავადაც გახსნა უნივერსიტეტი, ამჟამად კი თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო რექტორი და აკადემიური საბჭოს ხელმძღვანელია.

ი. სიხარულიძე ბედნიერი კაცია, რადგან სიცოცხლეშივე დაიმსახურა მშობელი ხალხის სიყვარული. საზოგადოდ სახელის დაგდება ანუ აღიარების მოპოვება საქართველოში ძალიან ძნელია, რადგან ქართველი საზოგადოება საკმაოდ მომთხოვნია მოღვაწისადმი და მკაცრია შეფასებებში. ეს მოვლენა უცხოებსაც შეუნიშნავთ. ბევრ ჩვენს მოღვაწეს უცხოეთში, თანაც დიდ სახელმწიფოებში უფრო იოლად მოუპოვებიათ სახელი და დიდება, ვიდრე სამშობლოში. არც ისეთი შემთხვევებია იშვიათი, როდესაც უცხოეთში ქართველი მოღვაწის აღიარებას ქართველობა საკმაოდ გულგრილად შეხვედრია, ან საერთოდ არ გაუზიარებია. ი. სიხარულიძე კი აღიარეს და დააფასეს. ამას ცხადყოფს, ერთი მხრივ, მისი 70, 80, 85 წლისთავების აღნიშვნის ფაქტები-საიუბილეო სადამოების, საიუბილეო სამეცნიერო სესიის ჩატარება, საიუბილეო სესიის მასალების კრებულის გამოცემა (ბათუმი, 2011), მეორე მხრივ, მისი ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომელთა ავტორები არიან ლაურა გიორგაძე („პროფესორ იური სიხარულიძის ნაწერები, 2000“, რომელიც 2001 წელს გამოიცა), თეიმურაზ კომახიძე („იური სიხარულიძე“, 1998), ქეთევან კუკულავა („იური სიხარულიძე-70“, 1997), დავით კომახიძე („იური სიხარულიძე-80“, 2010) და სხვანი.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მისი საიუბილეო თარიღები გამორჩეულად აღინიშნება ოზურგეთში, ჩოხატაურში, მისი მშობლიური სოფლის გოგოლეისუბნის საჯარო სკოლაში, სოფელ ბუკისციხეში ადრე შუასაუკუნეების ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე, რომელიც „ციხის“ სახელწოდებით არის ცნობილი. დიდი სამეცნიერო სესიის ფორმატში კი მისი იუბილე აღნიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

დიდია სამშობლოსადმი მსახურების შინაარსი და კურთხეულია მსახური-მოღვაწე, რომელიც ნათელ კვალს ტოვებს მშობლიური კულტურის ისტორიაში. პროფესორი იური სიხარულიძე სწორად ამგვარი მოღვაწეა. მისი მეცნიერული მემკვიდრეობის დიდ ფასს ქართული კულტურის ისტორია წარმოაჩენს, რომელმაც უკვე მიაკუთვნა მას თავისი ადგილი.

ამაგდარი

თ. ჯაგოდნიშვილი

სტუ პროფესორი

რეზიუმე

წერილში ასახულია პროფესორ იური სიხარულიძის ცხოვრება-მოღვაწეობა. წარმოჩენილია მისი წვლილი საქართველოს ისტორიის, ქართული ისტორიული გეოგრაფიის, ფოლკლორის, ტოპონიმიკის, ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემის კვლევაში.

The activity (Yuri Sikharulidze's the 85th anniversary)

Professor T.I. Dzhagodnishvili

Summary

The article examines the life and scientific work of Professor Y. Sikharulidze. Noted his contribution to the study of problems of the history of Georgia, the Georgian hysterical geography, folklore, place names, literary criticism.

Keywords: Yuri Sikharulidze, history, names of place, folklore, artistic heritage.

Деятель (к 85 летию Юрия Сихарулидзе)

Профессор Т. И. Джагоднишвили

Резюме

В статье рассматриваются вопросы жизни и научного творчества профессора Ю. Сихарулидзе. Отмечается его заслуги в исследовании проблем Истории Грузии, грузинской истерической географии, фольклора, топонимики, литературоведения.

Ключевые слова: Юрий Сихарулидзе, история, топонимика, фольклористика, творческое наследие.

ბორის აკუნინის სტილიზებული რომანები - გზა კლასიკისკენ

*თამარ ჯაფოშვილი, დოქტორანტი
საქართველოს საპატრიარქოს
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: აკუნინი; „აზაზელი“, „პიკის ვალეტი“; პოსტმოდერნიზმი; ინტერტექსტუალობა; მასობრივი; კლასიკა; დეტექტივი; ქვეტექსტი

კაცობრიობის ისტორია განისაზღვრება მრავალ კულტურულ ეპოქათა თანმიმდევრობითი ცვლელადობით. მათგან უკანასკნელს ვუწოდებთ პოსტმოდერნიზმის ეპოქას, რომლის წარმოშობაც განაპირობა XX-XI საუკუნეების ისტორიულ-ფსიქოლოგიურმა თუ სოციალურმა ცვლილებებმა, ეპოქალური რეალობის კოლაფსმა, სოციალურმა კრიზისმა, ადამიანებში გაჩენილმა ონტოლოგიურმა შიშმა, მარგინალისა და მთავრის გათანაბრებამ თუ პოზიციების შეცვლამ, რამაც გამოკვეთილი სახე მიიღო არქიტექტურაში, ფილოსოფიასა და ხელოვნებაში. ლიტერატურაც, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, არ დარჩენილა ამ ახალი მიმართულების გავლენის მიღმა და მასში განსაკუთრებული სიმკვეთრით წარმოჩინდა პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები: ორმაგი კოდირება, სიმულაციებით თამაში, ცენტონურობა, მონოლოგურობა, ალუზია, ინტერტექსტუალობა, პაროდირება, პლურალიზმი, ეკლექტურობა... პოსტმოდერნისტი მწერალი სტერეოტიპად ქცეულ გმირებს, მხატვრულ სახეებს სულ სხვა რაკურსით გვიჩვენებს, ტრადიციულ ნორმებსა თუ ღირებულებებს საზღვრებს უშლის და რადიკალურად ემიჯნება. „სპეციფიკა პოსტმოდერნისტული ესთეტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ ის შეიარაღებულია არაკლასიკური თხრობის სტილით, რომელიც აღმოცენებულია კლასიკურ ტრედიციებზე“;¹ ამგვარად განსაზღვრავს პოსტმოდერნიზმს ამერიკელი არქიტექტორი ჩარლზ ჯენკსი, რომელის სახელთანაც არის დაკავშირებული ამ ტერმინის პოპულარიზება. მან თავის წიგნში „პოსტმოდერნისტული არქიტექტურის ენა“ (1977წ.) აღნიშნა, რომ ამ სიტყვას იყენებდნენ ამერიკული ლიტერატურის კრიტიკაში ჯერ კიდევ 1960-1970 წლებში ულტრამოდერნისტული ლიტერატურის ექსპერიმენტის განმსაზღვრელად. მისი აზრით, პოსტმოდერნიზმი რადიკალურად გაემიჯნება ნეოავანგარდისტულ ნიჰილიზმსა და ექსტრემიზმს და ნაწილობრივ უბრუნდება კლასიკურ ტრადიციებს.

პოსტმოდერნიზმის მთავარი თვისებაა თავისუფალი ბუნება, უკვე კარგად ნაცნობის, დანახულის, გააზრებულის რეკონსტრუირება; ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე ცნობილი ნაწარმოების ან მხატვრული სახის ასლთან გვაქვს საქმე, არამედ პოსტმოდერნისტი ავტორი მათ წარმოაჩენს მოდელირებული სახით თავისი გონებისა და ფანტაზიის ნაყოფს, ანუ ორიგინალი განიცდის ერთგვარ ტრანსფორმაციას.

განსხვავებული ხელწერის მიუხედავად, პოსტმოდერნისტ მწერლებს მიეკუთვნებიან: დასავლეთში - უმბერტო ეკო, ჯულიან ბრამსი, უილიამ გიბსონი, ჯონ ფაულზი, მილორად პავიჩი, პატრიკ ზიუსკინდი, გიუნტერ გრასი. რუს პოსტმოდერნისტთა შორის: ვლადიმერ ნაბოკოვი, ვიქტორ პელევინი, ვლადიმერ სოროკინი, ტატიანა ტოლსტაია, ბორის აკუნინი. რა თქმა უნდა, პოსტმოდერნიზმისთვის ქართულ ლიტერატურასაც არ აუვლია გვერდი - აკა მორჩილაძე, ზურაბ ქარუმიძე, ირაკლი ქასრაშვილი, ნაირა გელაშვილი და სხვ., რომელთა „უცნაურმა“ ნაწარმოებებმა იმთავითვე მიიპყრო ჩვენი მკითხველის ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტმოდერნიზმი თავისი ორიგინალური ბუნებიდან გამომდინარე ყველასთვის მისაღები არ არის, რეალური შემფასებელი მაინც ჰყავს. მას კარგად მომზადებული მკითხველი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში უსაფუძვლო კრიტიკის საგანი ხდება.

წინამდებარე სტატია სწორედ პოსტმოდერნისტ მწერალს, ბორის აკუნინს და მის შემოქმედებას შეეხება, რომლის სიღრმისეული გააზრებისთვის, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით თანამედროვეობის ერთ-ერთ საინტერესო ლიტერატურულ მიმდინარეობას - პოსტმოდერნიზმს, რადგან საკვლევი თხზულებების სპეციფიკა, მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებები, მასთან მჭიდრო კავშირში განიხილება.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ბორის აკუნინის რომანების: „პიკის ვალეტის“, „ლევიათანის“, „აზაზელისა“ და „თურქული გამბიტის“ მიხედვით მოსულიშვილისეული თარგმანები, რომელთაც ჩვენი მკითხველის მოწონება მხოლოდ მწერლის ქართული წარმომავლობის გამო არ დაიმსახურეს. მოგვიანებით, ბორის აკუნინის „სასაფლაოს ამბებისა“ და „პიკის ვალეტის“ თამარ კოტრიკაძისეული თარგმანებიც გამოჩნდა.

ცნობილია, რომ ბორის აკუნინი არის გრიგოლ ჩხარტიშვილის ფსევდონიმი. პროფესიით იაპონისტმა, სწორედ იაპონური სიტყვებისგან შეადგინა თავისი ფსევდონიმი - აკუნინი, რაც იაპონურად ნიშნავს ბოროტ ადამიანს.

ბორის აკუნინის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ინტელექტუალურ-ესთეტიკური თხრობის სტილი. მისმა მთარგმნელობითმა გამოცდილებამ კი, იაპონურიდან, ინგლისურიდან თუ ამერიკული ლიტერატურიდან, მისცა საშუალება, თავის მედიაკულტურულ ნაწარმოებებში შეექმნა განსაკუთრებულად

კოლორიტული პერსონაჟები, მაგალითად, ერასტ ფანდორინი მიეკუთვნება ამომავალი მზის ქვეყანას, ანუ იაპონიას, ხოლო ნიკოლაი ფანდორინი კი არის ტიპური ინგლისელი, თავდაჭერილი, პედანტი. ბორის აკუნინის რომანებში ნათლად ჩანს მისი განსაკუთრებული ცოდნა აღმოსავლური და დასავლური ქვეყნების ესთეტიკურ-კულტურული თუ ყოფითი განსხვავებულობისა. სწორედ ამიტომაც შეძლო ამ ორი კულტურის მსოფლომხედველობის განზოგადება, რის შედეგადაც მკითხველს სხვაგვარად, უფრო უკეთ დაანახვა არა მარტო აზიური მრწამსი, არამედ ევროპული პრაგმატიზმი. საინტერესოა მისი მოსაზრება მწერლობასთან და მწერლის საქმიანობასთან დაკავშირებით: „მწერლობასთან დაკავშირებით მე სხვაგვარი მოსაზრება მაქვს. არასდროს ვიმტვრევ თავს ბევრი ფიქრით, რადგან ამ საქმეს სხვანაირად ვუდგები, ანუ ეს არ არის ჩემთვის აუცილებლად სატარებელი ჯვარი, არც დიდებული მისია, არამედ თამაშია, ხშირ შემთხვევაში სერიოზული თამაში, და საერთოდ, თამაში სერიოზული საქმეა, არასერიოზულ თამაშს აზრი არ აქვს“.² მისი ტექსტები მთლიანად ინტერ-ტექსტუალურია, სპეციალურად გადატვირთულია შეფარული თუ ღია ციტატებით, რომლებიც გადაგვამისამართებენ რუს თუ უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებებთან. ტატიანა მეგრელიშვილი თავის კრიტიკულ წერილში „კომენტარები ბორის აკუნინის პროზაზე“ წერს: „ბორის აკუნინი გრიგოლ ჩხარტიშვილის საავტორო ნიღაბია, რომელიც იმ სათამაშო მოდელის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც მწერალი სთავაზობს მკითხველს წარსულის სტერეო-ტიპებისგან თავის დასაღწევად, მკითხველის ფსიქოლოგიისათვის ნიშანდობლივი კლიშეების უარსაყოფად, რათა ლიტერატურის ტრფიალი უბრალოდ დატკბეს საინტერესო წიგნის კითხვით“.³ მის დეტექტიურ რომანებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ნიშან-თვისებები; მოქმედება ხდება მე-19 საუკუნის რუსეთში და ამ ეპოქას წარმოაჩენს თავისებური ხედვით, სხვაგვარად რომ ვთქვა, ახლებურად დაგვანახებს უკვე კარგად დანახულს და თითქოს მიგვითითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, იცოდე სად არის ზღვარი ზნეობასა და უზნეობას შორის და რომ მეტად დიდ საშიშროებას წარმოადგენს ის აზრი თუ იდეა, რაც ზნეობიდან არ აღმოცენდება.

მე-19 საუკუნის ლიტერატურიდან მასში შევიდა : სტილისტიკა, გეოგრაფია, ბაირონული გმირის ხასიათი და საერთო ისტორიული ანტურაჟი იმდროიდელი ეპოქისა.

ბორის აკუნინი მკითხველს სთავაზობს თავისებურ ინტელექტუალურ რებუსებს, ეთამაშება ციტატებითა და ისტორიული ალუზიებით შორეული წარსულიდან თუ თანამედროვე ყოველდღიურობიდან.

ბორის აკუნინი ქმნის ახალი დროის ლიტერატურას. იგი ცდილობს, თავის რომანებში დააფიქსიროს იმ ღირებულებათა გადაფასება, რომელიც მოხდა

საუკუნეთა მიჯნაზე. მის პოეტიკაში იბადება ახალი მხატვრული ხედვა, ახალი ენობრივი გარემოდან, მკვეთრად იგრძნობა ენობრივი კონფლიქტი. რომანების გმირები მეტყველებენ თანამედროვე ენით, რომლებიც აქტიურად იყენებენ ჟარგონებს და არანორმირებულ ლექსიკას. თანამედროვე კრიტიკაში ამ ხერხს უწოდებენ „მაგნიტოფონის მეტყველებას“. აკუნინის ექსპერიმენტი თვალსაჩინოდ დაგვანახვებს, თუ რამდენად დიდია განსხვავება სასაუბრო ენასა და სალიტერატურო ენას შორის.

საყურადღებოა, რომ ბორის აკუნინს ელიტარული მწერლის სტატუსზე პრეტენზია არ აქვს. ერთ-ერთ ინტერვიუში მან დაახასიათა თავისი ნაწარმოებები როგორც პოსტმოდერნისტული, გასართობი საკითხავი, მაგრამ არასამარცხვინო გასართობი, ამასთან ერთად, მიაჩნია, რომ ეს არის ნაკითხ მკითხველზე გათვლილი, საკმაოდ მაღალი დონეზე შესრულებული ლიტერატურული ნაწარმოებები. მწერლის აზრით, მისი შემოქმედება ცალსახად მიეკუთვნება პოსტმოდერნიზმს: „ყველაფერ იმას, რასაც ვქმნი, წმინდა წყლის პოსტმოდერნიზმია თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება მიღებულია არა იმდენად ცხოვრებიდან, რამდენადაც სხვადასხვა წიგნების კითხვიდან“.⁴

ამ ბოლო დროს ბორის აკუნინის შემოქმედების აქტუალურობა სერიოზული დისკუსიის საგანი გახდა. ერთნი მიიჩნევენ უნიჭიერეს ლიტერატორად, პოსტმოდერნისტად დეტექტიურ ჟანრში, ამერიკული ტიპის მწერლად, რომელმაც რუსულ ლიტერატურაში ახალი ტრადიციები შექმნა; თვლიან, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ შექმნილა ამაზე უკეთესი პროექტი, ასევე განიხილავენ მას ფილოსოფიურ ჭრილში. რუსი კრიტიკოსები: ლ. დანილკინი, ა. რანჩნი, გ. ციპლაკოვი, დ. შამანსკი მწერლის წარმატებას ხსნიან სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ესენია: „მაგრად მოხარშული სიუჟეტი“, „საყვარელი გმირი“, მოქმედების ადგილი, ფართო ისტორიული ფონი, რეალობის ზედმიწევნით კარგად ცოდნა, ძლიერი მეორე პლანი, უამრავი პერიფრაზი, სიახლოვე კლასიკურ ლიტერატურასთან, სტილის სიახლე და სუფთა, არათა-ნამედროვე ენა.

ბორის აკუნინის შემოქმედება - ეს არის გზა კლასიკისკენ, რადგან თავისი სტილიზებული რომანებით მკითხველი გადაჰყავს სხვადასხვა კულტურულ შრეში რუსული თუ უცხოური ლიტერატურის გავლით და ამით ეხმარება კულტურათა ზღურბლის დაძლევაში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მისი შემოქმედება ეპიგონურად მივიჩნიოთ, არამედ ეს არის განსაკუთრებული ნაირსახეობა დეტექტივისა, იგი აგებულია ლიტერატურულ თამაშზე, რომელიც მიმდინარეობს განათლებულ და გაუნათლებელ (პროფან) მკითხველს შორის. ამ ორი კატეგორიის მკითხველთაგან გაუნათლებელი სიამოვნებას მიიღებს მხოლოდ ეშმაკური ხრიკებით ჩახლართული სიუჟეტიდან, ხოლო განათლებული

მკითხველი კი მაშინ, როცა აღმოაჩენს ანალოგიებს კლასიკური ლიტერატურიდან, მაგალითად: ჩეხოვის, დოსტოვესკის, არტურ კონანდოილის, შექსპირის თუ სხვათა ნაწარმოებებიდან. აქედან გამომდინარე, ბორის აკუნინმა რუსეთი ისტორია კი არ დაამახინჯა, როგორც ამას აღნიშნავენ რუსი კრიტიკოსები, პირიქით, თავის შემოქმედებაში სხვადასხვა კულტურულ ეპოქათა დისკურსის ჩართვით პატივი მიაგო დიდებული საუკუნის, მე-19 ასწლეულის ხსოვნას, რის შედეგადაც მკითხველს უდიდეს ინტერესს უღვიძებს რუსეთის ისტორიისა და კულტურის მიმართ. მკითხველის ემოციურ მიჯაჭვულობას ბორის აკუნინის დეტექტიურ რომანებთან განაპირობებს სწორედ ის, რომ მისი ტექსტები მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რისი მეშვეობითაც მასობრივი კულტურის ჩარჩოებიდან გაჰყავს და მიჰყავს ელიტარულ ლიტერატურასთან.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბორის აკუნინმა შექმნა ახალი დეტექტიური ჟანრი, მაგრამ ეს იმით განსხვავდება ჩვეულებრივი, სტანდარტული დეტექტივისგან, რომ არის ირონიული, ანუ მან შექმნა ირონიული დეტექტივი, რომელიც მკითხველს ითრევს ერთგვარი ისტორიულ-ბელეტრისტული და ენობრივი თამაშით. ავტორი ირონიულად წარმოაჩენს თავის გმირებს და მათს ქმედებებს, მკითხველს სთავაზობს, რომ მათაც ასევე იუმორით შეხედონ მოვლენებს, ცნობილ ისტორიულ გმირებს, რუსეთის უახლოეს წარსულს და საერთოდ ცხოვრებასაც. თავად მწერალსაც და მის პერსონაჟებსაც ირონია ეხმარება კონფლიქტისა თუ ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში, სიძნელების გადალახვაში.

ბორის აკუნინის მიგნებად თამამად შეიძლება ჩავთვალოთ ინტელექტუალი გამომძიებლის, ერასტ პეტრეს ძე ფანდორინის პერსონაჟის შექმნა, რომლის მოღვაწეობაც პირდაპირ უკავშირდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს. ეს ეპოქა კი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რუსეთის ისტორიაში, ასევე გამორჩეულია ლიტერატურულ სამყაროში ასახული საინტერესო მოვლენებით. ამ საუკუნის წარმოჩენით ისტორიულ-ირონიულ დეტექტივებში, ბორის აკუნინი გამოხატავს თავის რეაქციას თანამედროვე რეალობასთან მიმართებაში. დღესდღეობით, როცა დანაშაული გახდა ჩვეულებრივი, რიგითი მოვლენა, მაგალითად, დილით, შუადღეს თუ საღამოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ვრცელდება უამრავი ინფორმაცია პოლიტიკური ინტრიგების, მკვლელობების, მაქინაციების, გატაცებებისა და ყაჩაღობების შესახებ, არსებული რეალობისგან განსხვავებით, თანამედროვე მკითხველისთვის მეცხრამეტე საუკუნე წარმოადგენს რომანტიკის ეპოქას რეალობაშიც და ლიტერატურაშიც. ბორის აკუნინის აზრით, ეს იყო ის დრო, როცა გამომძიებლები გამოირჩეოდნენ კეთლშობილებით, ხოლო ბოროტმოქმედები კი იყვნენ გონებამახვილები, რომელ-თაც, მიუხედავად ამისა, გააჩნდათ რომანტიკული ბუნება, ყოველი მათი დანა-შაული კი იყო კრეატიული

და იდუმალებით მოცული. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა და ინტერესის გამოჩენა დიდი ხნის გარდასულ დროთა მიმართ, ავტორს უჩენს ფართო შესაძლებლობებს უფრო კარგად წარმოაჩინოს ისტორიული პარალელები და ანალოგიები ზოგჯერ გამჭვირ-ვალედ, ზოგჯერ კი - შენიღბულად, მაგრამ ყოველთვის ირონიულად.

ბორის აკუნინი შეგნებულად იყენებს ცნობილ ხერხებს, ისტორიული რომანების კლიშეებს და ამდიდრებს თავისებური ირონიული თამაშით, რის შედეგადაც ჩნდება საინტერესო ჟანრულ-სტილისტური შენადნობი: კლასიკურ დეტექტივს + ისტორიული საგამომძიებლო დეტექტივი + სტილიზებული რომანი + პოსტმოდერნისტული ირონიული რომანი. სწორედ ეს კომპონენტები განსაზღვრავს მკითხველის კატეგორიებს. „გაუთვითცნობიერებელი“ მკითხველი იღებს ყველაფერს ისე, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ხოლო ელიტარული მკითხველი კი ამოიცნობს ქვეტექსტებს და ჩასწვდება ავტორის ირონიას.

სწორედ ზემოთ აღნიშნული მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით არის შესაძლებელი ბორის აკუნინის თხზულებათა ქართული თარგმანების შესწავლა-გაანალიზება და მათი ღირსება-ნაკლოვანებათა წარმოჩენა.

ლიტერატურა

1. Философская энциклопедия(ინტერნეტრესურსი)
http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_philosophy/956/%D0%9F%D0%9E%D0%A1%D0%A2%D0%9C%D0%9E%D0%94%D0%95%D0%A0%D0%9D%D0%98%D0%97%D0%9C
2. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=552752> Диалог с классикой в творчестве Б. Акунина
3. აგათა კრისტის ქუდი, უმბერტო ეკოს სათვალე და ლევ ტოლსტოის წვერი : [კომენ-ტარები ბორის აკუნინისპროზაზე] / ტატიანა მეგრელიშვილი // ლიტერატურა და სხვა. - თბილისი, 2005. - იანვარი. - გვ. 39-54 [MFN: 438099]
4. <http://cheloveknauka.com/v/175242/d#?page=5>„Человек и наука“

ბორის აკუნინის სტილიზებული რომანები - გზა კლასიკისკენ

თამარ ჯაფოშვილი

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია

პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბორის აკუნინის შემოქმედების სპეციფიკური მახასიათებლები, კერძოდ, მისი პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების მხატ-

ვრულ-სტილისტური თავისებურებანი. ბორის აკუნინი წარმოდგენილია, როგორც ახალი დეტექტიური ჟანრისა და რუსულ ლიტერატურაში ახალი ტრადიციების შემქმნელი. საუბარია, მის პოეტიკაში არსებულ ახალ მხატვრული ხედვაზე, ახალი ენობრივი გარემოდან, სადაც მკვეთრად იგრძნობა ენობრივი კონფლიქტი. აკუნინის ექსპერიმენტი თვალსაჩინოდ დაგვანახვებს, თუ რამდენად დიდია განსხვავება სასაუბრო ენასა და სალიტერატურო ენას შორის.

Boris akunin's stylized novels – the way to the classic

Tamar Japhoshvili

PHD student

Summary

The scientific paper deals with specific characteristics in Akunin's creation, especially art- stylistic characteristics of his postmodern work. Boris Akunin is described as a creator of a new detective genre as well as creator of new traditions in Russian literature. New artistic point of view in his poetics from new linguistic environment is discussed where one can feel sharp language conflict. Akunin's experiment noticeably shows us the big difference between spoken language and literary language.

Key words: Akunin, „Azazel”, postmodernism, mass, classic, detective, implication.

Стилизованные романы Бориса Акунина – путь к классике

Джапошвили Тамар

докторант

Резюме

В статье рассмотрены специфические характеристики творчества Бориса Акунина, в частности, художественно-стилистическое своеобразие его постмодернистских произведений. Борис Акунин представлен как создатель нового детективного жанра и новых традиций в русской литературе. Разговор идет о новом художественном видении в его поэтике, о новой языковой среде, где четко чувствуется языковой конфликт. Акунинский эксперимент ясно показывает ту большую разницу, которая существует между языком разговорным и языком литературным.

Узловые слова: Акунин, «Азазель», «Пиковый валет», «постмодернизм», «интеллектуальность», «массовый», «классический детектив», «подтекст».

ჟურნალისტიკა - Журналистика - Journalism

მაგდა პაპიძის საქმის გამოუქება საქართველოს მედიასაშუალებებში

მადინა გაგიევა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: უდანაშაულობის პრეზუმცია, მკვლელობის გამოუქება, მედია.

„პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“ - უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ აღნიშნული ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლში არის. თუმცა, სამწუხაროდ, მედიასაშუალებები იშვიადად იცავენ ამ პუნქტს.

შესაბამისად, პრობლემა, როგორც წესი, მაშინვე იჩენს ხოლმე თავს, როგორც კი, მედიის დღის წესრიგში რაიმე გახმაურებული კრიმინალური ამბავი ხვდება.

გამონაკლისი ასევე არ გახდა 2015 წლის მიწურულს თბილისში მომხდარი ტრაგედია, რომლის შედეგადაც ახალგაზრდა მამაკაცი და მისი 5 წლის შვილი დაიღუპა. როგორც კი სამართალდამცავებმა დააკავეს ეჭვმიტანილი, რამდენიმე მედიასაშუალებაში გაისმა სიტყვა „მკვლელები“ - სწორედ ასე მოიხსენიეს მათ ბრალდებული და გააჟღერეს მისი სახელი, გვარი და პირადი ცხოვრების დეტალები.

„ვინ არის ქალი, რომელმაც ქმარ-შვილი მოკლა“ - ეს არის კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდებოდა საქართველოს ონლაინ მედიაში. ხოლო ტექსტებში დეტალურად იყო მოყვანილი მკვლელობების ქრონოლოგია, ბრალდებულის სახელი, გვარი, ასაკი, სამუშაო ადგილი და ა.შ. გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო ოჯახის წევრების ფოტოები, რომლებიც ჟურნალისტებმა სავარაუდოდ სოციალური ქსელებიდან აიღეს. მედია ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდა ქალმა ჯერ მეუღლეს ჩაარტყა ჩაქუჩი თავში, ხოლო შემდეგ საკუთარი შვილი მოგუდა. აქაც ჟურნალისტებმა ტრადიციულად არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ პირი ითვლება უდანაშაულო მანამ, სანამ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ იქნება გამოტანილი.

ასეთ მიდგომას გახმაურებული მკვლევლობის საქმის მიმართ აღნიშნული მედიასაშუალებები იმით ხსნიდნენ, რომ დანაშაული თავად ბრალდებულმაც აღიარაო. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, პირი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე უდანაშაულოდ ითვლება მაშინაც კი, როცა მან აღიარებითი ჩვენება მისცა. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლში წერია: „ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით“.

ონლაინ მედიასთან შედარებით სამაუწყებლო კომპანიებმა შედარებით მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს. დასაწყის ეტაპზე მათ არ ახსენეს ბრალდებულის სახელი და გვარი. თუმცა ჟურნალისტებმა შემოგვთავაზეს მისი მეზობლების დეტალური აღწერა - რომელი გვამი სად იპოვეს, რა დაზიანებები აღენიშნებოდა, როგორი ოჯახი იყო, რა ურთიერთობა ჰქონდათ ცოლ-ქმარს და ა.შ. რიგ ტელეკომპანიის ეთერში გავიდა საკმაოდ არაეთიკური სიუჟეტები. მაგალითად, „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერში“ ჟურნალისტი არ მოერიდა იმ ვარაუდების გაჟღერებას, რომელიც ბრალდებულის პირად ცხოვრებას და ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხებოდა: „არსებობს ბევრი ვერსია, დაწყებული იმით, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა წესრიგში არ იყო, გაგრძელებული იმით, რომ მას თითქოს ჰყავდა მეგობარი მამაკაცი“. წყვილის პირადი ცხოვრების დეტალებს სიუჟეტში აღარ ჩაღრმავებიათ, მაგრამ მიმოიხილეს ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა. რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ დაკავებულს დი-აბეტი ჰქონდა.

ქართულ მედიაში სახეზეა კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენცია. როგორც წესი, ამგვარი ტრაგედიების გაშუქება ხდება სენსაციურ ჭრილში. მაგალითად, რამდენიმე ონლაინ მედიასაშუალებამ წარმოადგინა სოციალური ქსელებიდან აღებული მოკლე ვიდეო, სადაც 5 წლის ბავშვი (იმდროისათვის უკვე გარდაცვლილი) დედას (იმდროისათვის - ბრალდებული) ლექსს უძღვნის, კადრში კი გვეხვები დედის ხმა: „როგორ უყვარხარ დედას...“. ხოლო „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა ბრალდებულის დის სასოწარკვეთილი კვილი. კადრები იმდენად ემოციური იყო, რომ მათი ბოლომდე ნახვა მაყურებლისგან დიდ გამძლეობას მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი კადრების ჩვენებას არ გააჩნია არანაირი საინფორმაციო ღირებულება, საქართველოს მედიასაშუალებები მაინც ახდენდნენ მათ ტირაჟირებას.

არნიშნული თემა წამყვანი იყო ტელეკომპანიების თოქ-შოუებშიც. მაია ასათიანის გადაცემა „პროფილი“, ნანუკა ჟორჯოლიანის „ნანუკას შოუ“, ეკა ხოფერიას თოქ-შოუ - ეს არის იმ გადაცემების მცირე ნაწილი, რომლის სტუმრებიც იყვნენ ბრალდებულის ნათესავები. როგორც წესი აღნიშნული გადაცემები

დანაშაულის დეტალების განხილვაზე იყო აგებული და, შესაბამისად, მაღალი რეიტინგი ჰქონდათ. ოპერატიულად ხდებოდა ონლიან მედიის მიერ ყველა იმ განცხადების ტირაჟირება, რომელიც ეთერში გადიოდა.

მიმდინარე წლის 19 თებერვალს აღნიშნული საქმე კვლავ აღმოჩნდა მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში. ამ დღეს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მტკიცებულებათა ნაწილი გასაჯაროვა. საგამომიებო უწყების ანგარიშს მოჰყვა იურისტებისა და უფლებადამცველების კრიტიკა. ისინი ამბობდნენ, რომ მტკიცებულებების ამ ფორმით გასაჯაროება ზღუდავდა ბრალდებულის უფლებრივ მდგომარეობას. სამწუხაროდ აღნიშნული კრიტიკული კომენტარები ვერ მოხვდა რამდენიმე ტელეკომპანიის მიერ ამ თემაზე მომზადებულ მასალებში. ამის მაგივრად მათ ახლო ხედით აჩვენეს სისხლიანი ბალიშისა და ზეწრების კადრები.

პრობლემა იყო პროკურატურის ვერსიის უტყუარი ფაქტების სახით წარმოჩენა, თემის სკანდალურ, სენსაციურ კონტექსტში გაშუქება და მასმედიის მიერ ბრალდებულისთვის „გამამტყუებელი ვერდიქტის“ გამოტანა.

„მასალები, რომლებიც ქმრის და შვილის მკვლელობისთვის დაკავებულის ბრალეულობას ადასტურებს. პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული შუალედური ანგარიში ქმარ-შვილის მკვლელობისთვის დაკავებული გოგონას ბრალეულობას ადასტურებს“. ასეთი იყო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანის შესავალი ტექსტი. ხოლო სიუჟეტში დეტალურად მოვისმინეთ პროკურატურის ვერსიაც და ახლო ხედით ვნახეთ სისხლიანი ბალიში და ზეწრები.

პროკურატურის ვერსია უტყუარი ფაქტების სახით წარმოადგინა „ტვიპრველმა“. „უროთი მოკლული ქმარი“ - ასეთი სათაურით გავიდა ეთერში სიუჟეტი. სიუჟეტის ავტორი ამბობდა: „საგამომიებო უწყების მიერ ფოტო და ვიდეო მასალებში დეტალურად აღწერილია 19 დეკემბრის ღამის საათები, ქალაქ თბილისში მაგდა პაპიძემ მკვრივი ბლაგვი საგნის, უროს თავის არეში ჩართვით მოკლა მეუღლე და გაგუდა მცირეწლოვანი შვილი. ბრალდებულმა სცადა კვალის დაფარვა და დანაშაულის ადგილიდან გაიტანა ნივთმტკიცებები“.

რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, მათი სიუჟეტი ზემოხსენებული მასალებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მათ პროკურატურის მიერ გავრცელებული მტკიცებულები დეტალურად არ მიმოუხილავთ. მთავარი აქცენტი სიუჟეტში იყო არა იმაზე, რაც გაავრცელა პროკურატურამ, არამედ იმაზე, თუ რატომ გაავრცელა და შეუშლიდა თუ არა ეს ფაქტი ხელს საქმის სასამართლო განხილვასა და საბოლოო ვერდიქტის გამოტანას. მასალაში ამომწურავად იყო წარმოჩენილი იურისტების არგუმენტები, პროკურორის განცხადება და ჟურნალისტის კონტრშეკითხვები.

აღნიშნული მწვავე და ტრაგიკული თემების გაშუქება ნებისმიერი მედიასაშუალებებისთვის არის თავისებური ტესტი. გამოცდა, რომლიც ჩაბარებისას ვლინდება ჟურნალისტური ეთიკისა და სტანდარტის მაჩვენებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.mediacheker.ge
2. www.rustavi2.com
3. საქართველოს კონსტიტუცია
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

The coverage of “Magda Papidzes case” in Georgia media

Madina Gagieva

Georgian Technical University

Resume

In this article we have tried to analyze the standards that Georgian media follows while covering high-profile murders and trials. As an example, we have considered a murder, which took place in Tbilisi at the end of 2015. For several months this crime-case was the top-news in the leading Georgian media - both online and broadcasting companies. Unfortunately, journalists, while covering this murder, very often violated the standards of professional ethics, explaining such behavior with the high public interest in the case.

Key words: presumption of innocence, murder coverage, media

Освещение «дела Магды папидзе» в грузинских СМИ

Мадина Гагиева

Грузинский технический университет

Резюме

В этой статье мы попытались проанализировать стандарты, которым грузинские СМИ следуют, когда освещают громкие убийства и судебные разбира-

тельства. В качестве примера мы рассмотрели убийство, которое произошло в Тбилиси в конце 2015 года. Это преступление на протяжении нескольких месяцев было топ-ньюзом в ведущих грузинских медиа – как онлайн, так и вещательных телекомпаний. К сожалению, журналисты, освещая это дело, очень часто нарушали стандарты профессиональной этики, объясняя это повышенным интересом общественности к данному делу.

Ключевые слова: презумпция невиновности, освещение убийства, медиа

მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებები თანამედროვე საზოგადოებაში

*ნინო შოშიტაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი*

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასმედია, სოციალური პასუხისმგებლობა, საზოგადოება, ეთიკა, ჟურნალისტური სტანდარტი.

შესავალი. თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში მასმედიის პასუხისმგებლობის საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს – ფლობენ რა საზოგადოებაზე ზემოქმედების მრავალფეროვან შესაძლებლობებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ იჭრებიან ინდივიდისა და საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან, მასობრივი კომუნიკაციის ინდუსტრიის ტექნოლოგიური სრულყოფა, ინფორმაციის გავრცელების სწრაფი ტემპი და მრავლობითი რისკები, რომლებიც თან ახლავს ჟურნალისტების ყოველდღიურ საქმიანობას, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში იწვევს პროფესიონალიზმის მრავალასპექტიან შეფასებას.

მასმედიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა ათეული წლების მანძილზე აღელვებდა მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარებს: თ.ვ. ადორნოს, მ. ჰორკჰაიმერს, გ. დებორს, პ. გოლდინგს, გ. მერდოკს, ჰ. შილერს და სხვ. ფრანკფურტის სკოლის სოციოლოგების თვალსაზრისით, მასობრივი კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ჟურნალი, კინო, რეკლამა, ტელევიზია და ა.შ.) ქმნიან „მედიაიმპერიებს“, რომელთაც ესა თუ ის სისტემა თვითშენარჩუნებისა და ინდივიდთა დაქვემდებარების მიზნით იყენებს. „კულტურული ინდუსტრია“ მართავს ინდივიდთა მოთხოვნილებებს და განსაზღვრავს მათ ჩვევებს, აქცევს მათ

პასიურებად და ჰეტერო-მართულებად, ანულირებას უკეთებს მათ, როგორც პიროვნებებს და „ერთგვაროვან მასამდე“ დაჰყავს, – აღნიშნავს თ. ადორნო. საზოგადოების განათლებისა და ადამიანის მიერ ჭეშმარიტების ძიებისას თავისუფალი პრესის მნიშვნელოვან როლზე წერდნენ ჯ. ლოკი, ჯ.ს. მილი, ჯ. მილტონი, თ. ჯეფერსონი და სხვანი.

ძირითადი ნაწილი. სოციოკულტურულ პროგრესში მუდმივად ცდილობენ შექმნან მასმედიის მორალური თუ სოციალური პასუხისმგებლობის იდეალური მოდელი, რომელიც დაფუძნებული იქნება ზოგად ჟურნალისტურ პრინციპებსა და ნორმებზე. თუმცა, როგორც დ. მაქჟუილი აღნიშნავს, – არც ერთი მედიასისტემა არ არის ბოლომდე სრულყოფილად ფორმულირებული. „მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იღებს იმ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების ელფერს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება“, – წერს ფ. სიბერტი.

მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი ერთ-ერთია იმ ოთხი თეორიიდან („პრესის ოთხი თეორია“), რომელსაც გვთავაზობენ სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები (ფ. სიბერტი, უ. შრამი და ტ. პეტერსონი). მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი გამოქვეყნდა 1956 წელს აშშ-ში, თანამედროვე მეცნიერები მასმედიის ადგილისა და როლის კვლევისას დღესაც ხშირად მიმართავენ მას.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორია წარმოიშვა XX საუკუნის 40–იან წლებში, მასმედიის არასასურველი მდგომარეობის გამო საზოგადოებასა და ჟურნალისტთა წრეებში დაგროვილი უკმაყოფილების პასუხად. მას ხშირად სოციალური პასუხისმგებლობის ანგლო-ამერიკულ თეორიასაც უწოდებენ. ამ მოდელში აისახა მასმედიის საქმიანობის ახალი მიზნის ძიება. იმ დროისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე წარმოადგენდნენ ინდუსტრიებს, აწარმოებდნენ და ავრცელებდნენ საინფორმაციო მასალებს. მასმედია წარმოადგენდა იარაღს, რომელიც უზრუნველყოფდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას საზოგადოების მხოლოდ მცირე წევრთათვის, რაც მიმართული იყო არა საზოგადოების, არამედ ინდივიდუალური კეთილდღეობისკენ. ე.წ. „ახალი ამბების ოლიგოპოლია“ ზღუდავდა განსხვავებული თვალსაზრისების გავრცელებას, რის შედეგადაც მოქალაქეს ართმევდა პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას. საინფორმაციო მასალების გაშუქებისას ძირითადი ყურადღება ექცეოდა სენსაციას, გასართობი გადაცემები ხშირად მოკლებული იყო შინაარსს. არცთუ იშვიათად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საფრთხეს უქმნიდა საზოგადოების ზნეობრიობას. ვრცლად შუქდებოდა ძალადობა, პორნოგრაფია და სისასტიკე. რამდენადაც არსებულ მედიაორგანიზაციებს აკონტროლებდა ერთი სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფი, მედიაბაზარზე ახალი სახეების შეღწევა დიდ სირთულეებს წარმოადგენდა, რითაც ირღვეოდა ღია და თავისუფალი მედია ბაზრის პრინციპი.

საზოგადოების მხრიდან აღნიშნული საკითხების განსაზღვრის კვალდაკვალ ინგლისსა და ამერიკაში თითქმის ერთდროულად შეიქმნა კომისიები, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს ვალდებულება შეემუშავებინათ მასმედიის საქმიანობის ეთიკური სტანდარტები. დ. მაქქუელი ახასიათებს სოციალური პასუხისმგებლობის თეორიულ პრინციპებს:

1. მასმედია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე;
2. საინფორმაციო მასალებში აუცილებელია მაღალი პროფესიონალური მოთხოვნების, ინფორმატიულობის, სიზუსტისა და ობიექტურობის დაცვა;
3. მასმედიის საქმიანობა თვითრეგულირდება სამართლებრივი ნორმებისა და მორალური მოთხოვნების საფუძველზე;
4. მასმედია პლურალისტურია, გამოხატავს განსხვავებულ შეხედულებებს და ქმნის საჯარო დისკუსიის შესაძლებლობას;
5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით;
6. ჟურნალისტებს აკისრიათ პასუხისმგებლობა როგორც დამქირავებლის, ისე საზოგადოების წინაშე.
7. მასმედიის საქმიანობა პირდაპირ ან ირიბად არ უნდა იწვევდეს ძალადობის, საზოგადოებრივი უწყესრიგობის პროვოცირებას და არ შეუარაცხყოფდეს საზოგადოების მცირე ჯგუფების უფლებებს.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის მიხედვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოწოდებულია გაავრცელოს საზოგადოებაში დომინანტური ფასეულობანი, მორალურ-ეთიკური ნორმები და იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციები. ამავე დროს, მასმედია ასახავს საზოგადოებრივ აზრს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მმართველი ჯგუფების, ხელისუფლებისა და კონკრეტულ პოლიტიკურ მოქმედებათა შეზღუდვისათვის, მათი მხრიდან კანონდარღვევის ფაქტების მხილებაში. სოციალური პასუხისმგებლობის თეორია აღნიშნავს რა დამოუკიდებელი პრესის მნიშვნელობას ფაქტობრივად, იმეორებს პროფესიული ეთიკის მოსაზრებებს. ამავე დროს გვთავაზობს მნიშვნელოვან ინოვაციას, რომლის მიხედვითაც მასმედია კულტურული პლურალიზმის დათქმით, პასუხისმგებელია „სამოქალაქო საზოგადოების“ ფორმირებაზე.

დასკვნა. გარკვეული თვალსაზრისით, სოციალური პასუხისმგებლობის თეორია მკვეთრად რადიკალურია თავის განწყობებში. ერთი მხრივ, მოითხოვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და მათი მფლობელების სრულ თავისუფლებას, მეორე მხრივ, გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს მათ. როგორც ლიბერტარიანიზმი წარმოიშვა როგორც ავტორიტარული იდეების ალტერნატივა, ისე

სოციალური პასუხისმგებლობის თეორიაც არის პასუხი ტოტალიტარული იდეების წინააღმდეგ.

სოციალური პასუხისმგებლობის თეორიას გამოყენების ფართო სპექტრი აქვს, რადგან ის მოიცავს სხვადასხვა კერძო მასობრივ ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე. დემოკრატიული პოლიტიკის განსახორციელებლად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უზრუნველყოფენ განსხვავებული შეხედულებების სადისკუსიო პლატფორმას. მასმედიის მაქსიმალური დამოუკიდებლობა სავსებით თავსებადია საზოგადოების წინაშე მისი ანგარიშვალდებულებისა, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს. მედიასაკუთრება და კონტროლი უნდა გავიგოთ როგორცერთგვარი საზოგადოებრივი გარანტია, და არა კერძო ფრენჩაიზი. „თავისუფალი პრესის თეორიისგან“ განსხვავებით, რომელიც გულისხმობს მასმედიას როგორც "თავისუფალი იდეების ბაზარს“, სოციალური პასუხისმგებლობის თეორია კერძო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დასაქმებულ ჟურნალისტებს ანგარიშვალდებულს ხდის არა მხოლოდ მომხმარებლის, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე. საზოგადოების წინაშე ვალდებულებაში კი იგულისხმება:

1. სამოქალაქო ფორუმის უზრუნველყოფა, სადაც მიმდინარეობს პლურალისტური დებატები საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;
2. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სადარაჯოზე მდგომი ინსტიტუტი;
3. მობილიზების იარაღი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის სწავლებას და ჩართვას პოლიტიკურ ბრძოლაში.

თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური პასუხისმგებლობის თეორია აერთიანებს სამ განსხვავებულ პრინციპს: ინდივიდუალურ თავისუფლებას და არჩევანს; მედიის თავისუფლებას; მედია ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. ზემოაღნიშნული თეზისური წინააღმდეგობის დასაძლევად სასურველია, ერთი მხრივ, ფუნქციონირებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან სამაუწყებლო პოლიტიკის განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს მედიის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის გაფართოებას. მეორე მხრივ, პროფესიონალიზმის მუდმივი სრულყოფა, იმ დათქმით, რომ პროფესიონალიზმი გულისხმობს არა მხოლოდ მაღალ კრეატიულობას, არამედ მიუკერძოებლობასა და „ბალანსის“ დაცვას, რომლებიც უმნიშვნელოვანესია მედიაკომუნიკაციისთვის.

ჟურნალისტები აღიარებენ მედიის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის ძირითად ფასეულობებს – პლურალიზმსა და კულტურულ მრავალფეროვნებას, თუმცა პრაქტიკული საქმიანობისას ნაკლებად ითვალისწინებენ მათ.

რადგან ნაკლებ საინფორმაციო ღირებულებას ანიჭებენ მცირე ინტერეს-ჯგუფებისა და საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას. სოციალური პასუხისმგებლობის თეორია იქნება ქმედუნარიანი ნორმატიული თეორია, თუ მედიის ეფექტების მრავალმხრივი კვლევისას დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოების მიზნებისა და მედიასაშუალებების მიერ შეთავაზებული „ახალი ამბების“ დღის წესრიგის შესაბამისობის შესწავლას.

თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მედიის ფორმირება გართულდა პოლიტიკური, ეკონომიკური და მედია აქტორების ურთიერთმიმართების შედეგად, რაც ნეგატიურად აისახა ჟურნალისტების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალების იდენტიფიკაციაზე.

ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი მასმედია გადაიქცა ბიზნესის დამოუკიდებელ და მომგებიან დარგად. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს კერძო სამეწარმეო ინსტიტუტს, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა ემყარება ინფორმაციის შეგროვებას, წარმოებას, შენახვას და გაყიდვას. კონკურენციის პირობებში ახალი ამბების წარმოება და გაშუქება ერთდროულად განიხილება როგორც კომერციული საქმიანობა და როგორც გარკვეული შეხედულებების გავრცელების საშუალება. შესაბამისად, მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს აქვთ საკუთარი ინტერესები, რაც ყოველთვის არ ემთხვევა და ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდევ საზოგადოების ამა თუ იმ გავლენიანი ძალის ან ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესებს. კომერციული საწყისი, რაც საფუძვლად უდევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმეტესობის საქმიანობას, პრინციპში ინდიფერენტულია შინაარსისადმი, რაც ჟურნალისტებს აიძულებს უარი თქვან საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებაზე და მთლიანად კომერციული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იმუშაონ. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული პრესა შესაძლებელია მხოლოდ იდეალურ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივ სისტემაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ სუბიექტებსა და მასმედიის წარმომადგენლებს შორის დარეგულირებულია ძალაუფლების გადანაწილება.

გვიან დემოკრატიზებულ საზოგადოებებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური გავლენის იარაღად გვევლინებიან, ხოლო ყველა დანარჩენი მოქალაქე მოკლებულია საჯაროდ თვითგამოხატვის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა დემოკრატია შეუძლებელია თავისუფალი მასმედიის გარეშე, მაგრამ მათი თავისუფლება არ უნდა ნიშნავდეს საზოგადოებისა და მოქალაქეებისგან მოწყვეტას, რომელთა ინტერესების და აზრის გამოსახატავად არის მასმედია მოწოდებული. მასმედიის საშუალებათა მაღალი ღირებულებისა და იმის გამო, რომ ყველა მოქალაქეს მათი შექმნის შესაძლებლობა არა აქვს, ამიტომ მასმედიის

დამფუძნებლებს, აგრეთვე რედაქტორებსა და ჟურნალისტებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი საქმიანობის საზოგადოებრივ შედეგებზე. დემოკრატიული რეჟიმებისთვის ძირითადად დამახასიათებელია მედიაფასეულობების ერთგვაროვნება. მედიაეთიკა ისეთ საყოველთაო ღირებულებებს ეფუძნება, როგორცაა სიმულვილის, ძალადობის, ადამიანთა დამცირების, ან მათი რომელიმე გამოვლენის უარყოფა. ჟურნალისტთა შემთხვევაში ეს საყოველთაო ფასეულობებია: ახალი ამბების სრულად, ზუსტად, რელევანტურად და დაბალანსებულად გადმოცემა; თუ განვაზოგადებთ, ცხადია, რომ ჟურნალისტური ფასეულობები აშკარა კავშირშია მედიის ფუნქციებთან. ამდენად, აუცილებელია, რომ ჟურნალისტს ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული ეს ფუნქციები. პროფესიული ეთოსი არსებობს, თუმცა ეთიკური რეფლექსები ჟურნალისტების ყოველდღიურ საქმიანობაში ნაკლებადაა გამოხატული. სამოქალაქო სექტორში არის ცალკეული ინიციატივები იმ მიმართულებით, რომ წახალისონ მედიაში თვითრეგულირების მექანიზმების არსებობა. მაგრამ თითოეული ასეთი ინიციატივა ჯერ არ ქცეულა თვითრეგულაციის ქმედით მექანიზმად. არადა, ამ მექანიზმების ამუშავება მეტად მნიშვნელოვანია მედიის პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის განვითარებისთვის. ასეთი თვითრეგულაციის მექანიზმები თვით მედიაორგანიზაციებისა და ჟურნალისტების ნებაზეა დამოკიდებული. ეს სფერო შეიძლება მედიისა და მესამე სექტორის ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის სფეროც კი გახდეს.

ჟან კლოდ ბერტრანის აზრით, მედიაეთიკა მხოლოდ დემოკრატიის პირობებში შეიძლება არსებობდეს. „თვითრეგულირება მხოლოდ იქ შეიძლება განიხილებოდეს სერიოზულად, სადაც გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება, არსებობს შედარებით წარმატებული მედია და არიან კომპეტენტური ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთი საქმით ამაყოფენ. ღარიბ ქვეყნებში მომხმარებლის სიმცირე განსაზღვრავს რეკლამის მცირერიცხოვნებას; შესაბამისად, მედია ლატაკი, კორუმპირებული და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადია. ეს ნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაში, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ოფიციალურად დემოკრატიულად არიან აღიარებული, მედიაეთიკა დიდწილად არარელევანტურია“ – აღნიშნავს ჟ. კ. ბერტრანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Siebert F., Peterson T., Schramm W. Four Theories of the Press. Urbana, 1956.
2. Mc Quail D. Mass Communication Theory: An Introduction. L., 1987.) [1, p. 109],
3. Last Rights. Revisiting Four Theories of the Press/ed. by J. Nerone. University of Illinois press. Urbana, Chicago, 1965

4. Baron S.I. and Davis D.K. Mass Communication Theory; Foundation, Fervent and Future, Belmont, 1995.
5. Altschull J.H. Agents of Power: The Role of the News Media in Human Affairs. N.Y., 1984.
6. Ср. Хоркхаймер М., Адорно Т.В. Диалектика Просвещения. Философские фрагменты. М.; СПб., 1997. Стр. 199, 307
7. Commission of Freedom of the Press. A Free and Responsible Press. Chicago, 1947.
8. Hallin, D., S Papathanassopoulos 2002, Political clientelism and the media: southern Europe and Latin America in comparative perspective Media, Culture and Society, v.24, N 2, pp.175-195
9. გ. ნოდია. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. თბილისი 2005. გვ 48-51
10. ლ. რამიშვილი. მედიის შესახებ.
11. http://www.liberty.ge/geo/menu_pages_full.php?article=yes&id=106&subTitlesId=29&from=subTitles
12. მ. მაცაბრიძე. პოლიტიკის მედიატიზაცია და მედიატექნოლოგიები. ჟურნალი – ბიზნესი და მენეჯენტი. #3(23), 2009
13. ჟ.კ. ბერტრანი. მედია, ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები. თავისუფლების ინსტიტუტი. 2004.
14. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.
15. М.М. НАЗАРОВ „МАССОВАЯ КОММУНИКАЦИЯ И ОБЩЕСТВО“ 2004

**მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებები
თანამედროვე საზოგადოებაში**

*ნინო შოშიტაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი*

აბსტრაქტი

საქართველოში მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგში დგას დემოკრატიზაციის პრინციპზე დაფუძნებული მმართველობის უზრუნველყოფა და სწორედ ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს განვითარებას ამ მიმართულებით. დღეს მასმედიას აკისრია სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, რაც საკუთარი უფლებების

რეალიზებასთან ერთად საზოგადოებრივი ვალდებულებების გააზრებასაც გულისხმობს. თუმცა უნდა უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში მედიის სოციალური პასუხისმგებლობა მყიფეა, რაც გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებითაა განპირობებული. სტატიაში წარმოდგენილია მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, აგრეთვე განხილულია მისი განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორები.

Specifics of social responsibility of media in society

Nino Shoshitashvili

Sociology Ph.D, Associate Professor

Abstract

During the ongoing reforms in Georgia, ensuring the governance, based on democratic principles is the order of the day. That is the reason why mass information sources represent one of the most essential social institutions, contributing to development of state in the following direction. Nowadays media holds social responsibility, and along with realization of its own rights, it includes sharing social obligations as well. It is worthy to mention that countries with new democracies, the social responsibility of media is fragile, which is caused by certain objective or subjective reasons. The article represents basic tendencies and directions of Theory of Social Responsibility, also reviewing contributing and impending factors.

Key Words: Media, Social responsibility, Society, Ethics, Journalist Standard

Conclusion

To certain extent, theory of social responsibilities is quite radical. Firstly, it requires total freedom of mass information remedies and their owners. Secondly, it implies certain obligations. Theory of social responsibilities is an answer against totalitarian ideas, same way libertarianism was founded as an alternative to authoritarian ideas.

Utilization of theory of social responsibilities has a wide spectrum. Because it contains various private mass information remedies and public broadcasting institutions, which are accountable to society. To ensure the existence of democratic politics, mass

information remedies provide platforms for various discussions. Total independence of media is fully compatible with its accountability to society. Because the functioning of sources of mass information is based on acknowledged standards. Media-ownership and control should be understood not as private franchise, but as social guarantee. Apart from “Free market of ideas” theory, social responsibility theory holds employed journalists responsible not only to consumer, but to entire society.

Obligation to society contains:

1. Ensuring civil forum, where the pluralist debates are held about essential social topics.
2. Institution guarding against abuse of power.
3. Weapon of mobilization, which contributes to population learning and participating in political processes.

In modern societies, theory of social responsibilities unifies three different principles: Individual freedom and choice; media freedom; accountability of media to society. To overcome thesis contradiction, it is necessary, in the first place, for public broadcasting services to function. Which will be depended on creating broadcasting politics, aiding to enlarge the concept of social responsibility. In the second place, constant perfection of professionalism. In regard of fact that professionalism does not only include creativity, but unbiased attitude and keeping the “balance” as well, which is vital for media communication.

The journalists recognize basic values of social responsibility theory – pluralism and cultural diversity. Though rarely acknowledging them for practical work.

Because they consider small interest groups and daily social activities as topics of little informational value.

Theory of social responsibilities will be operative and normative theory, only if research of media effectiveness pays more attention to goals of society and researching the news, as offered by media remedies.

During the transformation of modern society, formation of socially responsible media became more complicated due to correlation of economical and media actors. Which reflected negatively on identity of journalists and independent professionals.

Economically rapid developing media turned into an independent and profitable form of business. Remedies of mass information represent an institution of private sector, a branch of economy, activity of which serve allocation, production, storing and selling. In the following form, functioning of media obeys the principles of market economy. In terms of competition, news production and presentation is understood as commercial

business and a source to spread certain views. Relatively, the sources of mass information have their own interests, which does not always concur (and in some cases disagree) with the interests of powerful forces and political supervisors. Commercial basis, fundament of mass information sources, is typically indifferent to plot, obligating the journalists to refuse executing social functions and work entirely for satisfying commercial needs. Press, accountable to society, is possible only in ideal conditions. When in social system, power is regulated between economic or political subjects and media representatives.

In lately democratized societies political battle is ideologies, and political programs are evaluated by ideological truthfulness, instead of effectiveness. In mentioned societies, sources of mass information are weapons to imply political power, and rest of citizens lack the liberty to publicly express themselves. Of course, the democracy is impossible without free media, but freedom should not mean an abstinence from society and citizens, interests of which is the main aim for mass media. Due to high values of mass media and the fact that not every citizen is able to create it, media founders, editors and journalists have certain responsibilities for social consequences of their activities.

Uniformity of media values is typical for democratic governances. Media ethics is based on common principles, such as refusing to reveal hatred, human rights violation or violence. In the following case, these are common principles: presenting complete, precise, relevant and balanced news. If we generalize, it becomes evident that journalistic values are in direct correlation with the functions of media. As a result, it is necessary for a journalist to have proper knowledge of these functions.

Professional ethos exists, however ethical reflexes are poorly expressed in daily activities of journalists.

There are separate initiatives in civil sector, to encourage an existence of self-regulatory mechanisms. More precisely, standard of media behavior was created by “Free Institution” initiatives. Media council, which was joined by numerous media organizations and journalists, although mechanism of standard monitoring was never founded. Not a single initiative has ever become an active self-regulatory mechanism. Though these mechanisms are very essential for development of professionalism and independence of media. Following self-regulation is depended on will of media organizations and journalists themselves. This particular field can also become a collaboration branch of media and third sector organizations. In Georgia there is an absence of strong media organizations and journalist unions, which would lobby and solve particular problems.

Recently in Georgia, there has been multiple conversations about media ethics, professional unions and journalistic self-regulation, but it is vivid that media itself understands the least about the concept of professional self-regulation. The following can

be blamed on several reasons, but the most important is blending of journalistic rights and responsibilities. Self-regulatory mechanisms and journalist unions are not shackled by complaints only against media, and represents a democratic institution, created by media itself. Which spreads the interests of media's relationship with the government. Meanwhile it helps the journalists, to feel as members of professional environment and fight for progress of a society as an essential social group. Social progress is depending on quality of how responsible is media to society, and here is main function of self-regulatory media: to be a contributor of this process, an indicator, but not a censor or professional union, as imagined by many.

Jean Claude Bertrand considers that ethics of media can only exist in democracy: "Those, thinking that people cannot lead their life and reason independently, will not be able to allow self-control. Self-regulation can only be discussed seriously where free speech is guaranteed. There is relatively successful media and there are competent journalists, proud of their job. In poor countries, scarcity of advertising is defined by lack of customers. Therefore, media is poor, corrupted and controlled by the state. Meaning, that in most of countries (despite the fact that they are officially recognized as democracies) media ethics is mostly irrelevant."

Особенности социальной ответственности СМИ в современном обществе

Нино Шошиташвили

доктор социологии. ассоциированный профессор.

Абстракт

ქრისტიანული მოძღვრების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენდა ასევე ის ფაქტი, რომ რომი განიცდიდა ნივთიერ, მატერიალურ კეთილდღეობას და სულიერ სიცარიელეს. ბერძნების აზრით, ის სულიერი საზრდო, რასაც მათ წარმართული რელიგია აწვდიდა, მათთვის აღარ იყო საინტერესო და საკმარისი. მათ აღარ სჯეროდათ წარმართ-თული კერპების სასწაულმოქმედი ძალის.

ქრისტიანობა ჩაგრულთ საიქიო ნეტარებას დაჰპირდა. მისი დოგმის შემადგენელმა ნაწილმა დადებითად იმოქმედა მოსახლეობაზე, რომელიც შეეხებოდა სულის თანასწორობას ზეცის წინაშე. თანასწორობის საკითხი დიდ ეფექტს ტოვებდა განსაკუთრებით ღარიბ, უპოვარ, ჩაგრულ მოსახლეობაში.

ქრისტიანობა აჭარაში. აჭარაში ქრისტიანობის ისტორიაზე საუბრისას, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მან აქ თავისი როლი ეროვნულ საკითხებშიც, კერძოდ, ქართული მეობის შენარჩუნება-შენახვაშიც შეასრულა.

ჩვენს სახელოვან წინაპრებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მამა-პაპათა რჯულის წართმევით ქართველობასაც დაკარგავდნენ. ამიტომაც თავდაუზოგავად იბრძოდნენ. ოსმალთა თითქმის ოთხსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში მშობლიური ენისა და კულტურის, ეროვნული მეობის შენარჩუნება-შენახვისათვის.

ქრისტიანობა არაბულ სამყაროში. პროტესტანტულმა რელიგიურმა მიმდინარეობამ, მე-18 ს-ის დასასრულსა და მე-19 ს-ის დასაწყისში არაბულ სამყაროში შეაღწია და მას უწოდებდნენ Evangelicism. ეს მოძრაობა წარმოიშვა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. პროტესტანტები ხაზს უსვამდნენ ბიბლიის აბსოლუტურ ავტორიტეტულობას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია ისტორიიდან, ქრისტიანობა და ისლამი, მათი მიმდევარი მოსახლეობა, უძველესი დროიდან იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ისლამური იდეოლოგია მუსლიმანურ სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობებში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა.

ცნობილია ის ფაქტი, რომ ისლამის დამაარსებელმა მუჰამედმა, რომელიც გამოჩნდა მე-7 ს-ში, ბევრ საკითხში სწორედ ქრისტიანობისა და იუდაიზმისგან იხელმძღვანელა, რათა ახალი, სხვა რელიგიებისგან ცალკე მდგომი რელიგია შეექმნა.

ისლამი - (ალ-ისლამ) არაბულად „ალაჰისადმი თავის მიცემას“ ანუ „მორჩილებას“ ნიშნავს. ისლამის მიმდევრების წმინდა წიგნია ყურანი.

ისლამის ძირითადი მიმართულებები. ისევე, როგორც სხვა რელიგიებში, ისლამშიც არის სხვადასხვა მიმართულება და სექტა. მათ შორის სუნიზმი, შიიზმი და სუფიზმი.

ისლამის მიმდინარეობებს შორის ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანია სუნიზმი, რომელიც ემყარება ყურანს და სუნას, გადმოცემათა კრებულებს. სუნიტები თვლიან, რომ მხოლოდ ისინი არიან ჭეშმარიტი ისლამური ტრადიციის გამტარებლები და გამგრძელებლები, სუნიზმი უარყოფს რაიმე შუამავლობის შესაძლებლობას ალაჰსა და ადამიანებს შორის მუჰამედის სიკვდილის შემდეგ.

რაც შეეხება მეორე მიმდინარეობას - შიიზმს, იგი, ყურანის და ზოგიერთი ჰადისის გარდა, აღიარებს წმინდა გადმოცემას, რომელსაც აჰბარი ეწოდება. შიიტები, სუნიტებისგან განსხვავებით, ყურანს ქარაგმულად განიხილავენ.

ისლამის მესამე მიმდინარეობაა სუფიზმი, რომელიც სუნიზმთან და შიიზმთან შედარებით, უფრო გვიან, მე-9 ს-ში წარმოიქმნა. ეს არის მუჰამედის მოძღვრების თავისებური გაგება, რომელსაც საფუძვლად უდევს ღმერთის წვდომის მისტიკურ-ასკეტური გზა. სუფიები ქადაგებენ მორჩილებას, მოთმინებას, ასკეტიზმს, სიღარიბეს, ღვთის შიშს და უსაზღვრო სიყვარულს. ცხოვრების ასეთმა წესმა მორწმუნე ცვეულებრივი ლოცვა-ვედრებიდან უნდა მიიყვანოს უფრო სწორ

გზამდე - ალაჰის მისტიკურ წვდომამდე. ასეთი რამ კი მხოლოდ რჩეულთათვის არის მისაწვდომი.

ლიტერატურა

1. „ქრისტიანობა - წარსული და თანამედროვეობა“, თეიმურაზ ფანჯიკიძე, 1984 წ.
2. „ქრისტიანობა საქართველოში“, ალ. მანველიშვილი, პარიზი, 1954 წ.
3. „ქრისტიანობა აჭარაში“, ი. ბეჭირიშვილი, 1991 წ.
4. „ქრისტიანობა არაბულ სამყაროში“, ალ-ჰასან იბნ ტალალი, 2009 წ.
5. „ქრისტიანობა და ისლამი, მუდმივი წინააღმდეგობა თუ დიალოგი?“, ნ. გომართელი, 2012წ.
6. „მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები“, თეიმურაზ ფანჯიკიძე, თბ. 1999 წ.
7. „ისლამი (რელიგია: წარსული და თანამედროვეობა)“, რუსუდან წიქვაძე, თბ. 1998 წ.
8. <https://ka.wikipedia.org> - ქრისტიანობა.

ქრისტიანობა და ისლამი

ასმათ გიორგაძე, მაგისტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია „ქრისტიანობა და ისლამი“ შეეხება იმ ორ უძველეს რელიგიურ მიმდინარეობასა და მათ განშტოებებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ რელიგიების მიმ-დევართა ურთიერთობების განსაზღვრაში, მათი პოლიტიკური, კულტურული და ეთ-ნიკური ჩამოყალიბების პროცესში.

აღნიშნულ სტატიაში განხილულია ისლამისა და ქრისტიანობის ყველა მიმარ-თულება, ასევე ნათლად არის წარმოდგენილი თითოეული მათგანის თავისებურება, მათ შორის ერთ რელიგიურ მიმართულებებს შორის სხვაობები, მათი ჩამოყალიბების ისტორია და გავრცელების არეალი.

ამ სტატიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებ თითოეული რელიგიის ინდივიდუალიზმის წარმოჩენაზე, მათ ერთმანეთთან კავშირზე და ამასთანავე, საკუთარი იდენტობის არსებობაზე.

მიუხედავად იმისა, სტატიაში აღვნიშნე, რომ ისლამის ფუნდამენტს სწორედ ქრისტიანობა და იუდაიზმი წარმოადგენს, მან მაინც შეძლო განვითარება, როგორც

დამოუკიდებელმა რელიგიურმა კონფესიამ, იგი მორგებული იქნა ადილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და ერთ-ერთ ძლიერ და დამოუკიდებელ რელიგიად მოგვევლინა სხვა კონფესიების გვერდით.

Christianity and Islam

*Asmat Giorgadze, master
Georgian Technical University*

Summary

The article, „Christianity and Islam ” for those two is being the oldest religious-identity and their branches, which have played an important role in defining the relationship between religions, their political, ethnic and cultural development process.

The article deals with Islam and Christianity all directions, theoretically, is clearly presented for each of the features, including religious differences between areas, and the history of their distribution area.

This article will point out the special importance of each individual religion, they are interconnected and at the same time, the existence of their own identity.

While the article mentioned that the foundation of Islam, Christianity and Judaism is, he still was able to develop as an independent religious religion, it has been tailored to local social life and a strong and independent religion appeared side by side with other denominations.

Keywords: Islamic ideology, Islam, Judaism, Christianity, Catholicism, Orthodoxy, Protestantism, Shiism, Sunism, Sufism.

Христианство и ислам

*Асмаг Гиоргадзе, мастер
Грузинский технический университет*

резюме

В статье „христианство и ислам“ для двух старейших религиозно – укрепляется и их филиалы, которые сыграли важную роль в религиозно-последователь отношений в определении их политического, культурного и этнического процесса формирования.

В статье рассматривается ислам и христианство всех направлений, теоретически, четко представлены для каждой из функций, в том числе и религиозные различия между районами, а также истории их ареала.

В этой статье будет указать на особую важность каждой отдельной религии, они соединены между собой и в то же время, существование их собственной идентичности.

В то время как статья отметил, что основа ислама, христианства и иудаизма, он все еще был в состоянии развиваться как самостоятельное религиозной религии, она была с учетом местной общественной жизни и сильной и независимой религии появились бок о бок с другими конфессиями.

Ключевые слова: Исламская идеология, ислам, иудаизм, христианство, католицизм, православие, протестантизм, шиизм, суннизм, суфизм.

განქორწინების დონის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები

ნანა მენაბდიშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის
მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი.*

საქართველოში ტრადიციულად განქორწინების დონე ყოველთვის დაბალი იყო, რასაც განაპირობებდა ქართველთა ეთნოფსიქოლოგია, არსებული ტრადიციები, ცხოვრების წესი. ქართველებისათვის ოჯახი ყოველთვის მნიშვნელოვანი ღირებულება და პიროვნების შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო. ამიტომ დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ მის დარღვევას. ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად შეცვლილი. საქსტატის მონაცემებით განქორწინების რიცხვი ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. თუ 2001 წელს განქორწინების კოეფიციენტი 1000 კაცზე 0,5 შეადგენდა, 2015 წელს 2,5 მიაღწია. განქორწინების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 0-დან 10 წლამდე ქორწინებებში. მათ შორის კი ერთ წლამდე ასაკის ქორწინებებში.

ყოველი კინკრეტული განქორწინების უკან დგას გარკვეული მიზეზი ან მიზეზთა კომპლექსი, რომელიც მეტ-ნაკლებად ხსნის მოცემული ქორწინების რღვევის ფაქტს. არსებობს განქორწინების მიზეზთა სხვადასხვა კლასიფიკაცია, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და ხშირ შემთხვევაში

ერთმანეთს ავსებს. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ განქორწინება იშვიათად ხდება მხოლოდ ერთი მიზეზით, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს მიზეზთა მთელ კომპლექსს. ჩვენი ნაშრომის მიზანი არაა კონკრეტული განქორწინების მიზეზების გარკვევა, არამედ ზოგადად განქორწინების რიცხვის ზრდის ძირითადი მიზეზების დადგენაა.

განქორწინებას, როგორც სოციალურ მოვლენას რიგი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. ერთ მხრივ ის პიროვნების თავისუფლების გამოხატულებაა. ფრანგი დემოგრაფები პატრიკ ფესტი და ფრანს პრიუ აყალიბებენ რა განქორწინების სახეების კლასიფიკაციას, ერთ-ერთ სახედ ასახელებენ განქორწინება-ხსნა-ს (divorce-remode), რომელიც ათავისუფლებს „უდანაშაულო“ მეუღლეს უბედური ქორწინებისაგან. საშუალებას აძლევს დაიცვას საკუთარი ინტერესები და უფლებები. განქორწინებას რიგი უარყოფითი შედეგებიც მოსდევს: არასრული ოჯახების წარმოშობა, მარტოხელათა რიცხვის ზრდა, ოჯახის აღმზრდელობითი შესაძლებლობების დაქვეითება და ა.შ.

განქორწინებას, თავისი შედეგები მოაქვს არა მარტო თვით განქორწინებული ინდივიდებისათვის და ბავშვებისათვის, არამედ ოჯახის და სხვა ინსტიტუტებისათვის, და ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის. უარყოფითად ითვლება განქორწინებისგან მიღებული დემოგრაფიული დანაკარგები. პირველ რიგში, მარტოხელათა რიცხვის ზრდა. ყალიბდება ოჯახის სრულიად ახალი, ტრადიციული ოჯახებისაგან განსხვავებული ტიპი – „არასრული ოჯახი“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ასევე „ერთმშობლიანი ოჯახის“ ან „მონომშობლების ოჯახის“ ცნებებიც. სამივე ტერმინი ოჯახში მხოლოდ ერთი მშობლის არსებობას მოწმობს, ოჯახის არასრულ ბირთვს გულისხმობს. ასევე უარყოფით შედეგად ითვლება შობადობის დაცემა. საქართველოში ბოლო პერიოდში ქორწინების რაოდენობის შემცირების და გადაადების შედეგად გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი. მან ქალებისათვის 26,5 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 29,8 წელი შეადგინა. ამ ფონზე დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს განქორწინებათა მაღალი მაჩვენებელი. რადგან აღნიშნული, ისედაც შემცირების მქონე შობადობის ტენდენციებში კიდევ უფრო ამცირებს პირველი და მეორე შვილის დაბადებას. ხშირად განქორწინების დროს ქალი ფერტილურ ასაკშია, ამაზე მეტყველებს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით განქორწინების საშუალო ასაკი ქალებში 36,8 წელია, მამაკაცებში კი 40 წელი. განქორწინების წინა კონფლიქტები კი აიძულებს თავი შეიკავოს ბავშვის დაბადებისაგან, რადგან არ არის დარწმუნებული საკუთარი ქორწინების მომავალში.

ოჯახი ადამიანებს შორის სიყვარულის საფუძველზე გაერთიანების ინსტიტუტია. თუმცა ქორწინების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის მთავარი მოტივიც სიყვარულია, ფასდება როგორც უიღბლო. ქორწინების ძირითადი მოტივისა და ქორწინების კავშირის სიმყარეში მყარი ურთიერთკავშირის

უქონლობის მიზეზად შეიძლება დასახელდეს თავად სიყვარულის ფენომენის სირთულე, ისეთი მახასიათებლებით როგორცაა მუდმივობა, სიღრმე, გამძლეობა, რომელიც მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული საზოგადოებაში გაბატონებულ ესთეტიკურ და ზნეობრივ ღირებულებებზე. მეორეც, მოცემული ღირებულებების ინტერპრეტირებაზე ინდივიდუალურ დონეზე.

რომანტიკულ სიყვარულზე დამყარებულ ქორწინებას საფუძვლად უდევს პარტნიორებს შორის დადებული ემოციური კონტრაქტი, რომელიც დაფუძნებულია პირად სწრაფვასა და შეთავსებადობაზე. მაგრამ მოლოდინი, რომელიც თან ახლავს რომანტიკულ სიყვარულს იმსხვრევა ქორწინებაში რეალურ ცხოვრებასთან შეჯახებისას. ქორწინებასთან დაკავშირებულ მაღალ მოლოდინებს თან ერთვის მოთხოვნები პარტნიორის მიმართ. სიყვარულს ხშირ შემთხვევაში თან სდევს გულის გატეხვა, არც თუ იშვიათად ფსიქოლოგიური კონფლიქტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ურთიერთობები მოცემულ კონკრეტულ სიყვარულით ქორწინებაში. ამდენად, ქორწინებაში რეალურის და იდეალურის ერთმანეთთან შეუთავსებადობა, პიროვნული ღირებულებების დაკმაყოფილებაზე გამახვილებული აქცენტი პარტნიორებში იწვევს არა ყოველთვის თანმხვედრ მოლოდინს და, როგორც სოციოლოგი ენტონ გიდენსი აღნიშნავს, ეს არის განქორწინების რიცხვის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი. (Гидденс Э. 1999.) იგივე აზრს იზიარებს სოციოლოგი მასიონისი. ის თვლის, რომ ვინაიდან სიყვარული ნაზი გრძნობაა, ამიტომ ის ნაკლებ მტკიცე საფუძველია ქორწინებისათვის, ვიდრე სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი. რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ აშშ-ში განსაკუთრებით ბევრია განქორწინება იმ ქვეყნებთან შედარებით სადაც კულტურული ტრადიციები ზღუდავენ ახალგაზრდებს საქორწინო პარტნიორის არჩევანში. (Д. Ж. Масионис, 2004).

ვიქტორ ფრანკლი მოითხოვს ქორწინების საფუძველი იყოს ნამდვილი სიყვარული და გამოირიცხოს შემთხვევითობა, როდესაც ქორწინებას აგებენ გატაცებაზე, რომელიც გარდამავალი „ემოციური მდგომარეობაა და ქორწინების მიმართ საწინააღმდეგო მაჩვენებელია“. ქორწინება არ ეტევა პირად განცდათა ფარგლებში, “ესაა სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის რთული სტრუქტურა და კანონიერი სახელმწიფოს ან კიდევ ეკლესიის მხრივ სანქცირებული”. ქორწინება ფრანკლის აზრით, სიღრმისეულია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა შრეა. ამიტომ, ვიდრე ქორწინება მოხდებოდეს, უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული სოციალური პირობები. არა თუ უბრალო გატაცება შეყვარებაც არ მიიხნევა ქორწინებისათვის საკმაო საფუძვლად. საქმე ისაა, რომ შეყვარება წარმოიშვება ზოგჯერ სრულიად განსხვავებული ხასიათის, ღირებულებითი ორიენტაციების, განწყობების და მსოფლმხედველობის მატარებელ ადამიანებს შორის. ასეთ შემთხვევაში ლიუისის თქმით „ბევრი უბედური ქორწინება შეიძლება იყოს ქორწინება სიყვარულით“. ხშირად შემთხვევითია ის სტატისტიკა, რომელიც სიყვარულით ქორწინების რღვევას,

განქორწინებას აჩვენებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად სიყვარულად თვლიან მის მსგავს, მოჩვენებით სიყვარულის ფენომენებს: გატაცებას, ნდომას, შეყვარებულობას თუ სხვა. ლუისის აზრით, შეყვარებულობა გამოდგება ქორწინებისათვის როგორც საწვავი, მაგრამ მარტო ეს არ კმარა და იგი შენარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუდამ გავწმენდთ და გავუფრთხილდებით, მაგრამ თუ თავს დავუხრით, და ის მოითხოვს თავის დახრას და მორჩილებას, მაშინ ეშმაკად იქცევა. (ე. კოდუა, 1998)

თანამედროვე ოჯახი „სიმეტრიულია“, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაობს ცოლიც და ქმარიც. ამგვარი ოჯახი ხასიათდება ოჯახური როლების მაღალი მოქნილობით. ეს არის საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი ადაფტაცია. ქალის როლების გამოყოფა გენდერული ნიშნით წარსულში რჩება, ორივე მეუღლე, სიტუაციისა და კომპენტენტურობის შესაბამისად, ასრულებს როგორც ლიდერის ისე სხვა ფუნქციებს. ხდება ტრადიციული ოჯახური როლების და მოვალეობების გადაფასება. სახეზეა ზოგიერთი სოციალური მოთხოვნების და ოჯახური ნორმების წინააღმდეგობრიობა. მაგალითად სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ხელფასის რაოდენობა. ეს დაკავშირებულია თანამედროვე საზოგადოების დაჩქარებულ განვითარებასთან და საბოლოო ჯამში მიდის ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, იზოლაციის ზრდასთან და ოჯახური კავშირების შესუსტებასთან.

განქორწინების რიცხვის ზრდის ფაქტორებს შორისაა დაქორწინებულებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ინტელექტით, განათლებით და კულტურით. სოციოლოგიაში ჰომოგამიას განიხილავენ, როგორც საქორწინო პარტნიორის არჩევის და ქორწინების სიმყარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რდაგან მიჩნეულია, რომ მსგავსი ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე ინდივიდებს შორის ქორწინება უფრო მეტადაა შესაძლებელი და მყარი, ვიდრე იმ ინდივიდებს შორის ვისი მახასიათებლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთნაირი შეხედულებები, მრწამსი, ღირებულებები და ნორმები აერთიანებთ ადამიანებს, ამიტომ ასეთი პარტნიორები ერთმანეთს უფრო მეტად შეეფერებიან და ეგუებიან ვიდრე განსხვავებული.

ოჯახურ-ქორწინებითი ურთიერთობები ძალიან მგრძობიარეა საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებებისადმი. მისგან მომდინარეობს გამოწვევები და პრობლემები, რომლებიც ოჯახს ახასიათებს. განქორწინების დონის ზრდა, ეს არის პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, ამის ძირითადი მიზეზი ეკონომიკურია. საქმე იმაშია, რომ საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონე, განათლება საშუალებას აძლევს ქალს დამოუკიდებლად (მარტომ) შეინახოს ოჯახი, გამოკვებოს და აღზარდოს ბავშვები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. კოდუა სოციოლოგია, ნაკვეთი 2, 1998, 70
2. Гидденс Э. Социология. М 1999. 370.
3. Масионис Д. Ж. Социология. 2004. 591.
4. Синельников А Б Социально одобряемые причины развода в прошлом и настоящем соц ис 1992 №2 27-37.

THE DETERMINING FACTORS FOR THE INCREASE IN THE DIVORCE RATE

Nana Menabdishvili

Summary

The number of divorces has increased significantly in recent years. If the divorce coefficient was indicated of 0,5 for per 1000 population in 2001, it reached of 2.5 in 2015. In demography the special attention is given to the rate of divorce, as it's connected to the demographic losses such as: an increase in the lonely persons' number, a falling of the birth rate.

Incompatibility with each other of real and ideal expectations in marriage, concentration on the satisfaction of the personal values, not always provokes satisfaction corresponding to the expectations, this is the one of the factors associated with an increase in divorces.

The high flexibility of the family roles is typical for the modern family, this is the quick adaptation to the changes taking place in the society. The traditional view associated with the gender-specific female role is already in the past. Reevaluation of the traditional family roles and responsibilities is taking place. Incongruity between the certain social demands and family norms became a reality today. This fact in the end causes the growth of isolation of a family, as an important social institution and a loosening of the family ties.

Among the factors contributing to the increase in divorce rate are as the follows: significant difference among the married couples by the intelligence, education and culture level.

The family marital relationships are very sensitive to the changes taking place in the economic, political and social fields of life. These changes cause the challenges and the problems, typical for all the developed countries. According to the sociological research, the main reason of this is an economic factor. The point is that, the reached development of productive forces, education allows a woman to support a family, feed and train the children independently.

keywords: divorce, family roles and responsibilities, family ties, gender equality.

Факторы роста уровня разводимости

Нана Менабдишвили

Резюме

За последний период ошутимо выросло число разводов. Если в 2001г коэффициент разводимости на 1000 человек составлял 0,5, то к 2015 году он достиг 2,5. В демографии большое значение придается разводам, определяющих демографические потери: рост одиноких людей, падение рождаемости,

Несовместимость реального и идеального в браке, обостренный акцент на удовлетворение личностных ценностей среди партнеров, не всегда соответствует совместным ожиданиям, что является одним из фактором роста разводимости.

Современная семья характеризуется высокой гибкостью семейных ролей, что является бистой адаптацией на происходящих в обществе изменениях. Происходит переоценка традиционных семейных ролей и обязанностей. Налицо противостояние некоторых социальных спросов и семейных норм. Этот в конечном счете, вызывает рост изоляции семьи, как социального института и ослабление семейных связей.

Среди факторов роста количества разводов – значительная разница среди брачной пары по интеллекту, образованию и культуре.

Семейно-бражные отношения очень чувствительны происходящих в обществе экономических, политических и социальных изменелях. Из них возникают вызовы и проблемы для семьи. Рост уровня разюдов это проблема, характерная для всех развитых стран. По социологическим, исследованиям основной причиной является экономический фактор. Дело в том, что достигнутый уровень развития производительных сил, уровень образования, дает возможность женщине содержать семью самостоятельно, обеспечить плщей члеюв семьи и воспитивать детей.

Ключевые слова: Развод. Семейные роли и обязанности. Ослабление семейных связей. Гендерное равноправие

მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება პიროვნების სექსუალური თავისუფლებისადმი

ლელა მენაბდიშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის
მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი*

საკვანძო სიტყვები: მართლმადიდებელი მორწმუნე, თავისუფალ სექსუალური ურთიერთობა, ცნობიერება.

გლობალიზაციის პროცესმა ფართოდ გაუღო კარი ჩვენი საზოგადოებისთვის ადრე მიუღებელ და სამარცხვინო ღირებულებებს. წინა მხარეს გამოვიდა პიროვნული თავისუფლება სექსუალურ საკითხებში. ჩვენ საზოგადოებას ტრადიციულად, ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. ამგვარ დამოკიდებულებას ამყარებდა ჩვენი სარწმუნოებაც. დღეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ხდება სექსუალური თავისუფლების ღია თუ ფარული პროპაგანდა. არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი „ქალწულობის ინსტიტუტი“. უმეტეს შემთხვევაში მას, განიხილავენ როგორც მავნე ტრადიციას. ეპისტოლეებში და საკვირაო ქადაგებებში არაერთხელ გაუმხვილებია ამ საკითხზე ყურადღება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II. „მასმედიის საშუალებებით ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მათში დანერგოს არაერთგვანო, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართული ერის დაშლასა და გადაგვარებას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენთაგანის გულიც და გონებაც ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად ან თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას. ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენ მამა-პაპათ გამოუვლიათ.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა, ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.“ (ილია II. 2007)

ღირებულებები ჩვეულებრივ მოიცავენ ინდივიდის და საზოგადოების მისწრაფებებს. ისინი ეხებიან სასურველ ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ და ამართლებენ წარსულ ქმედებებს. (Braithwaite & Scott, 1991) საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ღირებულებები მეტწილად ისტორიული დროით, კულტურით, სასიცოცხლო ციკლითა და პიროვნული მახასიათებლებით არის განსაზღვრული. სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს შეცვლა დასაბამს აძლევს ღირებულებათა ცვლილებას. მაგრამ ღირებულებები შედარებით ნელა იცვლება იქ სადაც რელიგიის გავლენა მაღალია.

ქრისტიანულ სარწმუნოებას არც თუ იშვიათად აიგივებენ მორალურ დოქტრინასთან. ქრისტიანული რელიგია ყველათვის იფუნქციონირებს მიმართულია იმისკენ, რომ გონივრულ საზღვრებში ჩააყენოს და განამტკიცოს ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრება. ის მორწმუნეს თავშეკავებული ცხოვრებისაკენ მოუწოდებს. მორწმუნე ადამიანის მორალური ცნობიერება განსაზღვრავს მის ქცევას. ღმერთის რწმენა იწვევს ადამიანის ტრანზორმაციას, პირველ რიგში, თვით ღმერთის, მერე, ერთმანეთისადმი სიყვარულის და პატივისცემის მიმართულებით. ამდენად, ღმერთის რწმენა განსაზღვრავს ადამიანის მთელ პრაქტიკულ ზნეობას. მორწმუნის ქცევა კონტროლდება თავად სარწმუნოებით, რადგან, როგორც ამბობენ: „რწმენა, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის სულით შეხვედრას ღმერთთან“ (С Франк, 1992).

საქართველოში მართლმადიდებლურ ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როგორც ერთ–ერთ საკვირაო ქადაგებაზე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II აღნიშნა: „საქართველოს ეკლესია ის ეკლესიაა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ერი ნგრევისაგან და მომავალშიც ჩვენი ეკლესია იქნება მართლმადიდებლობის სადარაჯოზე“. ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელია. მართლმადიდებლური ტაძრები სავსეა მრევლით. რაც იმის მაუწყებელია, რომ ისინი იზიარებენ და ცხოვრობენ იმ მცნებებით, რომელსაც ჩვენი ეკლესია ქადაგებს. მართლმადიდებლური ეკლესია ყველაზე მაღალი ნდობის მქონე სოციალური ინსტიტუტია საქართველოში.¹ ამიტომ, აქტუალურია, ამ სოციალური ჯგუფის დამოკიდებულების გარკვევა თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის საკითხისადმი. 2015 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა თემაზე:

¹ ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ქართული საზოგადოების ღირებულებები.2006. ეკლესიისადმი ძალიან დიდი ნდობა აქვს 54,1%, საკმაოდ დიდი – 21,0%, დიდი – 12,2%.

ელგუჯა მენაბდიშვილი, სტუდენტი ახალგაზრდების რელიგიისადმი დამოკიდებულება, ანალები, 2012 №7. ეკლესიისადმი ძალიან დიდი ნდობა აქვს 78,8%, დიდი – 14,7%.

„მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი“. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა არ არის ერთადერთი, რომელიც მართლმადიდებელი მორწმუნეების დემოგრაფიულ ქცევას შეისწავლის. 2006 წელს ელგუჯა მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით ნინო ჩიკვილაძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე: “მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები“. 2004 წელს ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა. რესპონდენტები, როგორც მაშინ ისე ახლა, თავად ახდენდნენ შეფასებას საკუთარი მორწმუნეობის შესახებ. ამ ორი კვლევის შედეგების მიხედვით, ნაშრომში განხილული იქნება განიცადა თუ არა მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულებამ ტრანსფორმაცია პიროვნების თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის საკითხებში.

ქალწულობის დაცვის უდიდეს მნიშვნელობას გვასწავლის ეკლესია, „.....ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგემინოს თქვენ“ (მათ. 6.33), ბრძანებს მაცხოვარი. ეკლესიის წიაღში ცათა სასუფეველის დამკვიდრების ორი კურთხეული გზა არსებობს – ქალწულობისა და ოჯახური თანაცხოვრების, ანუ ქრისტიანული ქორწინების. ორივე გზა საპატიოა და ზეცად ამყვანებელი, თუმცა პირველს მეორესთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია, რაც სულ მცირედიდაც არ აკნინებს ღვთივკურთხეულ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, რაზეც ასე განგვსწავლის დედა ეკლესია: „საიდუმლოჲ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესთვის და ეკლესიისა“ (ეფეს. 5.32) (დეკანოზი ბიძინა გუნია, 2012). მეორე მხრივ კი, ჩვენ საზოგადოებაში ხშირად დაცინვის ობიექტი ხდება სწორედ ის ღირებულებები, რის დაცვასაც ჩვენი სარწმუნოება ქადაგებს. საინტერესოა, როგორ ზემოქმედებას ახდენს ეს მართლმადიდებელ მორწმუნეებზე, ცვლის თუ არა მათ დამოკიდებულებას „ქალწულობის ინსტიტუტისადმი“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხს განვიხილავთ ორი კვლევის მაგალითზე.

მონაცენებიდან ნათლად ჩანს, რომ ის პროპაგანდა, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მიდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მორწმუნე ადამიანის ცნობიერებაზე, ცვლის მის დამოკიდებულებას. მართალია, მორწმუნე რესპონდენტებში კვლავ მაღალია მათი რიცხვი, ვისი აზრითაც ქალს ქორწინებამდე არ უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება, მაგრამ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება წინა კვლევით მიღებულ შედეგებს.

ცხრილი 1. რესპონდენტთა დამოკიდებულება ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის გამოცდილებაზე(%)

წლები	ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება უნდა ჰქონდეს ქალს								
	ვიზიარებ			არ ვიზიარებ			მიჭირს პასუხი		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
2004	1,6	3,9	1,6	94,3	86,4	89,1	4,1	9,7	9,3
2015	5,7	5,1	5,3	72,0	76,7	75,2	22,3	18,2	19,5

მასობრივი საინფორმაციო საშუალებებში ასევე ხშირად შექცდება თვისუფალი სექსუალური ურთიერთობების, არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობების საკითხები. ნებსით თუ უნებლიეთ მიდის მათი პროპაგანდა. რაც მკეთრად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს. ათი მცნებიდან, რომელიც ყველა ქრისტიანმა უნდა დაიცვას, ერთ-ერთი „არა იმრუმო“-ა. ასევე, სიძვა შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათა შორისაა. ამდენად, განსაკუთრებით საინტერესოა მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულების შესწავლა თავისუფალი სექსუალური ურთიერთობებისადმი. რადგან ისინი, ერთის მხრივ, უნდა იცავდნენ იმ მოთხოვნებს და ცხოვრებდნენ იმ ღირებულებებით რასაც მათი სარწმუნოება ქადაგებს, და, მეორე მხრივ იმ საზოგადოების წევრები არიან, სადაც სექსუალური თავისუფლება ამორალურ საქციელად აღარ ითვლება.

რესპოდენტებს შევთავაზეთ მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ უნდა გამოეხატათ საკუთარი პოზიცია. მათი უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებებს, რომ: „წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშე იცხოვროს ერთად“ (60,2%), „დასაშვებია მარტოხელა ქალის მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა“ (52,4%).

კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტების არც თუ მცირე ნაწილი შედარებით ლოიალურები არიან მარტოხელა ქალის მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობის საკითხში. მორწმუნე რესპოდენტთა უმრავლესობა (82,0%) იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში დედობაა. ისიც უდაოა, რომ ქორწინების გარეშე დარჩენილი ქალებიც (და მამაკაცებიც) საკმაოდაა. ისმის საკითხი მისაღებია თუ არა მათთვის ქორწინების გარეშე შვილთა შობა. ამ საკითხს განვიხილავთ მხოლოდ იმ რესპოდენტებში, რომლებიც არ არიან დაოჯახებული.

ცხრილი 2. რესპონდენტთა დამოკიდებულება სექსუალური თავისუფლებისადმი, 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით (%)

	ვეთანხმები		არ ვეთანხმები		მიჭირს პასუხი	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშე იცხოვროს ერთად	26,8	15,5	51,0	64,5	22,2	20,0
დასაშვებია მარტოხელა ქალის მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა	21,7	17,3	46,5	55,2	31,8	21,7

ცხრილი 3. რესპონდენტთა დამოკიდებულება ქორწინების გარეშე შობადობისადმი (%)

წლები	თუ ვერ შექმნით ოჯახს გააჩენთ თუ არა შვილს		
	დიახ	არა	მიჭირს პასუხი
2004	32,6	28,3	39,1
2015	13,3	47,6	39,1

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს თერთმეტი წლის შუალედში მკვეთრად გაიზარდა იმ მორწმუნე რესპონდენტების რიცხვი, ვინც არ გააჩენს შვილს იმ შემთხვევაში თუ ვერ შექმნა ოჯახი. ზრდა სავარაუდოდ სარწმუნოების გავლენით მოხდა.

ქორწინების გარეშე შვილის ყოლას არ აპირებს რესპოდენტი მამაკაცების (44,87%) და ქალების (49,0%) უმეტესი ნაწილი, მაგრამ დამაფიქრებელია ის რომ არც თუ მცირე ნაწილს საკითხისადმი გამოკვეთილი პოზიცია არა აქვს (ქალების – 39,4%, მამაკაცების – 38,5%). რაც იმის მაჩვენებელია, რომ შესაძლებელია იმოქმედოს საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ და გააჩინოს შვილი, ან უბრალოდ, გულის სიღრმეში ეთანხმება ამ მოსაზრებას, მაგრამ იმის გამო რომ მისი პოზიცია მისივე სარწმუნოების შესაბამისი არ არის, თავი აარიდა მოსაზრების დაფიქსირებას.

მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ იმ სოციალურ ჯგუფშიც კი, სადაც უმთვრესი უნდა იყოს მართლმადიდებლური ზნეობრივი პრინციპები, მოხდა შეხედულებების გადაფასება. შედარებით ლოიალურები გახდნენ პიროვნების სექსუალური თავისუფლებისადმი. თუმცა ძირითადად კვლავ ერთგულნი

რჩებიან იმ ღირებულებებისადმი რასაც მართლმადიდებლობა ქადაგებს. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ღირებულებები შედარებით ნელა იცვლება იმ საზოგადოებაში სადაც რწმენა მაღალია. ასეთ პირობებში ნაკლებია საშიშროება, რომ შესაძლოა ჩვენი საზოგადოება იმდენად დაშორდეს მორალს, რომ მისთვის მთავარი გახდეს პრინციპი: „ყველაფერი ნებადართულია“. ეს არის „თვისუფლების“ ცნების, რომელზეც აპელირება ძალზე ხშირად ხდება, არასწორი გაგება. მოვიშველიებთ ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერის სიტყვებს: „თავისუფლება ადამიანს ეძლევა არა როგორც საჩუქარი, არამედ როგორც უფლება და მოვალეობა“. ჩვენი უფლება და მოვალეობა, სწორედ, მართლმადიდებლური ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საპატრიარქოს უწყებანი №1, 2007, 3–4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II საშობაო ეპისტოლე.
2. ეკლესია და ოჯახი, თბ 2012, №3. ქრისტიანული ოჯახი, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზი ბიძინა გუნია.
3. ნ. ჩიკვილაძე, მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები, დისერტაცია, 2006.
4. С Франк, Духовные основы общества №1 1992. 225.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება პიროვნების სექსუალური თავისუფლებისადმი

ლელა მენაბდიშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის
მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

გლობალიზაციის პროცესმა ფართოდ გაუღო კარი ჩვენი საზოგადოებისთვის ადრე მიუღებელ და სამარცხვინი ღირებულებებს. წინა მხარეს გამოვიდა პიროვნული თავისუფლება სექსუალურ საკითხებში. ჩვენ საზოგადოებას ტრადიციულად, ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. ამგვარ დამოკიდებულებას ამყარებდა ჩვენი სარწმუნოებაც. დღეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ხდება სექსუალური თავისუფლების ღია თუ ფარული

პროპაგანდა. რაც ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე. ორი კვლევის (2004 და 2015 წლები) შედეგების მიხედვით, ნაშრომში განვიხილავთ განიცადა თუ არა მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულებამ ტრანსფორმაცია პიროვნების თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის საკითხებში. მონაცენებიდან ნათლად ჩანს, რომ ის პროპაგანდა, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მიდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მორწმუნე ადამიანის ცნობიერებაზე, ცვლის მის დამოკიდებულებას. მართალია, მორწმუნე რესპონდენტებში კვლავ მაღალია მათი რიცხვი, ვისი აზრითაც ქალს ქორწინებამდე არ უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება, მაგრამ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება წინა კვლევით მიღებულ შედეგებს (2004 – 89,1%, 2015 – 75,2%). შესაბამისად გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც იზიარებს (1,6% – 5,3%) ამ მოსაზრებას, ან უჭირს პასუხი (9,3% – 19,5%). 2015 წლის გამოკვლევით რესპონდენტთა უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებებს, რომ: „წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშეც იცხოვროს ერთად“ (60,2%), „დასაშვებია მარტოხელა ქალის მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა“ (52,4%). კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა არც თუ მცირე ნაწილი ლოიალურია მარტოხელა ქალის მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობის საკითხში. თუმცა, იმისდა მიუხედავად, რომ მორწმუნე რესპონდენტთა უმრავლესობა (82,0%) იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში დედობაა, არ გააჩენს შვილს(47,6%) იმ შემთხვევაში თუ ვერ შექმნა ოჯახი. ეს მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება 2004 წლის მაჩვენებელს (28,3%). ნათელია, რომ მორწმუნე ადამიანის დამოკიდებულება პიროვნების სექსუალური თავისუფლებისადმი იცვლება, თუმცა ძირითადად, კვლავ ერთგული რჩება იმ ღირებულების რასაც მართლმადიდებლური სარწმუნოება ქადაგებს. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ღირებულებები შედარებით ნელა იცვლება იქ, სადაც რწმენა მაღალია.

THE ATTITUDE OF THE ORTHODOX BELIEVERS TOWARDS THE SEXUAL FREEDOM OF A PERSON

Lela Menabdishvili

Summary

The globalization process has widely opened the door to the values, unacceptable and shameful for our society in the past. The personal freedom in the sexual matters has advanced to the forefront. Our society traditionally had a negative attitude towards this issue. This attitude was strengthened by the our religion as well. An open or hidden propaganda of a sexual freedom by

the mass media is taking place today. This has an influence on the consciousness of the society. According to the results of two studies (2004 and 2015 years), we are considering the following: whether the attitude of orthodox believers has undergone a transformation towards the issues of the free sexual relations of the person. According to the findings of this study, it can be clearly said, the almost daily propaganda by mass media, exerts a significant influence on the consciousness of orthodox believer, changes its attitude. Though, among the orthodox believers is still high the number of those by the view of: "a woman should not have the experience of sexual relations before marriage", but this figure is significantly low than the results of previous studies (accordingly, 2004-89,1%, 2015 – 75,2%). Accordingly, the number of the respondents is increased who shares this idea (1,6%-5,3%), or finds it difficult to answer (9,3%-19,5%). According to the results of study of 2015, the most of respondents don't agree with the point of view that "a couple can live together without marriage" (60,2%), "the sexual relations of a single woman with a man" is permitted" (52, 4%). The study has shown that much less respondents are loyal to the view of sexual relations of a single woman with a man ". Although, despite of the fact, the majority of the respondents (82,0%) agrees on an idea, that the most important role of the woman in a life is a maternity, out-of- a wedlock birth is unacceptable for them, in a case of a non-marriage, 47,6% are not going to have a child. This figure is sharply exceeds the figure of 2004 (28,3%). It's clear, the attitude of a believer towards the sexual freedom of a person has changed, but on the whole, the devotion to the values the Orthodox religion preaches still remains. It indicates that, the values change have a relatively slow character, where the faith is stronger.

keywords: Orthodox believers, free sexual relationship, consciousness.

Отношение православных верующих к сексуальной свободе личности

ლელა მენაბდიშვილი

Резюме

Процес глобализаций широко открыл дверь ранее неприемлемым и постыдным ценностям для нашего общества. На передний план вышла личностная свобода по сексуальным вопросам. Наше общество к этому вопросу имело негативны взгляд. Укреплению такого отношения способствовала и наша религия. На сегодняшний день средствами массовых информаций идет открытая или скрытая пропаганда, что оказывает влияние на общественное сознание. По данным двух исследований (2004 и 2015гг) в труде рассматриваем вопрос – трансформировались или нет взгляды православных верующих в отношении к свободному сексуальному поведению личности. Из данных очевидно, что та пропаганда, которая имеет место почти повседневно средствами массовой информации,

оказывает значительное влияние на сознательность верующего человека, меняет его отношение к данному вопросу. Правда, среди верующих респондентов еще высок число тех, кто считает, что женщина не должна иметь опыт сексуальных отношений до брака (75.2% -в 2015 г). Но этот показатель значительно меньше аналогичного показателя для 2004г.- 89.1%. Соответственно выросло количество тех респондентов, кто поддерживает соображение по поводу данных предыдущего обследования (1.6%-2004г. 5.3%-2015г.), или не может дать ответ. Большинство респондентов не согласен соображениям, что “пара может совместно жить и без брака “ (60.2%-2015г.), ”допустимо сексуальные отношения одинокой женщины с мужчиной“ (52.4%-2015г.). Исследование показано, что достаточное число лояльно относится к вопросу сексуальных отношений одинокой женщины с мужчиной. Хотя, не смотря на то что большинство верующих респондентов считают, что самая главная роль женщины в жизни - материнство, из них 47.6% некогда бы не родили ребенка вне брака. Этот показатель намного больше аналогичного показателя 2004г.-28.3%. Очевиден факт, что меняется отношение верующих респондентов к сексуальной свободе личности, хотя, и основном, они остаются верными тех ценностям, которых проповедуют православная религия. Что свидетельствует о том, что ценности меняются относительно малыми темпами там, где вера в бога высокая.

Ключевые слова: православный верующий, сексуальная свобода, личностная свобода, общественное сознание.

გენდერული პრობლემები სპორტში

მაგანია ჯემალ, პროფესორი

მაგანია ნინო, მაგისტრი

საქართველის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, კონვენცია, გენდერული ბალანსი, დისკრიმინაცია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, უმაღლესი მმართველობა. ეროვნული სამოქმედო გეგმა.

გენდერული თანასწორობის საკითხები საკმაოდ აქტუალური გახდა დღევანდელ მსოფლიოში. გენდერული თანასწორობის საკითხების პოპულარობის მიუხედავად, ცოტამ თუ იცის გენდერის თანამედროვე გაგება. ის, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი და როგორც კონცეფცია,

ახლახანს მოექცა სოციალური მეცნიერების ჩარჩოებში და, შესაბამისად, შედარებით ახალი ფენომენია. ამის მიუხედავად დროის მოკლე პერიოდში საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ტერმინ გენდერს ასე განმარტავს „გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.“ გენდერული თანასწორობა კი ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

დღეისათვის, დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აქტუალური შემადგენელი ნაწილია გენდერული ბალანსი. თუმცა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის დაცვას ხშირად ზღუდავს საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც განაპირობებს რელიგია, ტრადიციები და სხვადასხვა სტერეოტიპები.

სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ გენდერულ პოლიტიკას ატარებს, ზოგიერთი ხელს უწყობს გენდერული ბალანსის დამკვიდრებას, ზოგიერთი კი ბიძგს აძლევს ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლის შენარჩუნებას. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს როგორც ქვეყნებს შორის, ასევე მათ ფარგლებშიც. სხვადასხვაგვარია საზოგადოების რეაქცია, სახელმწიფოს მიერ გატარებულ გენდერულ პოლიტიკაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება, რომელშიც ქალის როლი სათანადოდ არ არის დაფასებული, ჰარმონიულად ვერ განვითარდება.

საერთაშორისო არენაზე ქალების თანასწორუფლებიანობის მიზნის მისაღწევად 1979 წლის 18 დეკემბერს გართიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია ქალების მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW). საქართველო ამ კონვენციას 2006 წელს შეუერთდა და აიღო ვალდებულება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიურ და სოციალურ სფეროებში, რადგან გენდერული ბალანსის დაცვის პრობლემა საქართველოშიც არსებობდა და დროთა განმავლობაში მეტ აქტუალურობასაც იძენდა.

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა.

თუმცა, ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალები კვლავ ნაკლებად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ეკონომიკურად არამყარი პოზიციები უჭირავთ. ჩვენს ქვეყანაში საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე 87% მამაკაცია და მხოლოდ 13% ქალი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობის დამკვიდრება რეალურ პრიორიტეტად იქცა.

მრავალ სფეროში საქართველოში ნამდვილად არ ხდება ქალთა დისკრიმინაცია და მათი უფლებების შელახვა. ქალთა უფლებები დაცულია, გენდერული თანასწორობის პრინციპი არ არის დარღვეული და მეტიც, ქალები რაოდენობრივად ჭარბობენ უმაღლეს სასწავლებლებში და შრომით ბაზარზე მათი უმუშევრობის პროცენტი გაცილებით დაბალია ვიდრე მამაკაცების. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე სტატისტიკური მონაცემები არ იძლევა არანაირ საბაბს ჩავთვალოთ რომ საქართველოში გენდერული ბალანსი დარღვეულია ან რაიმე ფორმით ხდება ქალთა დისკრიმინაცია.

თუ სადმე არის გენდერული ბალანსი დარღვეული ეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანო და ქვეყნის მართვის უმაღლესი ორგანოებია. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დეპუტატ ქალთა რაოდენობა საქართველოს პარლამენტში არასოდეს აჭარბებდა 10 პროცენტს: მხოლოდ ბოლო მოწვევის პარლამენტის 150 დეპუტატიდან 17 ქალია ანუ 11 პროცენტი, და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს მასშტაბით საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი 22 პროცენტი, ხოლო ევროპის მასშტაბით 25 პროცენტია. საქართველოს მთავრობის ოცი წევრიდან კი მხოლოდ სამია ქალი.

1991 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა რაოდენობა იყო - 6.8%, 1992 წლის მოწვევის პარლამენტში - 5.6 %;

1995 წლის მოწვევის პარლამენტში - 7%;

1999 წლის მოწვევის პარლამენტში - 6.4%;

2003 წლის მოწვევის პარლამენტში - 9.4%;

2008 წლის მოწვევის პარლამენტში - 5%.

თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან 53 პროცენტი ქალია.

გენდერული თანასწორობის პრობლემები სპორტშიც შესამჩნევია. მაგრამ დისკრიმინაციული მომენტები აქ გაცილებით ნაკლებია ვიდრე სხვა სფეროში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გენდერული თანასწორობის პრობლემებზე სპორტში, აუცილებელია გავმიჯნოთ ორი რამ:

1. ქალების მონაწილეობა სასწავლო საწვრთნო პროცესსა და სპორტულ შეჯიბრებებში;
2. ქალების მონაწილეობა სპორტის მმართველ სტრუქტურებში;

ქალების მონაწილეობა სასწავლო საწვრთნო პროცესში ნებაყოფილობითია და თავად ქალზეა დამოკიდებული სპორტის რომელი სახეობა აირჩიოს, აქ არანაირ შეზღუდვას ადგილი არ აქვს. არ ყოფილა შემთხვევა ქალთა სქესის წარმომადგენელს გამოეთქვას სურვილი რომელიმე სპორტულ სექციაში გაწევრიანების შესახებ და მისთვის უარი ეთქვათ, ერთადერთი დასაშვები იყო, რომ მწვრთნელს რჩევა მიეცა მისთვის სპორტის სხვა სახეობაში ეცადა ძალები.

თუ გადავხედავთ ოლიმპიური სპორტის ისტორიას, ნათლად ჩანს, რომ ქალების მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში ოდითგანვე შეიცავდა დისკრიმინაციულ მომენტებს. ცნობილია, რომ ძველბერძნული ოლიმპიური თამაშებში, რომელიც სათავეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წლიდან იღებს და თითქმის 12 საუკუნის მანძილზე უწყვეტად იმართებოდა, ქალებს არათუ სასპარეზოდ არამედ მაყურებლადაც ეკრძალებოდათ სტადიონზე ყოფნა.

ოლიმპიური თამაშები ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს აიკრძალა. მის აღდგენას 1500 წელი დასჭირდა, თუმცა თამაშებზე ქალების არ დაშვების ტრადიცია გაგრძელდა და თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წელს ქალები არ მონაწილეობდნენ. უკვე ოთხი წლის შემდეგ, ქალებმა, მსოფლიო ისტორიაში პირველად, მიიღეს მონაწილეობა 1900 წლის პარიზის მეორე ოლიმპიურ თამაშებზე, ისინი ასპარეზობდნენ ცხენოსნობაში, ჩოგბურთსა და გოლფში. ამ პერიოდიდან მოყოლებული ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე ქალთა რაოდენობა მუდმივად იზრდება.

ქალები ოლიმპიურ თამაშებზე

1900 წელი, პარიზი, II ოლიმპიური თამაშები - 2,2%
 1924 წელი, პარიზი, VIII ოლიმპიური თამაშები - 4,4%
 1956 წელი, მელბურნი, XVI ოლიმპიური თამაშები - 13,3%
 1980 წელი, მოსკოვი, XXII ოლიმპიური თამაშები - 21,5%
 2004 წელი, ათენი, XXVIII ოლიმპიური თამაშები - 40,7%
 2012 წელი, ლონდონი, XXX ოლიმპიური თამაშები - 44,2%

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, 2012 წლის ლონდონის XXX ოლიმპიურ თამაშებზე, პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ყველა მონაწილე ქვეყნების შემადგენლობაში შედიოდა ქალი. ხოლო ამერიკის შეერთებული

შტატების გუნდში ქალები უფრო მეტი იყო ვიდრე მამაკაცები და მათ მედლების მეტი რაოდენობა მოიპოვეს.

საქართველოში პრობლემა არის სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მოვარჯიშე ქალთა რაოდენობის ზრდა, რადგან კაცებთან შედარებით იგი კატასტროფულად დაბალია, და ამის მიზეზი ალბათ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციაა. ჩვენში რატომღაც ჯერ კიდევ მიიჩნევენ, რომ სპორტში ქალის ადგილი არაა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ძნელად შორდება დამამცირებელ წარმოდგენას იმაზე, რომ სპორტი - ეს ძლიერთა ანუ მამაკაცთა ხვედრია. სიტყვები „ქალი და სპორტი“ ბევრ ადამიანში იწვევს უარყოფით რეაქციას, რომ ქალის ადგილი არა სპორტში, არამედ სამზარეულოშია.

საინტერესოა იმ მიზეზების ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქალის სპორტში ჩართულობის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას. გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესად აღქმას სპორტის სფეროში და შესაბამისად, ქალისთვის სპორტის ნაკლებად შეთავსებადობას. ეს ფაქტორებია:

1. ქალის განსხვავებული ბუნება - ქალის, როგორც სუსტი არსების აღქმა მამაკაცთან შედარებით;
2. ქალის ოჯახში დაკავებულობა;
3. სპორტული საქმიანობის სპეციფიკა;
4. ოჯახის წევრების (განსაკუთრებით მეუღლის) ნეგატიური დამოკიდებულება.

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ფესვადგმულია აზრი, თითქოს ქალის ადგილი მხოლოდ სამზარეულოშია, დრომ დაამტკიცა, რომ ქართველი ქალები სპორტშიც არავის უდებენ ტოლს. ამის დასტურია ის დიდი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოუტანეს ისეთმა სახელოვანმა სპორტსმენებმა, როგორებიცაა: მზია ჯუღელი, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი. ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა, ქეთევან ლოსაბერიძე, ნინო დრონოვა, საიდა გუმბა, ლიანა ცოტაძე, ლეილა მესხი, მაია აზარაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და მრავალი სხვა.

რაც შეეხება ქალების მონაწილეობას სპორტის მმართველ სტრუქტურებში, ეს საკითხი დღესაც პრობლემატურია და ნამდვილად აქვს ადგილი დისკრიმინაციულ მომენტებს. ავიღოთ მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის მმართველი ორგანო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (იგი დაარსდა 1894 წელს). მისი უმაღლესი მმართველობის შემადგენლობაში 85 წლის განმავლობაში მხოლოდ კაცები დომინირებდნენ. ქალი პირველად მხოლოდ 1981 წელს იქნა შეყვანილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში.

ვერ ვიტყვით, რომ ანალოგიური სიტუაციაა საქართველოში, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი იყო, თუმცა პატრიარქატისაკენ მიდრეკილება აქაც შეიმჩნევა და ნონა გაფრინდაშვილის წასვლის შემდეგ საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის 25 წლიან ისტორიაში ნინო სალუქვაძე მეორე ქალია ვისაც ერგო პატივი იყოს ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის უმაღლეს მმართველობაში. ამ მხრივ საერთოდ მძიმე სურათია საქართველოს სპორტის სამინისტროს უმაღლეს მმართველობაში (მინისტრი ან კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები). 1945 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთადეთი ქალი იყო, რომელსაც სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა წინა საუკუნის სამოციან წლებში (თამარ მანაგაძე).

ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი ნაბიჯია გადადგმული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 116 კაცთან კოლექტივში 52 ქალი და 64 კაცია, სადაც პროფესორ მასწავლებელთა 56 კაცთან შემადგენლობაში 24 ქალია და 32 კაცი. ხოლო ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის 60 კაციანი შემადგენლობიდან 28 ქალი და 32 კაცია.

ბოლოს გვინდა მოვიშველიოთ ერთი საგაზეთო სტატია, რომელიც რამოდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა - „ძალიან შემცდარა ის, ვისაც ჰგონია, რომ მხოლოდ ქართლის დედისეული „მახვილისა და ფიალის“ სტერეოტიპებით უნდა ვცხოვრობდეთ. სულაც არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ მომავალში შექმნილ ქართველი ქალის ძეგლს ცალ ხელში კალათბურთის ბურთი ეჭირება, მეორეში კი, მაგალითად, პნევმატური იარაღი. ქართველი გოგონა არაფრით ჩამოუვარდება თუნდაც რუს თანატოლებს და თუ საჭირო პირობები შევუქმენით, დარწმუნებული ვარ, მარია შარაპოვას დარი ჩოგბურთელი ქალები ჩვენც გვეყოლება. ქართველ ქალებს თავიანთი სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამთ“

ლიტერატურა

1. გაეროს განვითარების პროგრამა. “გენდერის აქტუალური საკითხები, ქალის უფლებებები ნაბიჯ-ნაბიჯ”. თბილისი, 1998.
2. საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 24 იანვარს მიღებული დადგენილება „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ”.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622>.

3. საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 5 მაისის დადგენილება. „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა“.
4. გენდერული თანასწორობის სურათი დღევანდელ საქართველოში 2012, 5 აპრილი, <http://intermedia.ge/>
5. ზარდიაშვილი, ჯავახიშვილი, დელემენჩუკი, აბრამიშვილი, კუპრავა-შარვაშიძე. კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ს აღსრულების კვლევა საქართველოში. ნაწილი პირველი, თბილისი. 2011წ.
6. Shvedova, N., Obstacles to Women's Participation in Parliament // Karam, A. et al., Women in Parliament: Beyond Numbers, 19-40.
7. Lorber, J., The Social Construction of Gender // Kirk, G., Okaazawa-Rey, M , Women's Lives. Multicultural Perspectiv, Mayfield Publishing Company, 20-24.

გენდერული პრობლემები სპორტში

მაგანია ჯემალ, პროფესორი

მაგანია ნინო, მაგისტრი

*საქართველის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

გენდერული თანასწორობის საკითხები საკმაოდ აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში. ის, ახლახანს მოექცა სოციალური მეცნიერების ჩარჩოებში და, შესაბამისად, შედარებით ახალი ფენომენია.

ნაშრომში განხილული და განმარტებულია ტერმინები „გენდერი“, „გენდერული თანასწორობა“ და „გენდერული ბალანსი“.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და რომ გენდერული თანასწორობის დამკვიდრება რეალურ პრიორიტეტად იქცა.

მოცემულია იმ მიზეზების ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქალის სპორტში ჩართულობის მიმართ დამოკიდებულებას.

Gender problems in sport

*Dzagania Jemal - Professor
Dzagania Nino - Master of philology
Georgian State Teaching University
of Physical Education and Sport*

Summary

Gender equality issues are very relevant and actual in the modern world. The term “gender equality” has recently appeared within social sciences, therefore it is relatively new phenomenon.

In this work are considered and given definitions to such terms as "gender", "gender equality", "gender issue".

This work also noted that Georgia recently has been taken significant steps in promoting gender equality and that the gender equality has become a real priority.

In this work also have been provided the analysis of the causes which determin the attitude to women's involvement in sport.

Keywords: *gender equality, convention, gender balance, discrimination, International Olympic Committee, the top management.*

Гендерные проблемы в спорте

*Дзагания Джемал – профессор
Дзагания Нино – магистр
Грузинский государственный учебный университет
физического воспитания и спорта*

Резюме

Вопросы гендерного равенства весьма актуальны в современном мире. Термин гендерное равенство недавно появился в рамках социальных наук, следовательно, сравнительно новый феномен.

В настоящей работе рассмотрены и даны определения таким терминам, как «гендер», «гендерное равенство», «гендерный вопрос».

В настоящем труде также отмечается, что в последнее время в Грузии были предприняты значительные шаги по улучшению вопроса гендерного равенства, и что постановка вопросов гендерного равенства стало реальным приоритетом.

Приведен также анализ причин, которые определяют отношение к участию женщин в спорте.

Ключевые слова: *гендерное равенство, конвенция, гендерный баланс, дискриминация, Международный Олимпийский Комитет, высшее руководство.*

მარკეტინგის განვითარებისადმი ახლებური მიდგომის ფილოსოფია

*ხახუტაშვილი ელისაბედ, ღიბრაძე ნანული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: *ფოკუსირება, მიზანმიმართული კვლევა, მომხმარებლის ბალანსირების მოდელი, სოციალური მარკეტინგი, მასტიმულირებელი.*

მსოფლიო ეკონომიკაში მარკეტინგი განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. იგი განიხილება არა მარტო სამეწარმეო საქმიანობა, არამედ მართვის ისეთი ორიენტაცია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის ჩარჩოებს სცილდება და ფორმირდება, როგორც ერთიანი სოციალური პროცესი ახალი საბაზრო მიდგომებით და შეხედულებებით, საზოგადოებრივი ნორმების, ღირებულებების, კულტურის და დემოგრაფიული მაჩვენებლების გათვალისწინებით [1].

მოძველებული გახდა მარკეტინგის ფოკუსირება მხოლოდ ერთ რომელიმე ასპექტზე (ვაჭრობაზე, პროდუქტის გასაღებაზე). ამიტომ თანამედროვე მარკეტინგული თეორია მოითხოვს ბაზარზე არსებულ სიტუაციის მიზანმიმართულ კვლევას, ბაზარზე მომხმარებელთა და სხვა პარტნიორთა ქცევების გაანალიზებას.

მარკეტინგის ახალი ამოცანა გახდა ეკონომიკური პოლიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის შეჯერება ბაზარზე ორიენტირებული წარმოების მართვაზე, რამაც თავის მხრივ თანამედროვე პირობებში მოითხოვა მარკეტინგის თეორიისა და მენეჯმენტის განვითარებისადმი ახლებური მიდგომა.

წარმოების მართვა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მომხმარებლის ორიენტაციაზე პოლიტიკასთან, საჭიროა მუდმივი კავშირი მასთან, სრული ინფორმაციის ფლობა – მარკეტინგული კვლევების ჩატარება ხდება მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია მარკეტინგის ურთიერთობა გარე სამყაროსთან, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის საბოლოო წარმატებას. ამიტომ მას მუდმივად სჭირდება ახალი ხერხების შემუშავება, რათა დროულად მოახდინოს გარე სამყაროს მნიშვნელოვან ცვლილებებზე რეაგირება. სოციალური გარემოს კატაკლიზმები პირდაპირ აისახება ბიზნესის განვითარებაზე. მარკეტოლოგი არეგულირებს ურთიერთობას ბიზნესსა, მომხმარებელსა და საზოგადოების წევრებს შორის. საზოგადოება ეს მნიშვნელოვანი სოციალური ძალაა, რომელიც ზემოქმედებს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე, მარკეტინგული გადაწყვეტილებისას საჭიროა ასევე მარკეტინგული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელსა და მწარმოებლის ურთიერთობას, სადაც უფრო მეტი უპირატესობა მიენიჭება მომხმარებელს, მისი საჭიროებებისა და მოთხოვნების სრული დაკმაყოფილებით, თანამედროვე მარკეტინგული სტრატეგიის გამოყენებით [2].

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მარკეტინგისადმი ახლებური მიდგომის გაგება განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციის დარგისთვის, სადაც მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელს და თვით მომსახურების ბრენდს. ტელეკომუნიკაციის დარგი მოწოდებულია დააკმაყოფილოს საზოგადოების პირადი მოთხოვნები სხვადასხვა სახის ინფორმაციათა გადაცემის საკითხებში და სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც წარმოადგენს საბოლოო სასარგებლო ეფექტს, რადგან ტელეკომუნიკაციის პროდუქტს არა აქვს ნივთობრივი ფორმა. ის წარმოადგენს ინფორმაციის სივრცობრივად გადაცემის და გადაადგილების შედეგად მიღებულ ეფექტს, სადაც აბონენტი უშუალოდ მონაწილეობს კომუნიკაციაში.

ასევე მნიშვნელოვანია ტელეკომუნიკაციის დარგისთვის 4P-ს ახლებური მოდელი, რომელიც ასახავს მომხმარებლის ინტერესებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, საინტერესოა (მარკეტინგისადმი ახალი მიდგომა ცნობილი მომხმარებლის ბალანსირების (Customer Equity) მეთოდის სახელწოდებით (ცნობილი მარკეტოლოგების – როლან რასტის-მერილენდის უნივერსიტეტი; ვალარი ზეიგმალის – ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტი და კეილემონის – ბოსტონის კოლეჯის მიერ შემუშავებული [3].

ეს მეთოდი ეყრდნობა ახალ მარკეტინგულ სტრატეგიას, კერძოდ, მარკეტინგული პროგრამა ეფუძნება გათვითცნობიერებულ მომხმარებელს, რომელსაც აქვს დაბალანსირების სამი მასტიმულირებელი ძალა: 1. ფასეულობათა დაბალანსება; 2. ბრენდის ბალანსირება; 3. ბალანსირების დაცვა.

1. ფასეულობათა ბალანსირება მომხმარებლის ობიექტური შეფასებით დამყარებულია პროდუქტისა და მომსახურების შეცნობისა და სარგებელის კოეფიციენტზე, რომელსაც მომხმარებელი აღწევს საბოლოო მოხმარების შედეგად;

2. ბრენდის ბალანსირება – ხდება მომხმარებლის მიერ ბრენდის სუბიექტური წინასწარი შეფასებით გარკვეული ცოდნის საფუძველზე, პროდუქტისა და მომსახურების ღირებულების ობიექტური აღქმის შედეგად;

3. ბალანსირების დაცვა, როცა მომხმარებელი აპრიორულია ბრენდის მიმართ ლოიალობისა და ერთგულების თვალსაზრისით.

მომხმარებლის ბალანსირების მოდელი მოითხოვს ასევე მარკეტინგული ინსტრუმენტების დახვეწას. მომხმარებელთა მუდმივად ცვლადი მოთხოვნების დაკმაყოფილება მთავარი ფაქტორი ხდება მარკეტინგული საქმიანობისათვის, რასაც ხშირად ადგილი აქვს ტელეკომუნიკაციაში, ბიზნესის გარემოს მნიშვნელოვან ტენდენციებსა და განვითარების დინამიკაში.

მარკეტოლოგის მიზანია არა მარტო მოგების მიღება, არამედ მომხმარებელთა ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

მოგების მაქსიმიზაციისთვის ბრძოლაში ზოგჯერ ფირმების ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, ვერ ითვალისწინებენ მომხმარებელთა ინტერესებს. აქედან გამომდინარე, მარკეტინგის მართვა დაკავშირებულია მოთხოვნის რეგულირებასთან. კომპანიის მოქმედებები წინააღმდეგობაში არ უნდა შევიდეს სამართლებრივ გარემოსთან, ეთიკურ და უსაფრთხოების ნორმებთან. მოძველებული იდეები ადგილს უთმობს ინოვაციურ იდეებს მომხმარებელთან გრძელვადიანი მომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ნდობის მანდატის შენარჩუნებას.

მარკეტინგისადმი ახლებური მიდგომა დაკავშირებულია ასევე მარკეტინგული კონპლექსის ახლებურ მიდგომასთან. კონკრეტულად იგი წარმოადგენს რა მთავარ ინსტრუმენტს მიზნობრივ ბაზარზე პროდუქტისა და მომსახურების სასურველ მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის. მარკეტინგის ტრადიციული 4P-ს გამოყენება საშუალებას იძლევა ეფექტური საწყისი ნაბიჯების შემუშავებას სოციალური მარკეტინგის წარმატებულად გაანსახორციელებლად.

4P-ის კონცეფცია არის გამყიდველის და არა მყიდველის მიერ აღქმული ბაზარი. მარკეტოლოგები პროდუქტის გასაღებაზე ფოკუსირებენ, მომხმარებელი ფასეულობისა და თავიანთი პრობლემის გადაჭრის საშუალებების შესყიდვას ცდილობენ და ამიტომ მათ მიერ დანახული ბაზრის ჩამოყალიბება უფრო შესაძლებელია 4C საშუალებით: მყიდველის (საკითხის) გადაჭრა – Customer Solution, მყიდველის დანახარჯი (Customer SolutionCost), ხელსაყრელობა (Convenience) და კომუნიკაცია (Communication) [4].

4. სოციალური მარკეტინგის სტრატეგიის დროს მარკეტინგულ კომპლექსს 4P-ს ემატება ერთი P – პოლიტიკა (policy), სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ქცევაზე. საზო-

გადოებრივი თუ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა წარმოადგენდეს ახალი ქცევის მასტიმულირებელ ორგანოს.

ასევე აღსანიშნავია იუდის მუტის მიერ, მარკეტინგის დამატებითი 4P გაგება, უშუალოდ მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით. მის მიერ მოწოდებული 4P –ს ახალი მოდელი სრულყოფილად ასახავს მომხმარებელთა წვლილს ახალი ფასეულობის შექმნაში. ახალი 4P შედგება შემდეგი კომპონენტისაგან: პერსონალიზაცია (Personalization), მონაწილეობა (participation), თანასაქმიანობა (peer-to-peer). ამ მიმართულებაში გაერთიანებულია მომხმარებელთა ქსელი და საზოგადოების ინტერესები, სადაც ხდება მომხმარებელთა დაცვა (წინასწარ მოდელირება Predictive Modeling).

ამრიგად, განხილული საკითხის, მარკეტინგისადმი ახლებური მიდგომის ფილოსოფიაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები არსებულ განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციის საზოგადოებაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე.

მომხმარებლის ბალანსირების თეორიის თანახმად ბიზნესის შემდგომი განვითარება შეუძლებელია მომხმარებლის დაბალანსების მასტიმულირებელი ძალების გარეშე, რომლებიც ფასეულობათა ბალანსირებას წარმოადგენენ.

ლიტერატურა

1. ფ. კოტლერი. მარკეტინგის საფუძვლები (თარგმანი), თბ., 2006.
2. ჩ. ჯაში. სოციალური მარკეტინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009.
3. Rust, R. Zeilman V. Hemon, K. Return on Marketing using customer equity to focus market strategy, journal of Marketing strategy, 2004, 68/1/pp: 109-127.
4. Mootee H. High intensity marketing; 2004; Canada, pp. 35-39.

მარკეტინგის განვითარებისადმი ახლებური მიდგომის ფილოსოფია

*ხახუტაშვილი ელისაბედ, ასოცირებული პროფესორი
ლიბრაძე ნანული, პროფესორი*

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკაში მარკეტინგი განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. განიხილება მართვის ერთიანი სოციალური პროცესი ახალი საბაზრო მიდგომებით და შეხედულებებით; კულტურისა და დემოგრაფიული მახვენებლების გათვალისწინებით.

მარკეტინგისადმი ახლებური მიდგომა მოითხოვს ბაზარზე არსებული სიტუაციის მიზანმიმართულ კვლევას, მარკეტინგის თეორიისა და მენეჯმენტისადმი ახლებურ მიდგომას, რასაც ეძღვნება აღნიშნული სტატია.

განხილულია ცნობილი მომხმარებლის ბალანსირების მეთოდი, რომელიც ეფუძნება გათვითცნობიერებულ მომხმარებელს, რომელსაც აქვს დაბალანსების სამი მასტიმულირებელი ძალა; ფასეულობათა დაბალანსება; ბრენდის ბალანსირება და ბალანსირების დაცვა.

მომხმარებლის ბალანსირების მეთოდი დაბალანსების მასტიმულირებელი ძალების გამოყენებით ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას ტელეკომუნიკაციაში და 21 საუკუნის ბევრი პრობლემის გადაჭრას.

The innovative approach to the development of Marketing Philosophy

Elisabed Khakhutashvili, Nanuli Gibradze

Georgian Technical University

Annotation

In the world economics marketing is experiencing significant transformation. It is considered not only as in entrepreneurial activity, but also as unified social process with new market approach and views, taking into consideration societal norms, values, culture and demographic parameters. To focus marketing only one specific aspect became obsolete. Modern marketing theories require concerted research on the current market situation, and analysis of behavior of consumers and other partners on market. Combination of new economic policy and social opinion on market oriented production management became a new task of marketing, that in it turn in modern conditions demanded new analysis of marketing theory and management development. In this point of view it is interesting American approach to marketing, known as customer balance theory, that is expressed in the works of American scientists and Marketing Specialists Roland Rusty, Valari Zeitmali and Keilemon. The balancing model of customer requires refinement of marketing tools, new understanding of marketing complex. It represents a major instrument in providing the desired target market for products and services. The use of traditional marketing 4P allows efficient development of initial steps for the successful implementation of social marketing. One P-policy is added to 4P policy, which is stimulated body of new behavior.

Thus in the philosophy of new approach of marketing of the question is outlined the social problems that has significant affect on the development of the business. In

accordance with the balance theory of customer the further development of the business is impossible without balancing stimulating forces, which values of balance.

Философия новейшего подхода к развитию маркетинга

*Елисабед Хахутаишвили, ассоциированный профессор
Нанули Гибрадзе, профессор
Грузинский Технический Университет*

Резюме

В мировой экономике маркетинг испытывает значительную трансформацию. Этот вопрос рассматривается как единый социальный процесс управления с новыми рыночными подходами и взглядами с учетом показателей культуры и демографии.

Новейший подход к развитию маркетинга требует целенаправленное исследование ситуации рынка и его менеджмента чему и посвящается данная статья.

В статье рассмотрен известный балансированный метод потребителя, который основан на знающего потребителя с тремя балансированными силами, это: балансирование ценностей, балансирование бренда и защита балансирования.

Итак ,метод балансирование потребителя с употреблением трех стимулированных сил, способствует развитию бизнеса и решению множества проблем 21-ого века, что и представляет собой философию новейшего подхода к развитию маркетинга.

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესი, როგორც ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პლატფორმა

*ლალი ხუნწარია. სტუ პროფესორი
ირაკლი კუკავა. სტუ დოქტორანტი*

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო, ტექნოლოგიები ,საკომუნიკაციო, ეკონომიკა.

თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) გამოყენება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ნებისმიერი კომპანიის, ბიზნესისა და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და წინსვლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სატელეკომუნიკაციო ტექნო-ლოგიების

შეუქცევად ზრდაზე. ის წარმოადგენს ქვეყნის პროგრესის, მდგრადობის ხელშეწყობის, პოლიტიკისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად პლატფორმას. ამ მიზეზით, საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგიები დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ტემპით განვითარებადი სფეროა, ნებისმიერ სხვა სფეროსთან შედარებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარე სწრაფი ცვლილებები და მასზე დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის ტემპები, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება მსოფლიოში მიმდინარე სტრატეგიული პროცესების აღსაქმელად. იუნესკოს დეფინიციის მიხედვით ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამეცნიერო ტექნოლოგიურ და საინჟინრო დისციპლინების კომპლექსს, რომელიც ადამიანთა შრომის ორგანიზაციას შეისწავლის. ინფორმატიზაციის გლობალური პროცესების განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ინფორმაციული ეკონომიკა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს, ინფორმაციულ ბაზარს, ინფორმაციული მომსახურებისა და პროდუქციის წარმოების პროცესს. ინფორმაციულ ეკონომიკაზე გადასვლა შეინიშნება კაპიტალიზმის კრიზისისა და ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ. ინდუსტრიული ხანის შემდგომ პოსტ-ინდუსტრიულ პერიოდს ხშირად ინფორმაციულ ხანასაც უწოდებენ. ითვლება, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: პირველი გახლავთ მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, მეორე არის კაპიტალი, რომელიც ძირითადად საწარმოო საშუალებებისგან შედგება, ხოლო მესამე ფაქტორს წარმოადგენს შრომა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს თანამედროვეობაში ზემოთხსენებულ ფაქტორებს დაემატა მეოთხე, არანაკლებ მნიშვნელოვანი - ინფორმაცია. ინფორმაციული კაპიტალიზმის ეპოქაში ინფორმაციის გავრცელება პირდაპირ-პროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფება ეკონომიკის ზრდასთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ეპოქაში ეკონომიკა გახდა ინფორმაციული და გავრცელდა ინფორმაციული მეწარმეობა, რასაც ნათლად ადასტურებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ნებისმიერი პროდუქტი, სადაც არ უნდა იყოს ის შექმნილი, უნივერსალურია და ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მცხოვრები ადამიანისათვის, ხოლო ინფორმაციის დღითიდღე მზარდი რაოდენობა უპრობლემოდ ინახება და დედამიწის ორი ყველაზე დაშორებული წერტილიდანაც კი წამებში გადაეცემა ერთმანეთს. ინფორმაციულმა აფეთქებამ დიდად შეუწყო ხელი მარკეტინგისა და რეკლამის გავითარებას, რაც პროგრესულად მოქმედებს ეკონომიკის პროდუქტიულობაზე. განსაკუთრებით წარმატებული განზომილება ამ კუთხით აღმოჩნდა ინტერნეტ სივრცე. ინტერნეტი გახლავთ ერთგვარი „თავისუფალი ბაზარი“, რომელიც არ უწყებს შეზღუდვებს მის

სისტემაში შემავალ და გამომავალ ფაქტორებს, აქ მოქმედებს საბაზრო კონკურენციის პრინციპი. ინფორმაციული ტექნოლოგიის ეფექტურობის დაფიქსირებაში პროფესიული კვალიფიკაცია გადაწყვეტ როლს თამაშობს, რომელსაც თან სდევს ინოვაციურობა და კონკურენციის პირობები. დღეს, განვითარებული სახელმწიფოები თავისი მნიშვნელობის რეალიზებას ახდენენ ელექტრონული მთავრობის კონცეფციით, როგორცაა: მომსახურების განხორციელება, მმართველობითი პროცესი, ანგარიშვალდებულება, ღიაობა, პასუხისმგებლობა, სწრაფი ინტერაქტიულობა, კომუნიკაცია, მყისიერი ინფორმირება, მოქალაქეების ჩართულობა მართვაში, ციფრული ბიუროკრატის განხორციელება და სხვა.

დღეს ამერიკა და ევროპა ინტერნეტიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ფლობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან, თუმცა ამ კუთხით მათ შორის განსხვავება შესამჩნევია. განგაშის მიზეზი ხდება გამოკითხულ კომპანიათა 1/3 ნაწილის აღიარება იმის თაობაზე, რომ მათი იკტ-ს სფეროში პროექტების თითქმის 50% არ აკმაყოფილებს პროექტის შექმნამდე დასახულ მიზანს, პრობლემებია ორგანიზაციული მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი ათვისების, ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბებლობის მიმართულებებით. აღნიშნული მიზეზები ევროპელ მწარმოებლებს და მმართველებს უბიძგებს მიიღონ სწრაფი ზომები იკტ-ს ეფექტურობის გაზრდის კუთხით. მიმდინარე სამუშაოები და შესაბამისი კვლევები, საუბრობენ იმაზე, რომ ციფრული მმართველობის განსახორციელებლად, ეფექტური მენეჯმენტის დასაგეგმად, ევროპის რეგიონის პოლიტიკურმა მოხელეებმა და ბიზნეს მწარმოებლებმა კონცენტრირება უნდა მოახდინონ შემდეგ სამ სფეროზე, როგორებიცაა პროფესიული კვალიფიკაცია, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და კონკურენცია. ევროპის რეგიონს იკტ-ს სფეროში აუცილებლად სჭირდება უნარჩვევების გაძლიერებისა და მოხერხებულობის გამყარება მენეჯმენტის კუთხით, რომლითაც მოხელეები უნდა აღიჭურვონ, როგორც პროფესიული სწავლების დახმარებით, ისე განვითარების მომტანი წინასწარ შედგენილი, შეცვლილი და ეფექტური პროგრამით. მთლიანობაში, ბიზნეს ხელმძღვანელები უნდა დარწმუნდნენ, რომ მენეჯერები კარგად არიან ინფორმირებულნი პოტენციური სარგებლისა და რისკების შესახებ, რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიების თანმდევი ნაწილია. ამას გარდა პასუხისმგებლობა იკტ-ს მომწოდებლებსაც ეკისრებათ. ევროპის რეგიონის სახელმწიფო მოხელეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მწარმოებლურობის კულტურის განვითარებას, რომელიც ახალ კომპანიებს დაარსების სტიმულს გაუჩენს, რა თქმა უნდა, თავისი წილი რისკებისა და პასუხისმგებლობის მიღების გათვალისწინებით, სადაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მაღალპროფესიონალური კვლევითი სამეცნიერო ცენტრების შექმნაც.

საქართველოს მაგალითზე ამ საფეხურებიდან სუსტად მაგრამ რამდენიმე მაინც სრულდება, რაც გამოჩნდა „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მიერ გამოაქვეყნებულ კვლევაში საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ. ფორუმი კვლევას ყოველწლიურად INSEAD-თან ერთად ატარებს და მისი მიზანია დაადგინოს, რამდენად მზადაა ქვეყანაში ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები იმისათვის, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ციფრული ეპოქის შესაძლებლობები გამოიყენოს. კვლევას თან ერთვის ქსელის მზაობის მიხედვით მზარდი ქვეყნების სიაც. საქართველომ, 2012 წელთან შედარებით, პოზიცია 23 პუნქტით გაიუმჯობესა და 65-ე პოზიცია უჭირავს. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ერის განვითარების საერთო დონე ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა:

- ციფრული ტექნოლოგიების ქვეყანაში არსებული საბაზრო ფასი;
- განათლების ზოგადი დონე;
- ინგლისური ენის ფლობის ხარისხი მოსახლეობაში;
- დემოკრატიულობის ხარისხი (გამოხატვის თავისუფლება);
- ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ოფიციალური პოლიტიკის არსებობა;
- მოსახლეობაში ინტერნეტისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებები;
- ბიზნეს სფეროების დამოკიდებულება კომპიუტერისა და ციფრული ტექნოლოგიებისადმი.

საერთო დასკვნებით, ამჟამად საქართველოში იკტ-ს გავლენა ეკონომიკურ დონეზე ჯერ კიდევ მცირეა, მთლიანი შიდა პროდუქტი ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების გავლენის ქვეშ ამჟამად იწყებს მოქცევას, მით უფრო რომ სხვადასხვა ბიზნეს სექტორი არაპროპორციულ ზრდას განიცდის, ხოლო იკტ-ს განლაგება და გამოყენება კონკრეტულ სფეროებში მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლისა და ტექნოლოგიის ადაპტაციის შემდეგ იწყებს ეკონომიკურ ზრდის მიმართულებით ზემოთ აღნიშნული გავლენების დაფიქსირებას. საქართველოში იკტ-ს ეფექტური განვითარება შეუქცევად პროცესად უნდა იქცეს. ის ხელს შეუწყობს საზოგადოების უზრუნველყოფას სოციალ-ეკონომიკური სარგებლით. მისი განვითარებით ფუნდამენტურად შეიცვლება ეკონომიკური ლანდშაფტი, მოხდება ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება, ეკონომიკის ზრდა, სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდა და უმუშევრობის შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Communications//Artech House Boston•London 2003. 259p.
2. Biglieri E., Calderbank R., Constantinides A. MIMO Wireless Communications.
3. Cambridge University Press 2007. P. 343
4. Vahid Tarokh. New Directions in Wireless Communications Research. Springer. 2009. Pp. 496
5. Andreas F. Molisch. Wireless Communications. Wiley. 2011.884.
6. Steven Powell, J. P. Shim. Wireless Technology: Applications, Management, and Security. Springer. 2009. 259.
7. Mihaela Cardei, Ionut Cardei, Ding-Zhu Du. Resource Management in Wireless Networking (Network Theory and Applications). . Springer. 2005.p. 695.
Steven T. Karris. Introduction to Simulink with Engineering Applications
8. Измерение информационного общества Отчет 2014 года. Брахима Сану

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესი, როგორც ქვეყნის სოციალ-
ეკონომიკური განვითარების ძირითადი პლატფორმა.

*ლალი ხუნწარია. სტუ. პროფესორი
ირაკლი კუკავა. სტუ დოქტორანტი*

რეზიუმე

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარე სწრაფი ცვლილებები და მასზე დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის ტემპები, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება მსოფლიოში მიმდინარე სტრატეგიული პროცესების აღსაქმელად, რისი ასახვა და დამუშავება სამუშაოს მთავარი მიზანი და წინაპირობაა. იუნესკოს დეფინიციის მიხედვით ინფორმაციული ტექნოლო-გიები წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამეცნიერო ტექნოლოგიურ და საინჟინრო დისციპლინების კომპლექსს, რომელიც განაპირობებს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას.

**Telecommunications technologies progress, as the country's socio-economic development
of the basic platform**

Lali Khuntsaria. GTU Professor

Irakli Kukava. GTU doctoral

Resume

The main purpose of the article is to describe and portray Correlation between economic growth rates and information technology development. According to UNISCO definition, informational technologies present scientific technological and engineering discipline complex, connected to each other, which studies human labor organization. inevitability of quick information spreading, market competition and service Contributing to the economy and business activity in the necessity of the use of information technology.

Keywords: information, technology, communications, economics.

**Прогресс телекоммуникационных технологии, как основная платформа социально-
экономического развития страны**

Лали Хунцария. Профессор ГТУ

Иракий Кукава. Докторант ГТУ

Резюме

Основная цель статьи состоит в том, чтобы описать и изобразить корреляции между темпами экономического роста и развития информационных технологий. Согласно определению UNISCO, информационных технологий современного научно техноло-гической и инженерной дисциплины комплекса, соединенных друг с другом, изучающей человеческую организацию труда. Неизбежность быстрого распространения информации, рыночной конкуренции и обслуживания вносит свой вклад в экономику и деловой активности в необходимости использования информационных технологий.

Ключевые слова: информационные технологии, коммуникации, экономика, транспорт.

**საბუნებისმეტყველო დისციპლინები –
Естествоведческие дисциплины –
Science**

**ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის ინერციული ძალების
გაწონასწორება პნევმატური ამორტიზატორის
საშუალებით**

ვახტანგ აბაიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

მ. კოსტავას ქ. № 77,

0175, თბილისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ჩარჩოხერხი, ჭრის მექანიზმი, გაწონასწორებელი ინერციის ძალა, ვიბრაცია, დინამიკური დატვირთვა, პნევმატური ამორტიზატორი, საწყისი წნევა, დგუშის ფართობი, ჰაერის კუმშვის ხარისხი.

ვერტიკალური ჩარჩოხერხი დანიშნულია მორების მოცემული ზომების ძეგებად და ფიცრებად და ძელების ფიცრებად დანაწევრებისათვის.

ჩარჩოხერხის უპირატესობა გამოიხატება მორების და ძელების დანაწევრებისათვის ერთდროულად 10-12 ხერხით, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია აუცილებელი სიზუსტე, ზომები, ფორმები და დახერხილი მასალების მაღალი სასარგებლო გამოსავალი.


ჩარჩოხერხის მუშაობისას წარმოიქმნება ინერციული ძალები, რომლებიც ათეულჯერ აღემატება ჭრის ძალებს. გაწონასწორებელი ინერციის ძალები იწვევს ჩარჩოხერხის ვიბრაციას (5-7 ჰც), საძირკვლის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რხევებს და დატვირთვებს, მექანიზმის ცვეთის ზრდას. ჩარჩოხერხებში ინერციის ძალები აღწევს 25–30 ტ-ს.

წარმოდგენილ საშუალოში მოცემულია ჩარჩოხერხის ინერციის ძალების გაწონასწორება პნევმატური ამორტიზატორით.

პნევმატური საამორტიზაციო მოწყობილობა წარმოადგენს ორმაგი ქმედების პნევმოცილინდრს. დგუშის გადაადგილებისას ცილინდრში ერთ დრუში ჰაერი იკუმშება, მეორეში კი ფართოვდება.

ჰაერის წნევათა სხვაობა გამრავლებული დგუშის ფართობზე წარმოადგენს ამორტიზაციის ძალას, რომელიც დგუშის (2) და ჭოკის (1)-ის საშუალებით მოქმედებს სახერხ ჩარჩოზე.

ცილინდრში წნევის ცვლილების საჭირო კანონზომიერების მისაღებად და გადახურების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია დაგეგმარდეს პნევმატიკური ამორტიზატორი კუმშვის დაბალი ხარისხით.



ნახ. 1. პნევმატური ამორტიზატორი

ამორტიზატორის შიგა კედლების ტემპერატურა ჩავთვალოთ მუდმივად, ხოლო ამორტიზატორში მიმდინარე პროცესი პოლიტროპულად. პოლიტროპის განტოლებას აქვს სახე

$$PV^n = const, \quad (1)$$

სადაც P არის ჰაერის წნევა;

V – ჰაერის მოცულობა;

n – პოლიტროპის მაჩვენებელი.

(1) მივიღებთ შემდეგ დამოკიდებულებას

$$\frac{P}{P_0} = \left(\frac{V_0}{V} \right)^n, \quad (2)$$

სადაც P_0 არის ჰაერის საწყისი წნევა;

V_0 – ჰაერის მოცულობის საწყისი მნიშვნელობა.

(2)-დან ვღებულობთ

$$P = P_0 \left(\frac{V_0}{V} \right)^n. \quad (3)$$

პნევმოცილინდრის ქვედა ღრუსათვის (3) მიიღებს სახეს

$$P_1 = P_0 \left[\frac{F_1(l_1 + H)}{F(l_1 + x)} \right]^n = P_0 \left(\frac{l_1 + H}{l_1 + x} \right)^n, \quad (4)$$

სადაც F_1 – პნევმოცილინდრის აქტიური ფართი;

l_1 – ქვედა კუმშვის კამერის სიგრძე;

H – ჩარჩოხერხის სელის სიდიდე;

x – ჩარჩოხერხის (დგუშის) მიმდინარე გადაადგილება.

პნევმოცილინდრის ზედა ღრუსათვის ვღებულობთ

$$P_2 = P_0 \left(\frac{l_2 + H}{l_2 + H - x} \right)^n, \quad (5)$$

სადაც l_2 – ზედა კუმშვის კამერის სიგრძე;

$$P_1 - P_2 = P_0 F_1 \left[\left(\frac{l_1 + H}{l_1 + x} \right)^n - P_0 F \left(\frac{l_2 + H}{l_2 + H - x} \right)^n \right], \quad (6)$$

სადაც F – არის პნევმოამორტიზატორის ღრუს განივი კვეთის ფართობი.

$P_1 - P_2$ სხვაობა გამრავლებული დგუშის ფართობზე წარმოადგენს ამორტიზაციის ძალას

$$P_s = P_0 F_1 \left[\left(\frac{l_1 + H}{l_1 + x} \right)^n - \mu \left(\frac{l_2 + H}{l_2 + H - x} \right)^n \right], \quad (7)$$

სადაც μ – პნევმოცილინდრში ჭოკის გავლენის კოეფიციენტი

$$\mu = \frac{F}{F_1} = \frac{D^2}{D^2 - d^2}, \quad (8)$$

სადაც d არის ჭოკის დიამეტრი;

D – პნევმოცილინდრის დიამეტრი.

წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების ინერციის ძალების გავლენის აცილება შეიძლება თუ დაცულია პირობა

$$P_o + P_s = 0. \quad (9)$$

ინერციის ძალა

$$P_o = -mr\omega^2 \left(\cos\varphi - \frac{r}{L} \cos 2\varphi + \frac{e}{L} \sin\varphi \right), \quad (10)$$

სადაც m არის წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასა;

r – მუხლა ლილვის რადიუსი;

ω – მუხლა ლილვის ბრუნვის კუთხური სიჩქარე;

e – ექსცენტრისიტეტი.

(10) და (7) გათვალისწინებით (9) მიიღებს სახეს

$$-mr\omega^2 \left(\cos\varphi - \frac{r}{L} \cos 2\varphi + \frac{e}{L} \sin\varphi \right) = P_0 F_1 \left[\left(\frac{l_1 + H}{l_1 + x} \right)^n - \mu \left(\frac{l_2 + H}{l_2 + H - x} \right)^n \right]. \quad (11)$$

(11) გამოსახულება ზედა კიდურა მდებარეობისათვის (11) მიიღებს სახეს

$$mr\omega^2 (1 + \lambda) = P_0 F_1 \left[\mu \left(\frac{l_2 + H}{l_2} \right)^n - 1 \right], \quad (12)$$

სადაც $\lambda = \frac{r}{L}$.

ქვედა კიდურა მდებარეობისათვის (11) ასე ჩაიწერება

$$mr\omega^2 (1 - \lambda) = P_0 F_1 \left[\left(\frac{l_1 + H}{l_1} \right)^n - \mu \right]. \quad (13)$$

(12) და (13)-დან ვღებულობთ

$$(1-\lambda) \left[\mu \left(\frac{l_2+H}{l_2} \right)^n - 1 \right] = (1+\lambda) \left[\left(\frac{l_1+H}{l_1} \right)^n - \mu \right]. \quad (14)$$

კუმშვის კამერის სიგრძეთა ჯამი

$$l_1 + l_2 = l_G - H - S, \quad (15)$$

სადაც l_G არის ცილინდრის სიგრძე;


S - დგუშის სისქე.

(14) და (15) კმნის განტოლებათა სისტემას e_1 და e_2 -ის მიმართ.

(12)-დან ვღებულობთ საწყისი წნევის მნიშვნელობას

$$P_0 = \frac{mr\omega^2(1+\lambda)}{F \left[\mu \left(\frac{l_2+H}{l_2} \right)^n - 1 \right]}. \quad (16)$$

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია წინსვლით-უკუხვლით მოძრავი მასების ინერციის ძალის (1), ამორტიზაციის ძალის (2) და მათი ჯამური ძალის (3) ცვლილების გრაფიკები.



ნახ. 2. ინერციის (1) და ამორტიზაციის (2) და მათი ჯამური (3) ძალა

გრაფიკებიდან ჩანს, რომ პნევმოამორტიზატორის გამოყენებით ინერციის ძალების მანე გავლენა არსებითად მცირდება.

ლიტერატურა

1. Абаишвили В.В. Динамическое исследование некоторых механизмов. Издательство Тбилисского университета. 1981.
2. Филькевич В.Я. Динамика лесопильных рам. М., 1986.
3. Калитеевский Р.Е. Лесопиление в XXI веке. Технология, оборудование, менеджмент. 2005.

ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის ინერციული ძალების გაწონასწორება პნევმატური ამორტიზატორის საშუალებით

*ვახტანგ აბაიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

რეზიუმე

ჩარჩოხერხის მუშაობისას წარმოშობილი გაუწონასწორებელი ინერციის ძალა, ათეულჯერ აღემატება სასარგებლო წინაღობის ძალებს (ჭრის და მიწოდების ძალები) და წარმოადგენს იმ ძირითად ძალას, რომელიც იწვევს ჩარჩოხერხის ვიბრაციას და დამატებით დინამიურ დატვირთვებს.

ჩარჩოხერხის წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების ინერციის ძალების მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით განხილულია პნევმატური ამორტიზატორი.

ამორტიზატორის ძალა დამოკიდებულია ცილინდრში ჰაერის საწყის წნევაზე, დგუმის ფართობსა და ჰაერის კუმშვის ხარისხზე. ნაჩვენებია, რომ პნევმატური ამორტიზატორის გამოყენებით დინამიკური დატვირთვები ჭრის მექანიზმის ელემენტებში მნიშვნელოვნად მცირდება.

BALANCING OF CUTTING MECHANISM INERTIAL FORCES OF FRAME SAW WITH PNEUMATIC SHOCK-ABSORBING DEVICE

*Vakhtang Abaishvili
Georgian Technical University*

Abstract

The unbalanced inertial forces that arise at frame sawmill operation are ten times exceed forces of useful resistance (cutting and supply forces), are the main forces that cause vibration of frame saw. These forces are external loads that would be taken into account at

strength analysis of components. In order to avoid the harmful effects of inertia forces of reciprocating moving masses on the cutting mechanism links of frame saw is offered to use a pneumatic shock-absorbing device. The damping force will be depended on the initial pressure of air supplied to the cylinder, piston area and degree of air compression. It is shown that at application of a pneumatic device the dynamic forces are substantially reduced in the elements of mechanism.

Keywords: frame saw, cutting mechanism, unbalanced inertia force, vibration, dynamic load, pneumatic shock absorber, initial pressure, pneumatic cylinder area, degree of air compression.

УРАВНОВЕШИВАНИЕ ИНЕРЦИОННЫХ СИЛ МЕХАНИЗМА РЕЗАНИЯ ЛЕСОПИЛЬНОЙ РАМЫ С ПНЕВМАТИЧЕСКИМ АМОРТИЗАЦИОННЫМ УСТРОЙСТВОМ

Вахтанг Абаишвили

Грузинский Технический Университет

Резюме

Неуравновешенные силы инерции, возникающие при работе лесопильной рамы, в десятки раз превосходящие силы полезных сопротивлений (силы резания и подачи), являются основными силами, вызывающими вибрацию лесопильной рамы. Эти силы оказываются внешними нагрузками, которые приходится принимать во внимание при расчете деталей на прочность.

С целью исключения вредного влияния сил инерции возвратно-поступательно движущихся масс на звенья механизма резания лесопильной рамы предложено использовать пневматическое амортизационное устройство.

Амортизирующее усилие будет зависеть от начального давления воздуха подаваемого в цилиндр, площадь поршня и степени сжатия воздуха.

Показано, что при применении пневматического устройства динамические усилия в элементах механизма существенно снижаются.

Ключевые слова: лесорама, механизм резания, неуравновешенные силы инерции, вибрация, динамическая нагрузка, пневматический амортизатор, начальное давление, площадь пневмоцилиндра, степень сжатия воздуха.

ვერტიკალური ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის დინამიკური
 კვლევა პნევმატომოტორიატორის ბათვალისწინებით

ვასტანგ აბაიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,


მ. კოსტავას ქ. № 77,

0175, თბილისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ჩარჩოხერხი, ჭრა, მექანიზმი, კინემატიკური წყვილი, პნევმატური ამორტიზატორი, ინერციის ძალა, გაწონასწორება, დინამიკური კვლევა, ელექტრომექანიკური სისტემა, დრეკადობა.

ვერტიკალურ ჩარჩოხერხში გაუწონასწორებელი წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების მიერ გამოწვეული ინერციის ძალები ათეულჯერ აღემატება ჭრის და მიწოდების ძალებს, რაც იწვევს ჩარჩოხერხის ვიბრაციას და მნიშვნელოვნად აუარესებს მისი მუშაობის პირობებს. ამიტომ ინერციის ძალების გაწონასწორების საკითხი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

ნაშრომში ინერციის ძალების გაწონასწორებისათვის გამოყენებულია პნევმატური ამორტიზატორი და ჩატარებულია დინამიკური კვლევა. ამ მიზნით აღებულია სამმასიანი საანგარიშო სქემა (ნახ. 1).



ნახ. 1

დიფერენციალური განტოლებათა სისტემა, რომლითაც აღიწერება ჩარჩო-ხერხის ჭრის მექანიზმში მიმდინარე დინამიკური პროცესები პნევმატური ამორტიზატორის, ლვედური გადაცემის დრეკალობის და ელ. ძრავის დინამიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} \dot{M} &= \frac{\omega_0 - \dot{\phi}}{\nu \omega_0 T_3} - \frac{M}{T_3}; \\ \ddot{\phi}_1 &= \frac{M}{I} - \frac{C_1 + C_2}{I_1} (R_1^2 \phi_1 - R_1 R_2 \phi_2); \\ \ddot{\phi}_2 &= \frac{C_1 + C_2}{I_2} (R_1 R_2 \phi_1 - R_2^2 \phi_2) - \frac{C_{23} \varepsilon R_2 f_1(\phi_2)}{I_2 \cos \beta}; \\ \dot{\varepsilon} &= R_2 f_2(\phi_2) \dot{\phi}_1^2 + R_2 f_1(\phi_2) \ddot{\phi}_2 - \frac{1}{m_{\text{დაჟ}}} (C_{23} \varepsilon - P + P_s). \end{aligned} \quad (1)$$

(1) სისტემაში შემავალი პარამეტრები განმარტებულია [2]-ში.

P_s - არის ამორტიზაციის ძალა

$$P_s = P_0 F \left[\left(\frac{l_1 + H}{l_1 + x} \right)^n - \mu \left(\frac{l_2 + H}{l_2 + H - x} \right)^n \right], \quad (2)$$

სადაც P_0 არის პნევმოამორტიზატორში საწყისი წნევის მნიშვნელობა;

F_1 - პნევმოცილინდრის აქტიური ფართი;

l_1 - პნევმოცილინდრის ქვედა კუმშვის კამერის სიგრძე;

l_2 - პნევმოცილინდრის ზედა კუმშვის კამერის სიგრძე;


H - სახერხი ჩარჩოს სვლის სიდიდე;

x - სახერხი ჩარჩოს მიმდინარე გადაადგილება;


n - პოლიტროპიის მაჩვენებელი;

μ - პნევმოცილინდრის ჭოკის გავლენის კოეფიციენტი.


დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის (1) ამონახსნები მოცემულია ნახ. 2, 3, 4, 5-ზე. 1 მრუდები არის პნევმოამორტიზატორის გარე, 2 მრუდები პნევმოამორტიზატორის გათვალისწინებით.




ნახ. 2. ელექტროძრავის მომენტის ცვლილების გრაფიკი



ნახ. 3. ელექტროძრავის როტორის ბრუნვის კუთხური სიჩქარის ცვლილების გრაფიკი




ნახ. 4. ჩარჩოხერხის მუხლალიღვის ბრუნვის კუთხური სიჩქარის ცვლილების გრაფიკი




ნახ. 5. ბარბაცას დრეკადი დეფორმაციის ცვლილების გრაფიკი

მუხლა ლიღვის ბრუნვის სიჩქარის გაზრდის შესაძლებლობის დადგენის მიზნით (1) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ამოხსნილია მუხლა ლიღვის სხვადასხვა ბრუნთა რიცხვისათვის, რომელთა შედეგები ნაჩვენებია ნახ. 6, 7, 8, 9-ზე.




ნახ. 6. ელ. ძრავის როტორის კუთხური სიჩქარეთა ცვლილების გრაფიკი




ნახ. 7. ელ. ძრავის მბრუნავი მომენტის ცვლილების გრაფიკი

ნახ. 2, 3, 4, 5-დან ჩანს, რომ პნევმატური ამორტიზატორის გამოყენებით ბარბაცას დრეკადი დეფორმაციის მუხლა ლილვი და ელ. ძრავის კუთხური სიჩქარეების ცვლილების და ელ. ძრავის მბრუნავი მომენტის ცვლილების ამპლიტუდების მნიშვნელოვნად მცირდება.



ნახ. 8. მუხლუხა ლილვის ბრუნვის კუთხური სიჩქარეების ცვლილების გრაფიკი



ნახ. 9. ბარბაცას დრეკადი დეფორმაციის ცვლილების გრაფიკი

ნახ. 6, 7, 8 და 9-დან ჩანს, რომ მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვის გაზრდით აღნიშნული პარამეტრების მნიშვნელობები არსებითად არ იზრდება. მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვების ზრდა დაკავშირებულია პნევმოცილინდრში საწყისი წნევის ზრდასთან, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას პნევმოცილინდრის მუშაობის პირობების განსაზღვრისას.

ლიტერატურა

1. ვ. აბაიშვილი. ვერტიკალური ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის დინამიკური კვლევა ბარბაცას დრეკადობისა და კინემატიკურ წყვილში დრეხოს გათვალისწინებით. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა, № 2(14), 2009.
2. Абаишвили В.В. Динамическое исследование некоторых механизмов. Издательство Тбилисского университета. 1981.

ვერტიკალური ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის დინამიკური კვლევა პნევმოამორტიზატორის გათვალისწინებით

ვახტანგ აბაიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების ინერციის ძალების გაწონასწორებისათვის გამოყენებულია პნევმოამორტიზატორი.

ჩატარებულია პნევმატური ამორტიზატორით აღჭურვილი ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის დინამიკური კვლევა ბარბაცას დრეკადობის და ელექტროძრავის დინამიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. მოცემულია დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, რომლითაც აღიწერება ელ. მექანიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესები. სისტემის ამონახსნები მოცემულია გრაფიკების სახით.

ნაჩვენებია, რომ პნევმატური ამორტიზატორის გამოყენებით მექანიზმის ელემენტებში დინამიკური დატვირთვები არსებითად მცირდება, რაც იძლევა მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობას და დინამიკური პირობების გაუმჯობესებას.

DYNAMIC STUDY OF THE CUTTING MECHANISM OF FRAME SAW WITH PNEUMATIC SHOCK-ABSORBING DEVICE

Vakhtang Abaishvili
Georgian Technical University

Abstract

In order to avoid inertial forces of reciprocating moving masses is applied pneumatic shock-absorbing device. A dynamic study of the cutting mechanism of frame saw with pneumatic shock-absorbing device with taking into account the elasticity of coupler and dynamic characteristics of the motor is carried out. The results of solution of differential equations are shown in the form of diagrams. It is shown that at application of a pneumatic shock-absorbing device are significantly reduced inertia forces in the elements of mechanism that makes it possible to increase productivity and improve the dynamic conditions of their operation.

Keywords: frame saw, cutting, mechanism, kinematics pair, pneumatic shock absorber, inertial force, balancing, dynamic study, electromechanical system, elasticity.

ДИНАМИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ МЕХАНИЗМА РЕЗАНИЯ ЛЕСОПИЛЬНОЙ РАМЫ С ПНЕВМАТИЧЕСКИМ АМОРТИЗАЦИОННЫМ УСТРОЙСТВОМ

Вахтанг Абаишвили
Грузинский Технический Университет

Резюме

С целью исключения сил инерции возвратно-поступательно движущихся масс применено пневматическое амортизационное устройство.

Проведено исследование механизма резания лесопильной рамы с пневматическим амортизационным устройством с учетом упругости шатуна и динамической характеристики электродвигателя.

Результаты решения дифференциальных уравнений показаны в виде графиков.

Показано, что при применении пневматического амортизационного устройства динамические условия в элементах механизма существенно снижаются, что дает возможность повысить производительность и улучшить динамические условия их работы.

Ключевые слова: лесорама, резание, механизм, кинематическая пара, пневматический амортизатор, инерционная сила, уравнивание, динамическое исследование, электромеханическая система, упругость.

**პნევმატური ამორტიზატორით აღჭურვილი
ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის კინემატიკურ
წყვილებში რეაქციის ძალების განსაზღვრა**

ვახტანგ აბაიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

მ. კოსტავას ქ. № 77,

0175, თბილისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ჩარჩოხერხი, ჭრის მექანიზმი, ინერციის ძალა, პნევმატური ამორტიზატორი, კინემატიკური წყვილი, რეაქციის ძალა, ჰოდოგრაფი, დინამიკური პირობები, გაუმჯობესება.

ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების ინერციის ძალების გაწონასწორებისათვის გამოყენებული პნევმატური ამორტიზატორის გავლენის მიზნით ჩატარებულია მექანიზმის ძალოვანი ანალიზი. განსაზღვრულია კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალები.

სახერხი ჩარჩოს წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების ინერციის ძალა

$$P_{o2}^z = -m_3 R [\ddot{\varphi} f_1(\varphi) + \dot{\varphi}^2 f_2(\varphi)]. \quad (1)$$

ბარბაცას ინერციის ძალის ვერტიკალური მდგენელი

$$P_{o2}^x = -m_2 R [\ddot{\varphi} f_3(\varphi) + \dot{\varphi}^2 f_4(\varphi)]. \quad (2)$$


ბარბაცას ინერციის ძალის ჰორიზონტალური მდგენელი

$$P_{o2}^x = -m_2 R \left(\frac{l_{AS_2}}{L} - 1 \right) (\ddot{\varphi} \sin \varphi + \dot{\varphi}^2 \cos \varphi). \quad (3)$$

მუხლა ლიღვის ინერციის ძალის ვერტიკალური მდგენელი

$$P_{o1}^z = -m_1 l_{os_1} (\ddot{\varphi} \sin \varphi + \dot{\varphi}^2 \cos \varphi). \quad (4)$$

მუხლა ლიღვის ჰორიზონტალური მდგენელი



ნახ. 1

$$P_{01}^z = -m_1 l \omega_1 (\dot{\phi} \sin \phi - \dot{\phi}^2 \cos \phi). \quad (5)$$

ბარბაცას ინერციის ძალის მომენტი

$$M_2 = I_2 R [\ddot{\phi} f_5(\phi) + \dot{\phi}^2 f_6(\phi)]. \quad (6)$$

ზემოთ ნაჩვენებ გამოსახულებებში

m_3 - სახერხის ჩარხის მასა;

R - მუხლა ლილვის (მრუდმხარა) რადიუსი;

ϕ - მუხლა ლილვის მობრუნების კუთხე;

m_2 - ბარბაცას მასა;

l_{AS_2} - მანძილი A წერტილიდან ბარბაცას სიმი-

მის ცენტრამდე;

L - ბარბაცას სიგრძე;

m_1 - მუხლალილვის (მრუდმხარა) მასა;

$l \omega_1$ -

მანძილი მრუდმხარას ბრუნვის ცენტრიდან

მისი სიმძიმის ცენტრამდე;

I_2 -

ბარბაცას ინერციის მომენტი მასების ცენტრზე გამავალი და მოძრაობის სიბრტყის პერპენდიკულარული ღერძის მიმართ;

$\dot{\phi}, \ddot{\phi}$ - მნიშვნელობები განსაზღვრულია

ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის ამსახველი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით ამოხსნით [1]. $f_1(\phi), f_2(\phi), f_3(\phi), f_4(\phi), f_5(\phi), f_6(\phi)$ მნიშვნელობები მოცემულია [2]-ში.

რეაქციის ძალების ვერტიკალური მდგენები განისაზღვრება ყველა ძალების გეგმილების ჯამიდან ვერტიკალური ღერძის მიმართ, ხოლო ჰორიზონტალური მდგენები კი ბარბაცაზე მოქმედი ყველა ძალების მომენტების ჯამიდან B და A მიმართ.

ბარბაცა-სახერხის ჩარჩო კინემატიკურ წყვილში რეაქციის ძალა

$$R_{32} = \sqrt{(R_{32}^z)^2 + (R_{32}^x)^2}, \quad (7)$$

სადაც

$$R_{32}^z = P_s + P - G_3 - m_3 R [\ddot{\phi} f_1(\phi) + \dot{\phi}^2 f_2(\phi)]. \quad (8)$$

$$\begin{aligned}
 R_{32}^x = K_1^{-1} & \left\{ K_2 \left(P_s + P - G_3 + G_2 \frac{l_{AS_2}}{L} \right) - \ddot{\phi} \left[K_2 (m_3 R f_1(\varphi) - m_2 R \frac{l_{AS_2}}{L} f_3(\varphi) + \right. \right. \\
 & + m_2 l_{AS_2} \lambda \left(\frac{l_{AS_2}}{L} - 1 \right) K_1 \cos \varphi - I_2 R f_5(\varphi) \left. \right] - \dot{\phi}^2 \left[K_2 \left(m_3 R f_2(\varphi) - \right. \right. \\
 & \left. \left. - m_2 R \frac{l_{AS_2}}{L} f_4(\varphi) - m_2 l_{AS_2} \lambda \left(\frac{l_{AS_2}}{L} - 1 \right) K_1 \sin \varphi - I_2 R f_6(\varphi) \right] \right\}, \quad (9)
 \end{aligned}$$

სადაც $K_1 = \sqrt{L^2 - (R \sin \varphi - e)^2}$;

$$K_2 = R \sin \varphi + e ;$$

$$\lambda = \frac{R}{L} ;$$

P - ტექნოლოგიური წინაღობის ძალა (ჭრის ძალა)

P_s - საამორტიზაციო ძალა.

მრუდმხარა-ბარბაცა კინემატიკურ წყვილში რეაქციის ძალა

$$R_{12} = \sqrt{(R_{12}^z)^2 + (R_{12}^x)^2},$$

სადაც

$$R_{12}^z = G_3 + G_2 - P - P_s + \ddot{\phi} R [m_3 f_1(\varphi) + m_2 f_3(\varphi)] + \dot{\phi}^2 R [m_3 f_2(\varphi) + m_2 f_4(\varphi)]; \quad (10)$$

$$\begin{aligned}
 R_{12}^x = K_1^{-1} & \left\{ G_2 K_2 \frac{l_{AS_2}}{L} + R \sin \varphi (G_3 - P - P_s) + \ddot{\phi} \left[R m_3 f_1(\varphi) K_2 + R m_3 \frac{l_{AS_2}}{L} f_3(\varphi) K_2 - \right. \right. \\
 & \left. \left. - m_2 R \frac{(L - l_{AS_2})^2}{L} \cos \varphi K_1 + I_2 R f_5(\varphi) \right] + \dot{\phi}^2 \left[R m_3 f_2(\varphi) K_2 + R m_2 \frac{l_{AS_2}}{L} f_4(\varphi) K_2 + \right. \right. \\
 & \left. \left. + m_2 R \frac{(L - l_{AS_2})^2}{L} \sin \varphi K_1 + I_2 R f_6(\varphi) \right] \right\}. \quad (11)
 \end{aligned}$$

საღვარი - მრუდმხარა კინემატიკურ წყვილში რეაქციის ძალა


$$R_{01} = \sqrt{(R_{01}^z)^2 + (R_{01}^x)^2}, \quad (12)$$

სადაც


$$\begin{aligned}
 R_{01}^z = & (G_1 + G_2 + G_3 - P - P_s) + \ddot{\phi} [m_1 l_{os_1} \sin \varphi + m_2 R f_3(\varphi) + m_3 R f_1(\varphi)] + \\
 & + \dot{\phi}^2 [m_1 l_{os_1} \cos \varphi + m_2 R f_4(\varphi) + m_3 R f_2(\varphi)]; \quad (13)
 \end{aligned}$$

$$R_{01}^x = m_1 l_{os_1} (\dot{\phi}^2 \sin \varphi - \ddot{\phi} \cos \varphi) + K_1^{-1} \left\{ G_2 K_2 \frac{l_{AS_2}}{L} + R \sin \varphi (G_3 - P - P_s) + \right.$$


$$\begin{aligned}
 & + \ddot{\varphi} \left[Rm_3 f_1(\varphi) K_2 + Rm_2 \frac{l_{AS_2}}{L} f_3(\varphi) K_2 - m_2 R \frac{(L-l_{AS_2})^2}{L} \cos \varphi K_1 + I_2 R f_5(\varphi) \right] + \\
 & + \dot{\varphi}^2 \left[Rm_3 f_2(\varphi) K_2 + Rm_2 \frac{l_{AS_2}}{L} f_4(\varphi) K_2 + m_2 R \frac{(L-l_{AS_2})^2}{L} K_1 \sin \varphi + I_2 R f_6(\varphi) \right] \}. \quad (14)
 \end{aligned}$$



ნახ. 2. ბარბაცა-სახერხი ჩარჩო კინემატიკურ წყვილში რეაქციის ძალების პოლოგრამი



ნახ. 3. მრუდმხარა-ბარბაცას კინემატიკურ წყვილში რეაქციის ძალების პოლოგრამი



ნახ. 4. სადგარი – მრუდმხარა კინემატიკურ წყვილში რეაქციის
ძალების ჰოდოგრაფი

კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალების მნიშვნელობები ჰოდოგრაფების სახით მოცემულია ნახ. 2, ნახ. 3 და ნახ. 4-ზე. ნახაზებზე 1 მრუდები შეესაბამება მექანიზმს პნევმომორტიზატორის გარეშე 2 მრუდები კი ჭრის მექანიზმს პნევმომორტიზატორის გათვალისწინებით.

ჰოდოგრაფებიდან ჩანს, რომ პნევმატური ამორტიზატორის გამოყენებით კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალების მნიშვნელობა მნიშვნელოვნად მცირდება, რაც იძლევა მექანიზმის მუშაობის დინამიკური პირობების გაუმჯობესების საშუალებას.

ლიტერატურა

1. ა. აბაიშვილი. ვერტიკალური ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის დინამიკური კვლევა პნევმომორტიზატორის გათვალისწინებით. განათლება, 2016.
2. Абаишвили В.В. Динамическое исследование некоторых механизмов. Издательство Тбилисского университета. 1981.
3. Калитеевский Р.Е. Технология, оборудование, менеджмент. 2005.

პნევმატური ამორტიზატორით აღჭურვილი ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალების განსაზღვრა

*ვახტანგ აბაიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

რეზიუმე

ინერციის ძალების გაწონასწორებისათვის ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმში გამოყენებულია პნევმატური ამორტიზატორი.

განსაზღვრულია პნევმატური ამორტიზატორით აღჭურვილი ჩარჩოხერხის ჭრის მექანიზმის კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალები. კინემატიკურ წყვილებში რეაქციის ძალების მნიშვნელობები წარმოდგენილია ჰოდოგრაფების სახით.

ჰოდოგრაფებიდან ჩანს, რომ პნევმატური ამორტიზატორის გამოყენებით რეაქციის ძალების მნიშვნელობები არსებითად მცირდება, რაც იძლევა მისი მუშაობის დინამიკური პირობების გაუმჯობესების საშუალებას.

**DETERMINATION OF THE REACTION FORCES IN THE KINEMATIC
PAIRS OF THE CUTTING MECHANISM OF FRAME SAW WITH
PNEUMATIC SHOCK-ABSORBING DEVICE**

Vakhtang Abaishvili
Georgian Technical University

Abstract

In order to determine the effect of pneumatic shock-absorbing device on reactions forces in the kinematic pairs is carried out force analysis of the cutting mechanism of frame saw with pneumatic shock-absorbing device. The values of the reaction forces in kinematic pairs are represented as loci. From the locus is clear that the reaction forces at application of pneumatic shock-absorbing device are significantly reduced that gives the possibility to improve the dynamic conditions of their operation.

Keywords: frame saw, cutting, mechanism, kinematic pair, pneumatic shock absorber, inertial force balancing, dynamic study, locus, reaction force.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ СИЛ РЕАКЦИИ В КИНЕМАТИЧЕСКИХ ПАРАХ
МЕХАНИЗМА РЕЗАНИЯ ЛЕСОПИЛЬНОЙ РАМЫ С
ПНЕВМАТИЧЕСКИМ АМОРТИЗАЦИОННЫМ УСТРОЙСТВОМ**

Вахтанг Абаишвили
Грузинский Технический Университет

Резюме

С целью определения влияния амортизационного устройства на силах реакций в кинематических парах проведен силовой анализ механизма резания лесопильной рамы с пневматическим амортизационным устройством.

Значения сил реакции в кинематических парах мпредставлены в виде годографом.

Из годографов видно, что силы реакции при применении пневматического амортизационного устройства значительно уменьшаются, что дает возможность улучшить динамические условия их работы.

Ключевые слова: лесорама, механизм резания, инерционная сила, пневматический амортизатор, кинематическая пара, сила реакции, годограф, динамическое условие, усовершенствование.

**უწონადი მდგომარეობა და მისი გავლენა ადამიანის
ჯანმრთელობაზე**


მ. გივინეიშვილი, თ. კეთილაძე, მ. ჩიხლაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი
სააქციო საზოგადოება „კურაციო“*

საკვანძო სიტყვები: ტრანსმულარული წნევა, ბარორეცეპტორული სისტემა, ვესტიბულარული აშლილობა, ოსტეოპოროზი.

დედამიწის გრავიტაციულმა ველმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა არა მარტო ადამიანის და ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციის პროცესში, არამედ აუცილებელ ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენს მათი არსებობისთვის. ადამიანი იმდენად ადაპტირებულია დედამიწის გრავიტაციულ ველში, რომ ვერც ამჩნევს მის გავლენას. თუმცა მისი არსებობა „გათვალისწინებულია“ ორგანიზმის ყველა ფუნქციონალურ დონეზე – უჯრედიდან დაწყებული ჩონჩხამდე. გრავიტაციისადმი ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე ნაწილია გულ-სისხლძარღვთა სისტემა. ადამიანის სისხლძარღვში წნევა აღემატება გარე წნევას. ამ სხვაობის, ანუ ტრანსმულარული წნევის,

$$p^* = p_{\text{Siga}} - p_{\text{gare}} \quad (p_{\text{გარე}} = p_{\text{ატმ}})$$



ნახ. 1

მნიშვნელობა გამოხატავს ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესთა მიმდინარეობას. ტრანსმულარული წნევის სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმძიმის ძალა. წარმოვიდგინოთ, რომ ფეხზე მდგომი ადამიანის გულმა (სისხლის ტუმბომ) შეაჩერა მუშაობა. მაშინ სიმძიმის ძალის მოქმედებით სისხლძარღვთა სისტემაში სისხლი დაეშვებოდა ქვემოთ და შეაგებდა სისტემის მხოლოდ ნაწილს.


მისი ზედაპირი დაახლოებით ადამიანის გულის დონეზე აღმოჩნდებოდა (ნახ. 1), სადაც სისხლის შიგა წნევა გაუტოლდებოდა ატმოსფერულს $p_{\text{აიგა}} = p_{\text{ატმ}}$, შესაბამისად $p^* = 0$. ამ დონის ქვემოთ კი $p_{\text{აიგა}} = p_{\text{ატმ}} + \rho gh$, ანუ ტრანსმულარული წნევის მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მხოლოდ ჰიდროსტატიკური წნევით $p^* = \rho gh$.

ცხადია ჰიდროსტატიკური წნევა ასევე გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმში სისხლის განაწილებაზე. ჰიდროსტატიკური წნევა ρgh სხეულის

ზედა ნაწილში უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვედაში. მაგრამ ცოცხალ ორგანიზმში ფეხზე მდგომი ადამიანის სისხლის ჩამოდენას ზედა ნაწილიდან ქვემოთ ეწინააღმდეგება გულის მუშაობა, ბარორეცეპტორული სისტემა (ბარორეცეპტორები ისეთი უჯრედებია, რომელთა ნერვიული დაბოლოებები რეაგირებს წნევის ცვლილებაზე – წნევის შემცირებისას ისინი რთავს წნევის შემაკავებელ სისტემას) და სხვა ფიზიოლოგიური ფაქტორებიც. მაგ. დგომისას ფეხის ვენური სისხლძარღვების რეფლექსური შეკუმშვა ხელს უშლის მათ გაფართოებას – სისხლის დაგროვებას და ხელს უწყობს ვენური სისხლის უკან – გულისკენ დაბრუნებას.

ბუნებრივ პირობებში ადამიანის სიმძიმის ძალა $\vec{P} = m\vec{g}$ და საყრდენის რეაქციის ძალა \vec{N} სიდიდით ტოლია და მიმართულებით საპირისპირო. თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება ისეთი მცირე პერიოდები როცა ეს მდგომარეობა იცვლება.

განვიხილოთ ლიფტში ზამბარაზე ჩამოკიდებული ტვირთი (ნახ. 2ა). თუ ლიფტი უძრავია, ან მოძრაობს თანაბარწრფივად, მაშინ $\vec{P} + \vec{N} = 0$. რადგან სხეულის წონა (ძალა, რომლითაც სხეული მოქმედებს საყრდენზე ან საკიდელზე) \vec{P}^* და რეაქციის ძალა ქმედება-უკუქმედების ძალებია $\vec{N} = -\vec{P}^*$. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში $\vec{P}^* = \vec{P}$ (წონისა და სიმძიმის ძალის ტოლობა მათ იგივობას არ ნიშნავს, ისინი სხვადასხვა სხეულზეა მოდებული). თუ ლიფტი მოძრაობს ვერტიკალურად \vec{a} აჩქარებით, მაშინ $\vec{P} + \vec{N} = m\vec{a}$. დაეუშვათ აჩქარება მიმართულია ვერტიკალურად ქვემოთ (ნახ. 2ბ). ე.ი. ლიფტი მოძრაობს ან ზემოთ თანაბარშენელებულად, ან ქვემოთ თანაბრაჩქარებულად. დაგვემიღებოთ ვლებულობით



ა. ნახ. 2. ბ.

$$P^* = P - ma = m(g - a)$$

თუ $a = g$, მაშინ სხეულის წონა ნულს უტოლდება. ამ მდგომარეობას უწონობას უწოდებენ, ხოლო თუ $a < g$ სხეულის წონა ნაკლები აღმოჩნდება სიმძიმის ძალაზე – ნაწილობრივ უწონობას. ნაწილობრივ უწონად მდგომარეობაში იმყოფება პარაშუტისტი პარაშუტის გახსნამდე ვარდნის დაწყებიდან მცირე დროში. რადგან ჰაერის წინააღმდეგობის ძალა (სველი ხახუნის ძალა) სიჩქარის პროპორციულია, ამიტომ დასაწყისში, თუ ვარდნა უსაწყისო სიჩქარით ხდება $a = g$, ფაქტიურად სრული უწონადი მდგომარეობაა. შემდგომში სიჩქარის ზრდასთან ერთად იზრდება ჰაერის წინააღმდეგობის ძალა $F_{\text{ბს}}(t) = -\mu v(t)$, მცირდება ვარდნის აჩქარება და სხეული ნაწილობრივ უწონად მდგომარეობაში გადადის. თუ ვარდნა პარაშუტის

გარეშე გაგრძელდა, დიდი სიჩქარის განვითარების გამო $F_{\text{ბ.ბ.}}(t) = -\mu_2 v^2(t)$, სხეულის აჩქარება ნულს გაუტოლდება $mg - \mu_2 v^2 = 0$ და ვარდნა გრძელდება დამყარებული სიჩქარით $v_{\text{ღ.ა.}} = \sqrt{\frac{mg}{\mu_2}}$. საშუალო მასის (70-80)კგ ადამიანისთვის

$\mu_2 \approx 0,2$ კგ/მ და $v_{\text{ღ.ა.}} \approx 60$ მ/წმ. ამ დროს ადამიანი იმყოფება სრულიად ბუნებრივ მდგომარეობაში და დისკომფორტს აღარ გრძნობს. ნაწილობრივ უწონად მდგომარეობაში იმყოფება მგზავრი თვითმფრინავში დაშვებისას, ავტომობილის მკვეთრი დამუხრუჭებისას ან ფერდობიდან აჩქარებით დაშვებისას. განსაკუთრებით ხანგრძლივად (რამოდენიმე დღე-ღამე და ზოგჯერ თვეებიც კი) უწონობის მდგომარეობაში იმყოფება კოსმონავტები ფრენისას.

უწონობისას ორგანიზმში სისხლი თანაბრად გადანაწილდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სხეულის ზედა ნაწილი ჩვეულებრივ მდგომარეობასთან შედარებით გადავსებულია სისხლით. ეს იწვევს თავში სიმძიმის შეგრძნებას, სახის შეშუპებას. უწონობის მდგომარეობაზე ვესტიბულარული აპარატი ისე რეაგირებს, თითქოს არ არსებობს გრავიტაციული ველი, წარმოიქმნება ვესტიბულარული აშლილობა. ასეთ მდგომარეობებს ადამიანი უძლებს ფრიად შეზღუდულ დროში.

ადამიანის კოსმოსში გაფრენამდე მეცნიერები ვერ ათვითნოცნობიერებდნენ, რომ ორგანიზმის მიერ სითხის შემადგენლობის და მოცულობის შენარჩუნება გრავიტაციაზე დამოკიდებული. აღმოჩნდა, რომ ნაწილობრივ უწონად ან უწონად მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნისას (მაგ. კოსმოსში) ადამიანის ორგანიზმი ცდილობს ადაპტაციას, კერძოდ ამცირებს სითხის მოცულობას სისხლძარღვებსა და უჯრედსგარე არეში, რადგან ასეთი მდგომარეობა უიოლებს არსებობას და მუშაობას აღნიშნულ რეალობაში. ხანგრძლივი ფრენის შემდეგ დედამიწაზე დაბრუნებისას კი მისი ჯანმრთელობა უარესდება, რადგან გულს აღარ შეუძლია სისხლით ნორმალურად მოამარაგოს ტვინი. ეს გამოწვეულია არა მარტო კუნთების ტონუსის დაქვეითებით, არამედ ზოგადად სითხის დაკარგვის გამო სისხლის მოცულობა გულ-სისხლძარღვთა შესავსებად არასაკმარისი ხდება.

გარდა ამისა ძვლებზე ბუნებრივზე ნაკლები დატვირთვა იწვევს ძვლების მინერალური სიმკვრივის შემცირებას, რაც ძალიან წააგავს ოსტეოპოროზს (დაავადება, რომლის დროსაც მცირდება ძვლოვანი ქსოვილის მასა, ძვლები მყიდება, რაც ზრდის მოტეხილობის რისკს). ძვლები არათანაბრად კარგავს კალციუმს. ის ინტენსიურად გამოირეცხება ძვლების იმ უბნებიდან, რომლებიც სახსრების ფორმირებას ახდენს, ხოლო თავის ქალაში ხდება მისი დალექვა. კალციუმის დაკარგვის პროცესი ქვედა კიდურებში უფრო ძლიერად ვლინდება, ვიდრე ზედაში. როგორც კვლევებმა აჩვენა

ნორმალური მინერალური სიმკვრივის აღდგენის პროცესს 2-3-ჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კოსმოსურ ექსპედიციას.

**უწონადი მდგომარეობა და მისი გავლენა ადამიანის
ჯანმრთელობაზე**

*მ. გიგინეიშვილი, ო. კეთილაძე, მ. ჩიხლაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკისა და
მართვის სისტემების ფაკულტეტი, საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი
სააქციო საზოგადოება „კურაციო“*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ნაწილობრივ და სრულ უწონად მდგომარეობაში ყოფნისას ადამიანის წონის ცვლილება და მისი გავლენა ორგანიზმში ტრანსმულარული წნევის სიდიდეზე. ამ უკანასკნელის ცვლილებით ირღვევა სისხლის ბუნებრივი გადანაწილების კანონზომიერება. შესაბამისად, იცვლება სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობა. ამ მდგომარეობაში ხანგრძლივი ყოფნისას ორგანიზმში იწყება შეუქცევადი ცვლილებები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლისუნარიანობას.

State of the weightlessness and its influence on the health of a human being

*M. Gigineishvili, O. Ketiladze, M. Chikhladze
Georgian Technical University. Faculty of Informatics and control systems,
Department of Engineering Physics
Joint-Stock Company “Curatsio”*

Summary

The work deals with the change of the human's weight in partial and full weightless state and its influence on the size of transmular blood pressure in the body. By change of the latter the regularity of natural distribution of blood is violated. Correspondingly, the running vital processes are changed, too. Being in this state for a long time causes the irreversible changes in the body which threatens seriously his viability.

Keywords: *transmular pressure, baroreceptor system, vestibular disorder, osteoporosis.*

Состояние невесомости и её влияние на здоровье человека

М. Гигинеишвили, О. Кетиладзе, М. Чихладзе
Грузинский Технический Университет,
Факультет информатики и систем управления
Департамент Инженерной физики
Акционерное Общество «Курацио»

Резюме

В труде рассматривается изменение веса человека в состоянии частичной или полной невесомости и её влияние на величину трансмулярного давления в организме. Изменением этого последнего нарушается закономерность естественного перераспределения крови. Соответственно, меняется течение жизненных процессов. При длительном пребывании в таком состоянии в организме начинаются необратимые изменения, что создаёт серьёзную угрозу для его жизнеспособности.

Ключевые слова: трансмулярное давление, барорецепторная система, вестибулярное расстройство, остеопороз.

არაწრფივი, არასტაციონალური, დინამიკური ობიექტების
იდენტიფიკაცია ფუნქციონალური მწკრივების საშუალებით

ნინო ვარძიაშვილი, ელგუჯა კურცხალია

განვიხილოთ არაწრფივი, არასტაციონალური მართვის ობიექტი, რომელიც ხასიათდება ფუნქციონალით:

$$y(t) = F(x(\tau), t), \quad |0 \leq \tau \leq t; 0 \leq t \leq T,$$

სადაც $x(t)$ და $y(t)$ შესაბამისად შემავალი და გამომავალი სიგნალებია. განვიხილავთ შემთხვევას, როცა $F(x(\tau), t)$ ფუნქციონალი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ნამრავლის სახით:

$$F(x(\tau), t) = F_1(x(\tau)) \cdot F_2(t).$$

ობიექტი ისეთია, რომ შესაძლებელია $F_1(x(t))$ ფუნქციონალი წარმოდგენილი იქნას ვოლტერას მწკრივის საშუალებით:

$$F_1[x(t)] = \sum_{i=1}^{\infty} \int_0^t \cdots \int_0^t g^{(i)}(t-t_1, \dots, t-t_i) \prod_{k=1}^i x(t_k) dt_k, \quad (1)$$

ხოლო $F_2(t)$ იწლება t ცვლადის მიმართ ხარისხოვან მწკრივად:

$$F_2(t) = a_0 + a_1 \cdot t + a_2 \cdot t^2 + \dots \quad (2)$$

მაშასადამე, მართვის ობიექტის მათემატიკური მოდელისათვის გვექნება:

$$\hat{y}(t) = (a_0 + a_1 \cdot t + a_2 \cdot t^2 + \dots) \cdot \sum_{i=1}^{\infty} \int_0^t \dots \int_0^t g^{(i)}(t-t_1, \dots, t-t_i) \prod_{k=1}^i x(t_k) dt_1 \dots dt_i \quad (3)$$

(აქ $\hat{y}(t)$ მოდელის გამოსახველი სიგნალია, ანუ $y(t)$ -ს შეფასება) იდენტიფიკაციის ამოცანას მდგომარეობს, გავიგოთ იმპულსური $g^{(i)}(t_1, \dots, t_i)$ ფუნქციები და $(a_0; a_1; a_2; \dots)$ კოეფიციენტები მოცემული $x(t)$ -ს და $y(t)$ -ს მნიშვნელობების საშუალებით.

ვთქვათ, N ფიქსირებული რიცხვია. $[0; T]$ შუალედი დავეთ N ტოლ ნაწილად, $h = T/N$. შემოვიტანოთ მრავალი ცვლადის მახასიათებელი ფუნქცია შემდეგი სახით [1]:

$$\Phi_{m_1 \dots m_i}(t_1, \dots, t_i) = \begin{cases} 1, & \text{როცა } (t_1, \dots, t_i) \in [m_1 - 1)h, m_1 h] \times \dots \times [m_i - 1)h, m_i h] \\ 0, & \text{როცა } (t_1, \dots, t_i) \notin [m_1 - 1)h, m_1 h] \times \dots \times [m_i - 1)h, m_i h] \end{cases}$$

აღვნიშნოთ:

$$g_{m_1 \dots m_i}^{(i)} = \frac{1}{h^n} \int_{(m_1-1)h}^{m_1 h} \dots \int_{(m_i-1)h}^{m_i h} g^{(i)} dt_1 \dots dt_i \quad (4)$$

მაშინ $g^{(i)}(t_1 \dots t_i)$ ფუნქციისათვის შეიძლება დაიწეროს შემდეგი აპროქსიმაციული ტოლობა:

$$g^{(i)}(t_1, \dots, t_i) = \sum_{m_1=1}^N \dots \sum_{m_i=1}^N g_{m_1 \dots m_i}^{(i)} \Phi_{m_1 \dots m_i}(t_1, \dots, t_i) \quad (5)$$

ზოგადობის შეუზღუდავად (1) ტოლობის მარჯვენა მხარეში ავიღოთ მხოლოდ ორი შესაკრები, ხოლო (2) ტოლობის მარჯვენა მხარეში n შესაკრები და ამ შემთხვევისათვის ამოვხსნათ იდენტიფიკაციის ამოცანა [2].

ჩანაწერის გამარტივების მიზნით ყველგან მივიღოთ, რომ $g^{(1)}(t) \equiv g(t)$, ხოლო $g^{(2)}(t_1, t_2) \equiv G(t_1, t_2)$. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, (3) გამოსახულება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\hat{y}(t) = (a_0 + a_1 \cdot t + \dots + a_{n-1} \cdot t^{n-1}) \cdot \left(\int_0^t g(t-t_1)x(t_1)dt + \int_0^t \int_0^t G(t-t_1, t-t_2)x(t_1)x(t_2)dt_1 dt_2 \right) \quad (6)$$

თუ $p \in \overline{1, n}$, მაშინ შუალედი $[(p-1)h; ph]$ (როცა $p=1$, მაშინ $[0; h]$ შუალედი) დავეთ $p+2$ ტოლ ნაწილად, ხოლო თუ $p \in \overline{n+1, N}$, მაშინ შუალედი $[(p-1)h; ph]$ დავეთ $p+1$ ტოლ ნაწილად და განვიხილოთ ყოველი მიღებული შუალედის მახასიათებელი ფუნქცია:

$$\varphi_{pq}(t) = \begin{cases} 1, & \text{როცა } t \in [t_{pq-1}; t_{pq}] \\ 0, & \text{როცა } t \notin [t_{pq-1}; t_{pq}] \end{cases} \quad (7)$$

სადაც $t_{pq} = (p-1)h + \frac{q}{p+2}h$, $q \in \overline{1; p+2}$, როცა $p \in \overline{1, n}$, და $t_{pq} = (p-1)h + \frac{q}{p+1}h$, $q \in \overline{1; p+1}$, როცა $p \in \overline{n+1, N}$.

ცხადია შემდეგი ტოლობის მართებულობა:

$$\Phi_m(t) = \sum_{r=1}^{m+1} \varphi_{mr}(t).$$

შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$x_{pq} = \frac{p+2}{h} \int_{t_{pq-1}}^{t_{pq}} x(t) dt; \quad p = \overline{1, n} \quad q = \overline{1, p+2}; \tag{8.1}$$

$$\hat{y}_{pq} = \frac{p+2}{h} \int_{t_{pq-1}}^{t_{pq}} \hat{y}(t) dt; \quad p = \overline{1, n} \quad q = \overline{1, p+2}.$$

$$x_{pq} = \frac{p+1}{h} \int_{t_{pq-1}}^{t_{pq}} x(t) dt; \quad p = \overline{n+1, N} \quad q = \overline{1, p+1}; \tag{8.2}$$

$$\hat{y}_{pq} = \frac{p+1}{h} \int_{t_{pq-1}}^{t_{pq}} \hat{y}(t) dt; \quad p = \overline{n+1, N} \quad q = \overline{1, p+1}.$$

თუ გავითვალისწინებთ (7) და (8) ტოლობებს, მაშინ გვექნება შემდეგი აპროქსიმაციული ტოლობები:

$$\begin{aligned} x(t) &= \sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{p+2} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(t) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{p+1} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(t); \\ \hat{y}(t) &= \sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{p+2} \hat{y}_{pq} \cdot \varphi_{pq}(t) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{p+1} \hat{y}_{pq} \cdot \varphi_{pq}(t) \end{aligned} \tag{9}$$

ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად ვიპოვოთ $\varphi_{pq}(t) * \varphi_{mr}(t)$ ნახვევი.

$$(\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t) = \int_0^t \varphi_{pq}(t-\tau) \varphi_{mr}(\tau) d\tau = \int_{t_{mr-1}}^{t_{mr}} \varphi_{pq}(t-\tau) d\tau = \int_{t-t_{mr}}^{t-t_{mr-1}} \varphi_{pq}(\tau) d\tau.$$

რადგან $\varphi_{pq} * \varphi_{mr} = \varphi_{mr} * \varphi_{pq}$, ამიტომ ზოგადობის შეუზღუდავად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ $p \leq m$ და ნახვევი ჩავწეროთ უფრო მოხერხებული ფორმით [3]:

$$\varphi_{pq} * \varphi_{mr}(t) = \begin{cases} 0, & \text{როცა } t \leq t_{pq-1} + t_{mr-1}; \\ t - (t_{pq-1} + t_{mr-1}), & \text{როცა } t_{pq-1} + t_{mr-1} < t \leq t_{pq-1} + t_{mr}; \\ \frac{h}{m+1}, & \text{როცა } t_{pq-1} + t_{mr} < t \leq t_{pq} + t_{mr-1}; \\ t_{pq} + t_{mr} - t, & \text{როცა } t_{pq} + t_{mr-1} < t \leq t_{pq} + t_{mr}; \\ 0, & \text{როცა } t > t_{pq} + t_{mr}. \end{cases} \tag{10}$$

თუ გავითვალისწინებთ (5) და (9) ტოლობებს, მაშინ (6) გამოსახულება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} & \sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} y_{pq} \cdot \varphi_{pq}(t) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} y_{pq} \cdot \varphi_{pq}(t) = \\ & = (a_0 + a_1 \cdot t + \dots + a_{n-1} \cdot t^{n-1}) \left[\int_0^t \sum_{m=1}^N g_m \Phi_m(t-\tau) \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(\tau) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(\tau) \right) d\tau + \right. \\ & + \left. \int_0^t \int_0^t \sum_{m=1}^N \sum_{k=1}^N G_{mk} \Phi_m(t-t_1) \cdot \Phi_k(t-t_2) \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(t_1) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(t_1) \right) \times \right. \\ & \left. \times \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(t_2) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} \cdot \varphi_{pq}(t_2) \right) dt_1 dt_2 = \right. \end{aligned} \tag{11}$$

$$\begin{aligned} & \left. \sum_{m=1}^N g_m \sum_{r=1}^{m+1} \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} (\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} (\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t) \right) + \right. \\ & \left. \sum_{m,k=1}^N G_{mk} \sum_{r=1}^{m+1} \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} \cdot (\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} \cdot (\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t) \right) \times \right. \\ & \left. \times \sum_{r=1}^{k+1} \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} \cdot (\varphi_{pq} * \varphi_{mk})(t) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} \cdot (\varphi_{pq} * \varphi_{mk})(t) \right) \right] \end{aligned}$$

ავიღოთ $t = t_{ij}$ და შემოვიღოთ აღნიშვნა

$$A_{ij}^{(m)} = \sum_{r=1}^{m+1} \left(\sum_{p=1}^n \sum_{q=1}^{P+2} x_{pq} \cdot (\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t_{ij}) + \sum_{p=n+1}^N \sum_{q=1}^{P+1} x_{pq} \cdot (\varphi_{pq} * \varphi_{mr})(t_{ij}) \right),$$

მაშინ (11) ტოლობიდან გვექნება:

$$\hat{y}_{ij} = \left(\sum_{m=1}^N g_m A_{ij}^{(m)} + \sum_{m,k=1}^N G_{mk} A_{ij}^{(m)} \cdot A_{ij}^{(k)} \right) (a_0 + a_1 \cdot t + \dots + a_{n-1} \cdot t^{n-1}) \tag{12}$$

ვთქვათ, $m \geq i+1$, მაშინ:

$$\begin{aligned} t_{pq-1} + t_{mr-1} & = \left(p-1 + \frac{q-1}{p+1} + m-1 + \frac{r-1}{m+1} \right) h \geq \left(p-1 + \frac{q-1}{p+1} + i + \frac{r-1}{m+1} \right) h \geq \\ & \geq (i-1+p)h \geq \left(i-1 + \frac{j}{i+1} \right) h = t_{ij} \end{aligned}$$

ამიტომ (7)-ის ძალით $(\varphi_{mr} * \varphi_{pq})(t_{ij}) = 0$, როცა $m \geq i+1$, ეს კი ნიშნავს, რომ $A_{ij}^{(m)} = 0$, როცა $m \geq i+1$. ამ შენიშვნის გათვალისწინებით (12)-დან გვექნება:

$$\begin{aligned} \hat{y}_{11} &= \left(g_1 \cdot A_{11}^{(1)} + G_{11} (A_{11}^{(1)})^2 \right) \left(a_0 + a_1 \cdot t_{11} + \dots + a_{n-1} \cdot (t_{11})^{n-1} \right) \\ \hat{y}_{12} &= \left(g_1 \cdot A_{12}^{(1)} + G_{11} (A_{12}^{(1)})^2 \right) \left(a_0 + a_1 \cdot t_{12} + \dots + a_{n-1} \cdot (t_{12})^{n-1} \right) \\ \hat{y}_{13} &= \left(g_1 \cdot A_{13}^{(1)} + G_{11} (A_{13}^{(1)})^2 \right) \left(a_0 + a_1 \cdot t_{13} + \dots + a_{n-1} \cdot (t_{13})^{n-1} \right) \\ &\dots \\ \hat{y}_{n1} &= \left(\sum_{m=1}^n g_m A_{n1}^{(m)} + \sum_{m,k=1}^n G_{mk} A_{ij}^m A_{ij}^k \right) \left(a_0 + a_1 \cdot t_{n1} + \dots + a_{n-1} \cdot (t_{n1})^{n-1} \right) \\ &\dots \\ \hat{y}_{n,n+2} &= \left(\sum_{m=1}^n g_m A_{n,n+2}^{(m)} + \sum_{m,k=1}^n G_{mk} A_{n,n+2}^{(m)} A_{n,n+2}^{(k)} \right) \left(a_0 + a_1 \cdot t_{n,n+2} + \dots + a_{n-1} \cdot (t_{n,n+2})^{n-1} \right) \\ &\dots \\ \hat{y}_{N,N+1} &= \left(\sum_{m=1}^N g_m A_{N,N+1}^{(m)} + \sum_{m,k=1}^n G_{mk} A_{N,N+1}^{(m)} A_{N,N+1}^{(k)} \right) \left(a_0 + a_1 \cdot t_{N,N+1} + \dots + a_{n-1} \cdot (t_{N,N+1})^{n-1} \right) \end{aligned}$$

განტოლებათა პირველ სამეულში გვაქვს $(2+n)$ უცნობი: $g_1, G_{11}, a_0, \dots, a_{n-1}$. განტოლებათა შემდეგ ოთხეულში შემოდის სამი ახალი უცნობი: g_2, G_2 და $(G_{12} + G_{21})$ (ეს ჯამი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთი უცნობი), და ასე შემდეგ, $(2+n)$ განტოლებაში (განტოლებებში, რომლებშიც მონაწილეობენ $\hat{y}_{n1}, \hat{y}_{n2}, \dots, \hat{y}_{n,n+2}$ სიდიდეები) შემოდის $(1+n)$ ახალი უცნობი: $g_n, (G_{n1} + G_{1n}), (G_{n2} + G_{2n}), \dots, (G_{n,n-1} + G_{n-1,n}), G_{nn}$.

მაშასადამე, განტოლებათა რიცხვია: $3 + 4 + \dots + (n+2) = \frac{n+5}{2} \cdot n$, ხოლო

უცნობთა რიცხვია: $n + (2 + 3 + \dots + (n+1)) = n + \frac{n+3}{2} \cdot n = \frac{n+5}{2} \cdot n$.

განტოლებათა რიცხვი ტოლია ამ განტოლებებში შემავალ უცნობთა რიცხვის, ამიტომ ზოგადად შესაძლებელია ვიპოვოთ ამ განტოლებათა სისტემის ამონახსნი (შეგნიშნოთ, რომ ეს არაა წრფივ განტოლებათა სისტემა, ამიტომ ზოგადად მას ექნება არა ერთადერთი ამონახსნი).

დანარჩენ განტოლებებში შემოდის იმდენი ახალი უცნობი ($g_{n+1}, \dots, g_N, (G_{n+1,1} + G_{1,n+1}), \dots, (G_{n,n-1} + G_{n-1,n}), G_{nn}, \dots, G_{NN}$) რამდენი განტოლებაცაა, ამასთან ეს განტოლებები არიან წრფივი განტოლებები ამ ახალი უცნობების მიმართ, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სისტემას ექნება ძირითადად ერთადერთი ამონახსნი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადად, სისტემას ექნება არა ერთი ამონახსნი. იმის გასარკვევად, თუ რომელი ამონახსნი უნდა ავირჩიოთ მათგან, საჭიროა მათემატიკური მოდელით მიღებული მონაცემები (ამონახსნთა ყველა სიმრავლისათვის) შევადაროთ რეალურ მონაცემებს და ავირჩიოთ ის

ამონახსნი, რომლისთვისაც სიდიდე $M(y - \hat{y})^2$ იქნება უმცირესი (აქ M მათემატიკური ლოდინის სიმბოლოა).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akhobadze M. Identifikation of nonlinear closed dynamic systems by the block impulse functions. IFAC. Tbilisi, USSR, 1989.
2. Пупков К. Ф. Капалин В. И. и др. Функциональные ряды в теории нелинейных систем. М. Наука. 1976.
3. მ. ახოვაძე, ე. კურცხალია. არაწრფივი ობიექტების იდენტიფიკაცია მახასიათებელი ფუნქციის საშუალებით. სტუ. სამეცნიერო შრომები №13 (352). 1990.

არაწრფივი, არასტაციონალური, დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია
ფუნქციონალური მწკრივების საშუალებით

ნ. ვარძიაშვილი, ე. კურცხალია

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არაწრფივი, არასტაციონალური დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაციის საკითხი ფუნქციონალური მწკრივების საფუძველზე.

ობიექტის დინამიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ვოლტერას ფუნქციონალური მწკრივის საშუალებით, ხოლო ობიექტის არასტაციონალურობა კი დროის მიმართ მწკრივის საშუალებით.

მიღებულია იტერაციული ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ადაპტური მართვის სისტემები.

საკვანძო სიტყვები: იდენტიფიკაცია, არაწრფივი ობიექტები, ფუნქციონალური მწკრივები.

**Идентификация нелинейных, нестационарных, динамических объектов
управляемые с помощью функциональных рядов**

Н. Вардзиашвили, Э. Курицхалия

Резюме

В статье рассматривается метод идентификации нелинейного, нестационарного динамического объекта управления с помощью функционального ряда Вольтерра, и функционального ряда по времени.

Получен итерационный алгоритм вычисления коэффициентов модели, позволяющий построить адаптивные системы управления.

Ключевые слова: Идентификация. Нелинейные объекты. Функциональные ряды.

**ინფრასტრუქტურის შერჩევისა და პროგრამული საშუალებების
გამოყენების ოპტიმალური გადაწყვეტები კორპორაციული
ქსელებისათვის**

*ნატროშვილი თეარ, რობიტაშვილი ალექსანდრე
სრული პროფესორები.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული ქსელი, ინფრასტრუქტურა, პროგრამული საშუალებები, ოპტიმალური გადაწყვეტები

შესავალი

ბოლო პერიოდში კორპორაციულ ქსელებს, რომლებსაც კომპანიის თანამშრომლები თავიანთი საქმიანობის ოპერატიულად წარმართვის მიზნით ხშირად იყენებენ ბიზნეს-პარტნიორებს შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მონაცემების სწრაფად და მაღალი საიმედოობით მიღება-გადაცემების წარმოებას. ასეთი კორპორაციული ქსელები, ორგანიზებული გლობალური ქსელების ფუნქციონირების საზღვრებში, ტექნიკურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება ისინი როგორც კომპიუტერული ინტრა და ექსტრა ქსელები [1]. ასეთ ქსელებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათი ინფრასტრუქტურების ოპტიმალური შედგენა და პროგრამული საშუალებების ეფექტური გამოყენება.

პერსპექტიულ ქსელურ გარემოდ ამგვარი ქსელების ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, როგორც ცნობილია, ამჟამად მიხნეულია Internet – გლობალური კომპიუტერული ქსელი. ამ უკანასკნელის ფართო გამოყენებამ განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო სივრცეში.

ინფრასტრუქტურის როგორი ტიპი უნდა შეირჩეს, ან როგორი პროგრამული საშუალებები უნდა გამოიყენებოდეს ზემოთხსენებული სახის კომპიუტერულ ქსელებში? ამ კითხვებზე პასუხების გაცემა აინტერესებთ, როგორც დასაწყისში შევნიშნეთ, ქსელის მომხმარებლებს, პირველ რიგში კი მათ კორპორაციულ ბიზნეს-პარტნიორებს.

ვინაიდან ისინი მოითხოვენ თავიანთი მონაცემები გადასცენ მაღალი სიჩქარითა და გაზრდილი საიმედოობით, ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება ქსელის პროექტირებისას ყოველმხრივ გაანალიზდეს და გამოკვლეული იქნეს ქსელის როგორც მთლიანი ინფრასტრუქტურა, ისე ფიზიკურ გარემოში მისი თანმხლები შიგა ატრიბუტების მახასიათებლები. რაც შეეხება თვით ინტრა და ექსტრა ქსელებში უშუალოდ გამოყენებულ ტექნოლოგიებს (მხედველობაში გვაქვს მონაცემების ურთიერთგაცვლის ისეთი ქსელური მექანიზმები, როგორიცაა Ethernet-ში, Token Ring ან FDDI-ში), ყურადღების მეორე პლანზე გადადის.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, კომპიუტერული ქსელის პროექტირება, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ქსელური სისტემების აგება, მეტად რთული, საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმიანობაა. მას ახასიათებს ქსელური სისტემების მრავალწლიანი ბუნებრივი განვითარება, დაფუძნებული მათი განვითარების როგორც კონცეფციის, ისე მთელი რიგი არქტექტურული გადაწყვეტის თავისებურებებზე. აქედან გამომდინარე თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო კომპიუტერული ქსელის შემუშავება სპეციალისტების მხრიდან მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, მასთან ერთად მეტად სერიოზული შემოქმედებითი და ინტელექტუალური სამუშაოების შესრულებას.

ქსელურ ტექნიკაში ამჟამად მკვეთრად გამოკვეთილია ორი სარეალიზაციო მიდგომა: ლოკალური ქსელების საწყისი, შედარებით მარტივი ფორმა LAN (ინგლისურენოვანი შემოკლებიდან გამომდინარე Local Area NetWork) და გლობალური ქსელები WAN (Wide Area NetWork). მათ გააჩნიათ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

ძირითადინაწილი

კორპორაციული ინტრაქსელები წარმოადგენენ თავისი არსით სრულ ფუნქციონალურ ქსელურ რეალიზაციებს, დაქვემდებარებული შედარებით მცირე ზომებთან. ისინი მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით ბოლო წლებში ძალზე ფართოდ ინერგება. მათ განშტოებებს

წარმოადგენენ ექსტრა ქსელები, რომლებიც ახორციელებენ საქმიან ურთიერთობებს მინიმუმ ორზე მეტ კომპანიებს შორის, ამიტომ მოთხოვნები ქსელური ინფრასტრუქტურისა წაყენებათ მათ უპირველეს ყოვლისა ამ მოსაზრებიდან გამომდინარე. იგივე ითქმის პროგრამულ მოთხოვნებზე, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ ქსელში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიმღებმა სპეციალისტებმა.

მონაცემთა დაჩქარებული გადაცემების სრულყოფისაკენ სწრაფვას კორპორაციულ ქსელებში მიყვავართ იმისკენ, რომ პაკეტების კომუტაციას ინტრა და ექსტრა ქსელებში უპირატესი როლი ენიჭებათ კომუტაციის სხვა პრინციპებთან შედარებით (მაგალითად, არხების კომუტაციებთან შედარებით).

პაკეტების კომუტაცია უპირველეს ყოვლისა აადვილებს მარშრუტიზაციის მეშვეობით დამყარდეს პირდაპირი კავშირები სხვადასხვა მოწყობილობებს შორის (მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში ქსელის მუშა სადგურები და სერვერები). ასეთი შეერთებები ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან წარმოიქმნება ტექნიკური შესაძლებლობები კავშირის ერთი სეანსის ფარგლებში მოვემსახუროთ მონაცემთა სხვა ბიტების დამუშავებას, არ დაველოდოთ რა მათზე წინმსწრები ბიტების ფორმირების დამთავრებას (ჩვეულებრივ, როგორც ეს ხდება ხოლმე არხების კომუტაციების დროს). კომუტაციების ასეთი ტექნოლოგიური შესაძლებლობების არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია ქსელის ადმინისტრატორებისათვის. კიდევ ერთი შესაშური განსაკუთრებულობა ამ ტექნოლოგიისა მდგომარეობს საკომუტაციო ადჭურვილობის გაწყობის (ინსტალაციის) სიმარტივე. საჭიროა მინიმალური ძალისხმევა პროგრამისტების მხრიდან კონფიგურაციის ინფრასტრუქტურის მოსამართად (ზოგჯერ კი ამის აუცილებლობაც არ არის საჭირო), ვინაიდან კომუტატორები ფაქტიურად წარმოადგენენ თვითგაწყობად მოწყობილობებს (Plug and Play). მონაცემთა მარშრუტიზაციის სწრაფი ცვლა ასეთ დროს მოითხოვს გაკეთდეს რეალიზაციების უმნიშვნელო ცვლილებები.

რაც შეეხება პროგრამულ საშუალებებს, ძალზე პერსპექტიულია ოპერაციული სისტემებიდან უპირატესობა მიენიჭოს Windows NT-ს, ან მასთან ერთად სხვა ოპერაციული სისტემების კომბინაციების გამოყენებას (მაგალითად Novell-ის NetWare-ს, UNIX ან OS/2-ს და ა.შ.). NetWare-ოპერაციული სისტემის პროგრამული საშუალებები, როგორც [2]-შია ნაჩვენები, კარგად მუშაობენ ინტრა ქსელების სერვერულ მოწყობილობებთან. იგი მეტად ეფექტურია მცირე კორპორაციულ გარემოებებში (სადაც ქსელის აბონენტების რაოდენობა არ აღემატება 100 მომხმარებელს). საშუალო ქსელური გარემოსათვის, სადაც მომხმარებელთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 1000-მდე, უმჯობესია დაყენდეს Microsoft-ის პროგრამული საშუალებები, ხოლო დიდ კორპორაციულ გარემოებებში (სადაც მომხმარებელთა რიცხვი მკვეთრად აღემატება 1000-ს), უპირატესობა ენიჭება Windows NT-ს ოპერაციული სისტემის გამოყენებას,

რომელიც ბოლო პერიოდში კარგ შედეგებს იძლევა მათი NetWare პროგრამულ საშუალებებთან კომბინირებული გამოყენებებიც.

დასკვნა

ამგვარად, კორპორაციული დანიშნულების ინტრა და ექსტრა ქსელებში მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაა ქსელის როგორც ინფრასტრუქტურის შერჩევა, ისე მათში გამოყენებული პროგრამული საშუალებების ოპტიმალური გადაწყვეტების ძიების საკითხების ეფექტური წარმართვა. ასეთი ქსელების პრაქტიკულ რეალიზაციებში დიდი როლი აკისრია ფინანსური საკითხების მოგვარებას, ვინაიდან ისინი ხშირ შემთხვევებში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქსელების ფორმირებისას. ქსელის ადმინისტრატორებისათვის მეტად არასასურველია ქსელების გატარების ზოლის დაყოფისა და აგრეგირების ხშირი პროცედურების ჩატარების საჭიროებებიც კორპორაციული მონაცემების ინტრაქსელებში მიღება – გადაცემების საწარმოებლად.

ლიტერატურა

1. კორპორაციული მონაცემების დაცვის პრობლემები ინტრა და ექსტრა ქსელებში/ ო. ნატროშვილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. განათლება. 2016 №1(15), თბილისი, 2016
2. Компьютерные сети и сетевые технологии/Марк Спортакидр. Киев.: ООО "ТИД" ДС, 2002

**ინფრასტრუქტურის შერჩევისა და პროგრამული საშუალებების
გამოყენების ოპტიმალური გადაწყვეტები კორპორაციული
ქსელებისათვის**

*ნატროშვილი თეარ, რობიტაშვილია ლექსანდრე,
პროფესორები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

განხილულია კორპორაციული ქსელების ინფრასტრუქტურის შერჩევის ოპტიმალური გადაწყვეტები გლობალური ქსელების ფუნქციონირების საზღვრებში ორგანიზებული ინტრა და ექსტრა ქსელებისათვის. მითითებულია ოპერაციული სისტემების გამოყენების სახეები მცირე, საშუალო და დიდი ქსელური გარემოებებისათვის.

CHOICE OF INFRASTRUCTURE AND OPTIMUM SOLUTIONS APPLICATION
SOFTWARE FOR CORPORATE NETWORKS

Natroshvili Otar

Doctor of Technical Sciences, Professor.

Georgian Technical University

Robitashvili Alexander

Candidate technical sciences, professor.

Georgian Technical University

Summary

The optimum choice of infrastructure solutions and enterprise intra Extra networks organized within the global computer networks. Shown on the applications of software agents operating systems for small, medium and large network environments.

Keywords: enterprise network infrastructure, software tools, optimalsolutions

ВЫБОР ИНФРАСТРУКТУРЫ И ОПТИМАЛЬНЫЕ РЕШЕНИЯ ПРИМЕНЕНИЯ
ПРОГРАМНЫХ СРЕДСТВ ДЛЯ КОРПОРАТИВНЫХ СЕТЕЙ

Натрошвили Отар

Доктор технических наук, профессор

Грузинский Технический Университет.

Робиташвили Александр

Кандидат технических наук, профессор.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены оптимальные решения выбора инфраструктуры корпоративных интра и экстрасетей, организованные в пределах глобальных компьютерных сетей. Указаны на виды применения программных средств операционных систем для малых, средних и больших сетевых сред.

Ключевые слова: Корпоративная сеть, инфраструктура, программные средства, оптимальные

თორიუმის 3d-გარდამავალ ლითონებთან (*Fe, Co, Ni*)
ინტერლითონური ნაერთების მაგნიტური თვისებები და
ელექტრონული სტრუქტურა

ზ. ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი
ე. ზერაგია, სტუ, პროფესორი
ლ. დარჩიაშვილი, სტუ პროფესორი


საკვანძო სიტყვები: თორიუმი, კრისტალი, მაგნიტური თვისებები, კობალტი

თორიუმის ნაერთები ბორთან, ალუმინთან, სტიბიუმთან, ფოსფორთან და გოგირდთან, აქვთ რა იზომორფული და სხვადასხვაგვარი კრისტალური სტრუქტურები, თავისი მაგნიტური თვისებებით არსებითად არ განსხვავდებიან. მოცემული ნაერთების ეს თვისებები აიხსნება ზონური მოდელის – კოლექტივიზირებული ელექტრონების მოდელის საფუძველზე.


სტატიაში განხილული იქნება თორიუმის 3d-გარდამავალ *Fe, Co, Ni* ლითონებთან ინტერლითონური ნაერთების მაგნიტური თვისებები და ელექტრონული სტრუქტურა, რომლებიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ ფერომაგნიტურ ლითონებს მაღალი ტემპერატურებით. ძირითადი ყურადღება აქ ეთმობა ერთნაირი სტექიომეტრიული შემადგენლობის და მსგავსი პარამეტრის და ელექტრონული უჯრედის იზომორფულ კრისტალურ სტრუქტურების მქონე თორიუმის ნაერთებს. კვლევის ობიექტები იყო *ThFe₅, ThCo₅, ThNi₅, ThCo* და *ThNi* ნაერთები.

1:5 შემადგენლობის ნაერთებს აქვთ მესერის ძალიან მსგავსი პარამეტრების მქონე სტრუქტურა, ხოლო 1:1 ნაერთებს შესაბამისად ორთორომბული და რომბული და გააჩნიათ განსხვავებული პარამეტრები. ვინაიდან ეს ნაერთები ძალიან იჟანგება ოთახისაზე მაღალ ტემპერატურაზე და 10^{-3} მმ ვერცხლ. სვ. (ვერცხლისწყლის სვეტი) ვაკუუმზე, რომელიც შექმნილი დანადგარში, აღმოჩნდა არასაკმარისი დაჟანგვის აცილებისთვის, ყველა ნიმუშის შედუღება ხდებოდა თხელკედლიან მოლიბდენის მინის ამპულაებში. ამბულები ამოიტუმბებოდა 10^{-5} – 10^{-6} მმ ვერცხლ. სვ.–ის ვაკუუმამდე, სადაც იყო საკვლევი ნაერთის ცნობილი მასა და ხდებოდა შედუღება. სურ. 1-ზე წარმოდგენილია თორიუმის 3d – ლითონებთან ნაერთების მაგნიტური თვისებების კვლევის შედეგები. სურათიდან ჩანს, რომ *ThFe₅* და *ThCo₅* ნაერთები ოთახის ტემპერატურაზე არიან ფერომაგნეტიკები.

ამ ნაერთების კიურის პარამაგნეტიკური ტემპერატურები შესაბამისად ტოლია 640°K და 443°K -ისა, და $3d$ - გარდამავალი ლითონის ატომზე მოსული ეფექტური მაგნიტური მომენტები 3,2 და 3-ია. როგორც ჩანს, მიღებული ეფექტური მომენტების მნიშვნელობა განსხვავდება ამ ელემენტების იზოლირებული იონების მომენტებისგან ($\text{Fe}^{3+} - 5,9\mu\beta$, $\text{Co}^{3+} - 4,9\mu\beta$).



სურ. 1. I/X -ის დამოკიდებულება T -ზე
1. ThCo_5 2. ThFe_5 3. ThNi_5 ნაერთებისთვის



სურ. 2. I/X -ის დამოკიდებულება T -ზე
1. ThNi 2. ThCo ნაერთებისთვის

ეს განპირობებულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ ნაერთებში მოხდა $3d$ გარდამავალი ლითონის ზონის ნაწილობრივი შევსება. ასევე აღსანიშნავია, რომ ThCo_5 და ThFe_5 -ისთვის ფერომაგნიტური გარდაქმნის ტემპერატურის მნიშვნელობა განსხვავდება მონაცემებისგან, რომლებიც მოყვანილია [1] შრომაში დაახლოებით $30-40^{\circ}$ -ით. ასეთი შეუსაბამობა, როგორც ნაჩვენებია [1] შრომაში, შეიძლება აიხსნას კობალტის და რკინის სხვადასხვა კონცენტრაციით. აღმოჩნდა, რომ CaCu ტიპის ნაერთების ახლოს, არსებობს ჰომოგენურობის სფეროები, ამასთანავე შემადგენლობის გაზრდით, მაგალითად,

Θ_f 2% ტემპერატურა ორმაგდება. როგორც ჩანს ამით არის გამოწვეული სხვადასხვა ავტორების მიერ მიღებული Θ_f -ის წინააღმდეგობრივი შედეგები. რაც შეეხება $ThNi_5$ ნაერთს, მას აქვს ტემპერატურისგან დამოუკიდებელი სუსტი პარამაგნეტიზმი ($X = 0,7 \cdot 10^{-6} \text{ გ}^{-1} \text{ სმ}^3$). $ThCo$ და $ThNi$ ნაერთები ასევე წარმოადგენენ პარამაგნეტიკებს, თუმცა, მათი მაგნიტური ამთვისებლობა გამოკვლეული ტემპერატურულ ინტერვალში, მისდევს კიური-ბეისის კანონს.

$1/X(T)$ -ის ღერძისადმი წრფივი დამოკიდებულების ექსტრიპოლაციის მივიღებთ კიურის $\Theta_p = 310^\circ K$ და $M_{\text{ფიზ.}} = 1\mu\beta$ -ის ეფექტური მომენტის პარამაგნეტიკური ტემპერატურის მნიშვნელობას $ThNi$ ნაერთისთვის.

ამგვარად, შესწავლილი ნაერთებისგან განსხვავებით, Th -ს იზომორფული ნაერთები $3d$ -ლითონებთან, ავლენენ სხვადასხვაგვარ მაგნიტურ თვისებებს. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ტემპერატურისგან დამოუკიდებელ პარამაგნეტიკებს, ხოლო მეორე – ფერომაგნეტიკებს. შეგახსენებთ, რომ 1:5 შემადგენლობის Th ნაერთებში, $Ni-Ni$, $Co-Co$, $Fe-Fe$ ახლო მეზობლებს შორის მანძილი თითქმის ერთნაირია. აქ მიღებული შედეგების ასახსნელად გამოვიყენებთ „ხისტი ზონის“ მოდელს, რომელიც პირველად გამოყენებული იყო ბეიტსის მიერ [2] აქტინიდის შენადნობების მაგნიტური თვისებების ინტერპრეტაციისას. ურანის პალადიუმთან მყარი ხსნარების სისტემისადმი მიძღვნილ თავის შრომაში, ურანის შემცველობის გაზრდით შენადნობების ამთვისებლობა შემცირება მან ახსნა პალადიუმის d -ზონის ურანის ვალენტური ელექტრონებით შევსებით. დავუშვათ, რომ ანალოგიური სიტუაცია შეინიშნება თორიუმის $3d$ -ლითონებთან ნაერთების წარმოქმნისას, კერძოდ, თორიუმის ვალენტური ელექტრონები ავსებენ რკინის ჯგუფის ლითონის $3d$ -ზონას. ამასთანავე, თუ $3d$ -ზონა აღმოჩნდება სრულად შევსილი, მაშინ ნაერთმა არ უნდა გამოავლინოს ძლიერი მაგნიტური თვისებები. როდესაც $3d$ -ზონაში რჩება თავისუფალი ადგილები, შეიძლება ნაერთში გაჩნდეს მაგნიტური რიგი. თორიუმის ატომს შეუძლია გასცეს არა უმეტეს ოთხი ელექტრონისა. თუ დავუშვებთ, რომ შენადნობის $3d$ -ზონის ფორმა რჩება უცვლელი, ან თითქმის უცვლელი, ანუ ჰგავს რკინის ჯგუფის საწყისი ლითონის $3d$ -ზონას, ჩავთვალოთ, რომ შენადნობის $3d$ -ზონაში ელექტრონების რაოდენობა, განპირობებული გარდამავალი d -ლითონის ელექტრონებით, რჩება ისეთივე, როგორც სუფთა ლითონში. ვინაიდან $3d$ -ზონის ლითონის კოზალტში არსებობს ატომზე 1,7 თავისუფალი ადგილი [3], $ThCo_5$ მოლეკულაში ის უკვე 8,5-ია. თორიუმს შეუძლია გასცეს არა უმეტესი 4 ელექტრონისა. ამგვარად, $ThCo_5$

ნაერთში თავისუფალი ადგილები უნდა იყოს $3d$ -ზონაში, რაც თანხმობაშია ექსპერიმენტულ შედეგებთან – ამ ნაერთში არსებობს ფერომაგნეტიზმი.

ასეთივე სიტუაციაა $ThFe_5$ ნაერთშიც, სადაც ნაერთის მოლეკულაზე მოდის 13 თავისუფალი ადგილი (რკინის ატომზე დაახლოებით 2,6) [4]. ასევე შეიძლება აიხსნას სხვა ნაერთების მაგნიტური თვისებებიც, რომლებიც შესწავლილი იყო ბლოუს შრომებში [4] მესბაუერის ეფექტის დახმარებით. აღნიშნავთ, რომ ბლოუს მის მიერ მიღებულ შედეგებს ხსნიდა მხოლოდ კრისტალური სტრუქტურის მიხედვით მიღებული მონაცემების გამოყენებით, ადარებდა რა მანძილს რკინის უახლოეს მეზობლებს შორის, ხოლო ურანის ატომების როლი დაჰყავდა მხოლოდ მათ მიერ გაცვლითი ურთიერთქმედების შემცირებამდე. თუმცა, როგორც ჩვენმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, შედეგების ასეთი ინტერპრეტაცია არ არის სწორი, რამეთუ არ შეიძლება ნაერთების წარმოქმნაში თორიუმის ატომების როლის სრულიად გამორიცხვა. ასე მაგალითად, ბლოუს პოზიციიდან, შეუძლებელია განვასხვავოთ ერთის მხრივ $ThNi_5$ ნაერთის მაგნიტური თვისებები და მეორეს მხრივ $ThCo_5$ და $ThFe_5$ ნაერთებისა, რომელთაც მაგნიტური ატომების უახლოეს მეზობლებს შორის მანძილი თითქმის ერთნაირი აქვთ.

$ThNi$ და $ThCo$ ნაერთებში, ჩვენი განმარტების გამოყენებით, $3d$ -ზონები უნდა იყოს შევსილი, რაც შეინიშნება კიდევაც ცდაში. ორივე ეს ნაერთი წარმოადგენს პარამაგნეტიკებს.

ამგვარად, პარამაგნიტურ სფეროში თორიუმის $3d$ -ლითონებთან ბინარული ნაერთების მაგნიტური თვისებების კვლევების შედეგების შეჯამებისას, შეიძლება ითქვას, რომ აღმოჩენილი ამ ნივთიერებების განსხვავებული მაგნიტური თვისებები შეიძლება დამაკმაყოფილებლად ახსნილი იყოს „ხისტი“ ზონის მოდელის პოზიციიდან, ამასთანავე უნდა დავუშვათ, რომ თორიუმს შეუძლია გასცეს ყველა თავისი ვალენტური ელექტრონი შენადნობის $3d$ -ზონაში.

ლიტერატურა

1. Van der Goot A. S., Buschow K. H., J. Phys.stat. Sol (a), s, 665, 1971
2. Bates J. F., Yeach S. J., Proc. Phys. Soc.Ln XIX, 997, 1956
3. З.Б. Чачхиани. В. И. Чечерников, Л. Г. Чачхиани. Магнетизм сплавов и соединении тория. Мецниереба 1986.
4. Blow S. J. Phys, C3, 158, 1972

თორიუმის 3d-გარდამავალ ლითონებთან (Fe, Co, Ni) ინტერლითონური
ნაერთების მაგნიტური თვისებები და ელექტრონული სტრუქტურა

ზ. ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი
ე. ზერაგია, სტუ პროფესორი
ლ. დარჩიაშვილი, სტუ პროფესორი

რეზიუმე

თორიუმის ნაერთები ბორთან, ალუმინთან, სტიბიუმთან, ფოსფორთან და გოგირდთან, აქვთ რა იზომორფული და სხვადასხვაგვარი კრისტალური სტრუქტურები, თავისი მაგნიტური თვისებებით არსებითად არ განსხვავდებიან. მოცემული ნაერთების ეს თვისებები აიხსნება ზონური მოდელის – კოლექტივიზირებული ელექტრონების მოდელის საფუძველზე.

The transition metals (Fe, Co, Ni) of thorium 3d compounds inter metallic magnetic properties and the electronic structure

Z.Chachkhiani, GTU, Professor
E. Zeragia, GTU, Professor
L.Darchaishvili, GTU, Professor

Abstract

Compounds with thorium of boron, aluminum, antimony, phosphorus and with sulfur to, have which isomorphic and different crystalline structures, her magnetic properties do not differ from essentially. These can be explained by the properties of the compounds with a zone model – the collectivized electron based on a model.

keywords: thorium, crystal, the magnetic properties, cobalt

Тория 3d- переходные металлы (Fe, Co, Ni) соединений между металлическими магнитными свойствами и электронная структура

З.Б. Чачхиани, ГТУ, Профессор

Е.М. Зерагиа, ГТУ, Профессор

Л.К. Дарчишвили, ГТУ, Профессор

Резюме

Соединения с торием бора, алюминия, сурьмы, фосфора и с серы, у которых изоморфными и различные кристаллические структуры, ее магнитные свойства не отличаются от сути. Они могут быть объяснены свойствами соединений с моделью зоны - на основе модели коллективизированного электрона.

Ключевые слова: торий, кристалл, магнитные свойства, кобальт

**დეროვანი სისტემის დინამიკური გაანგარიშება
ინჟინრული ხერხით**

*ხაბეიშვილი ანზორი, ხაბეიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: სისტემის სიხისტის კოეფიციენტი წერტილში.


დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშების სიძნელის გამო, საინჟინრო პრაქტიკაში, იყენებენ ენერჯის შენახვის კანონზე დაფუძნებულ ენერგეტიკულ მეთოდს.

ამ მეთოდით ვარდნილი ტვირთის მიერ დაგროვილი კინეტიკური ენერჯია მთლიანად გადადის დეფორმაციის პოტენციალურ ენერჯიაში (თელვაზე და ხახუნზე ენერჯის კარგვას უგულვებელყოფენ) [1]:

$$T = U \tag{1}$$

ინჟინრული ხერხის მიხედვით, დრეკადი სისტემის დარტყმაზე გაანგარიშების დროს, პოტენციალური ენერჯია U განისაზღვრება შიგა დრეკადი ძალოვანი ფაქტორების საშუალებით, რომელიც დარტყმის წერტილში მოღებული უცნობი P_{ϕ} ძალით არის აღძრული,

განვიხილოთ დრეკადი სისტემა, რომელიც შედგენილია წრიული განივი კვეთის მქონე ფოლადის დეროებისაგან (ნახ.1,ა).



ნახ. 1

იგი განიცდის H სიმაღლიდან ვარდნილი Q ტვირთის დარტყმას ქვედა დეროს ბოლოზე დამაგრებულ დისკოზე.

განხილულ ამოცანაში პოტენციალური ენერგია განისაზღვრება მხოლოდ ნორმალური ძალებით:

$$U = \sum_{i=1}^n \int_0^{l_i} \frac{N_i^2}{2EF} dx \quad (2)$$

დავადგინოთ დეროებში მაქსიმალური დინამიკური ნორმალური ძაბვები და შევამოწმოთ სიმტკიცის პირობა თუ:

$$l_1 = l_2 = 1,5 \text{ მ}, Q = 50 \text{ ნ}, H = 0,1 \text{ მ}, l_3 = 1,0 \text{ მ}, d_1 = d_2 = 6 \text{ მმ}, d_3 = 8 \text{ მმ}, \alpha = 30^\circ, [\sigma] = 125 \text{ ნ/მმ}^2.$$

ნორმალური ძალები გამოვსახოთ დარტყმის B წტირტილში მოდებული უცნობი P_Q ძალით.

გამოვიყენოთ კვეთის მეთოდი [4]: B კვანძისათვის (ნახ.1,ბ). წონასწორობის განტოლების გამოყენებით $\sum X = N_3 - P_Q = 0, N_3 = P_Q$.

A კვანძისათვის (ნახ.1,გ) კი გვექნება:

$$\sum Z_1 = -N_1 \sin \alpha + N_2 \sin \alpha = 0, \text{ აქედან } N_1 = N_2.$$

$$\sum X = N_1 \cos \alpha + N_2 \cos \alpha - P_Q = 0,$$

საიდანაც

$$N_1 = N_2 = N = P_Q / 2 \cos \alpha = P_Q / \sqrt{3}.$$

ინჟინრული ხერხის მიხედვით მიღებულ დინამიკური ძალის საანგარიშო ფორმულას აქვს სახე [2]:

$$P_{\infty} = Q (1 + \sqrt{1 + 2H K / Q}) \quad (3)$$

სადაც K არის სისტემის სიხისტის კოეფიციენტი, რომელიც რიცხობრივად დარტყმის წერტილში ერთეულოვანი გადაადგილების გამომწვევი ძალის ტოლია. ის დამოკიდებულია დრეკადი სისტემის შემადგენელი ელემენტების შეერთების (პარალელური, მიმდევრობითი და შერეული) სახეზე [2].

სისტემის დრეკადი ელემენტების მიმდევრობითი შეერთების დროს სიხისტის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$K = \frac{1}{\sum_{i=1}^n \frac{1}{C'_i}} \quad (4)$$

სადაც C'_i არის სისტემის დეროების სიხისტე დარტყმის წერტილში. რადგანაც $N_1 = N_2 = N = P_{\infty} / \sqrt{3}$, $l_1 = l_2 = l$, $F_1 = F_2 = F$,

(2)-ის გამოყენებით A კვანძში სისტემის დეფორმაციის პოტენციალური ენერჯის გამოსახულება მიიღებს სახეს:

$$U = N^2 l_1 / 2E F_1 + N^2 l_2 / 2E F_2 = P_{\infty}^2 l / 3E F \quad (5)$$

მეორეს მხრივ პოტენციალური ენერჯია ტოლია [1]:

$$U = P_{\infty} \delta_A / 2 \quad (6)$$

სადაც δ_A არის A კვანძის ვერტიკალური გადაადგილება.

(5) და (6)-ის შედარებით მივიღებთ:

$$\delta_A = 2P_{\infty} l / 3E F \quad (7)$$

პირველი და მეორე დეროს სიხისტე A და B წერტილში ერთმანეთის ტოლია. ამიტომ გვექნება:

$$C = 3E F / 2l \quad (8)$$

მესამე დეროს აბსოლუტური წაგრძელება ჰუკის კანონის თანახმად განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta l_3 = N_3 l_3 / E F_3 = P_{\infty} l_3 / E F_3 \quad (9)$$

ე. ი. მესამე დეროს სიხისტე დარტყმის B წერტილში განისაზღვრება გამოსახულებით:

$$C_3 = E F_3 / l_3 \quad (10)$$

განხილულ მაგალითში დეროები მიმდევრობით არიან შეერთებული, ამიტომ (4)-ით გვექნება:

$$K = C \cdot C / C + C \quad (11)$$

პირველი და მეორე დეროების განიკვეთის ფართობი ერთმანეთის ტოლია:

$$F_1 = F_2 = F = 3,14 \cdot 6 / 4 = 28,26 \text{ მმ}^2$$

მესამე დეროსი კი

$$F_3 = 3,14 \cdot 8^2 / 4 = 50,24 \text{ მმ}^2;$$

(8) და (10)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით მივიღებთ:

$$C = 3 \cdot 2 \cdot 10^5 \cdot 28,26/2 \cdot 1,5 \cdot 10^3 = 5652 \text{ ნ/მმ},$$

$$C_3 = 2 \cdot 10^5 \cdot 50,24/10^3 = 10048 \text{ ნ/მმ} \cdot$$

(11)-ის მიხედვით სისტემის სიხისტის კოეფიციენტი B დარტყმის წერტილში ტოლია:

$$K = \frac{5652 \cdot 10048}{5652 + 10048} = 3617 \frac{\text{ნ}}{\text{მმ}}$$

(3)-ის მიხედვით დინამიკური ძალის სიდიდე იქნება :

$$P_{\text{დ}} = 50 \left(1 + \sqrt{1 + \frac{2 \cdot 10048 \cdot 36}{50}} \right)^{1,7} = 60645$$

ვიციტ რა დინამიკური ძალის სიდიდე, შეგვიძლია დავადგინოთ სხვადასხვა დინამიკური მახასიათებლები.

მაქსიმალური დინამიკური ნორმალური ძაბვის სიდიდე პირველ და მეორე დეროში ერთმანეთის ტოლია:

$$\sigma_{1\text{დ}} = \sigma_{2\text{დ}} = N_1/F_1 = P_{\text{დ}}/F_1\sqrt{3} \approx 124 \text{ ნ/მმ}^2,$$

მესამე დეროში კი გვექნება:

$$\sigma_{3\text{დ}} = P_{\text{დ}}/F_3 = 6064/50,24 \approx 121 \text{ ნ/მმ}^2.$$

მიღებული შედეგები ემთხვევა დინამიკურობის კოეფიციენტის საშუალებით დადგენილ ძაბვებს [1], [3] და აკმაყოფილებენ სიმტკიცის პირობებს:

$$124 \frac{\text{ნ}}{\text{მმ}^2} < 125 \frac{\text{ნ}}{\text{მმ}^2}, \quad 121 \frac{\text{ნ}}{\text{მმ}^2} < 125 \frac{\text{ნ}}{\text{მმ}^2}$$

ჩვენს მიერ გამოყენებული ინჟინრული ხერხის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მარტივია და სხვადასხვა სიხისტის მქონე ელემენტებისაგან შედგენილი დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშების დროს ეფექტურია;

მისი გამოყენება არ მოითხოვს დინამიკურობის კოეფიციენტის დადგენას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ხერხით შეიძლება გავიანგარიშოთ დრეკადი სისტემები, განვივი, ღუნვითი, გრეხითი და სხვა სახის დარტყმის შემთხვევაში.

ლიტერატურა

1. Писаренко Г.С., Агарев В.А., Квитка А.Л., Попков В.Г., Уманский Э.С. Сопротивление материалов. Киев. Головное изд-во объедин. «Высшая школа». 1986, с. 691, 411, 698.
2. ახაბეიშვილი, ნ.ახაბეიშვილი. დრეკადი სისტემის შემადგენელი ელემენტის სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა დარტყმის დროს. სტუის სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, 2014 №1(10), თბილისი. გვ. 161.

3. Мовин М.С. Израелит А.Б. Рубашкин А.Г. "Руководство к решению задач по технической механике". Москва. `Высшая школа~. 1977, с 244
4. ა.ხაბეიშვილი, ქ.აღაგიძე, თ.ბაციაძე. მასალათა გამძლეობა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2009. გვ. 30

Dynamical Calculation of the Rod System on the shock, by the Engineering Method

*Khabeishvili A.D., Khabeishvili N. A.
Georgian Technical University*

Abstract

The Article discusses a dynamical calculation of the rod system on the shock, by the Engineering Method.

According to this method, a unknown dynamical load is applied at the point of the shock and, a potential energy is determined by help of the internal elastic force factors.

A dynamical force is determined by rigidity of the system in the point of shock.

Key words: Coefficient of rigidity of the system in the point.

Динамический расчет стержневой системы инженерным способом

*Хабейшвили А. Д., Хабейшвили Н. А.
Грузинский технический университет*

Резюме

В статье рассматривается динамический расчет стержневой системы инженерным способом, на удар. По етому способу, в точке удара прикладивается неизвестный динамический груз и определяется потенциалная энергия при помощи внутренних упругих силавых факторов динамическая сила определяется с помощью жесткостью системы в точке удара. С помощью динамической силы определяются динамические напряжения.

Ключевые слова: коэффициент жесткости системы в точке.

ავტოსატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზა, როგორც
კრიმინალისტიკური ინფორმაციების ექსპერტული
კვლევის ობიექტი

*არჩილ ჯანელიძე, ტ.მ.კ. აკად. დოქტორი;
გოდერძი ჯანელიძე, ტ.მ.კ. ასოც. პროფ-რი;
ბესიკ ოსიაშვილი, ხატია მაწიაშვილი, მარი წიკლაური
სტუ-ს მაგისტრანტები*

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური სისტემები; გეო ინფორმატიკა; კრიმინალისტიკა .

„ავტოსატრანსპორტო - ტრასოლოგიური ექსპერტიზა, როგორც კრიმინალისტიკური ინფორმაციების ექსპერტული კვლევის ობიექტი“ კვლევის მრავალფაქტორიანი სისტემაა რომელიც აერთიანებს ერთის მხრივ ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის, სასამართლო-საექსპერტო საქმიანობის, ტრასოლო-გიური კვლევისა და მეორეს მხრივ კრიმინალისტიკური ინფორმაციების კვლევის ტექნოლოგიების, გეოინფორმატიკის მიღწევათა პრაქტიკული გამოყენების მეთოდებსა და ხერხებს. იგულისხმება ისეთი სისტემები, რომლებიც მოიცავენ იმ პირველად მონაცემებს, რომლებიც მიუთითებენ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ გამართულობაზე, დამრღვევი პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, გარემო სივრცის, გზის ზედაპირისა და სხვა გარე ფაქტორებზე. მეთოდის განსაზღვრავს სატრანსპორტო დანაშაულთა ავტოტექნიკური ექსპერიმენტალური კვლევის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. მეთოდის საკითხები მოიცავს როგორც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის ასევე მათი ჩადენის ხერხებისა და საშუალებების განსაზღვრასა და ანალიზს. სატრანსპორტო დანაშაულთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა კი არეგულირებს იმ პირთა სამართლებრივ მხარეს, რომლებიც არღვევენ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის კანონით დადგენილ წესებს. კვლევის მიზნობრივ ფუნქციას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის ნორმატიული ამოცანების მანქანური მოდერნიზაციის, დიაგნოსტიკური მეთოდოლოგიისა და ალგორითმიზაციის საფუძველზე კვლევათა სისტემის ავტომატიზაციის სრულყოფის საკითხების კვლევა. ამ სახის ამოცანების მიზანია დადგენილ იქნას იმ პიროვნებების ქმედების შესაბამისობა სპეციალური წესების მოთხოვნებთან. ასეთი ამოცანების გადაწყვეტა

მიმართულია სპეციალური ნორმატიული წესებისაგან გადახრასა და მომხდარ ნეგატიურ მოვლენას შორის „მიზეზ - შედეგობრივ“ კავშირის დადგენაზე.

თანამედროვე გამოკვლევები, რომლებიც სატრანსპორტო ობიექტების რეალურ რეჟიმში მართვის მოდელირების საკითხებს ეხება, მიეკუთვნება ექსპერტული კონტროლის სისტემათა ერთობლიობას, რომლებიც მონაცემთა ბაზებს იყენებენ.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციფიკა ისაა, რომ შესაბამისი სისტემები განხილული უნდა იქნას როგორც სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფა და სპეციალურად ორგანიზებული (ექსპერტული) მონაცემთა ერთობლიობა.
- ადგილობრივი რელიეფური ანალიზის ადგილმდებარეობის რელიეფური ანალიზის ქვესისტემა გამოიყენება სატრანსპორტო ქსელებისა და საგანგებო მდგომარეობათა ანალიზისა და ოპტიმალური მართვის ამოცანების გადასაჭრელად.
- სატრანსპორტო საშუალებების მართვის ქვესისტემა ანალიზებს სატრანსპორტო საშუალებებს, განსაზღვრული მახასიათებლების მქონე გზების ქსელს (საშუალო სიჩქარე, სარემონტო და შემოსასვლელი უბნები, „საცობების ადგილები“, საზღვრები, საბაჟო პუნქტები და ა.შ.) და გაუთვალისწინებელი სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში ახდენს მის კორექტირებას).
- სივრცითი საინფორმაციო სისტემა - მონაცემების სივრცეში განლაგებას წარმოადგენს. უმარტივესი ინფორმაციული სისტემა - ესაა დიალოგურ რეჟიმში, დროის რეალურ მაშტაბში, ავტომობილების დისპეტჩერული მართვის მოდელი. (სამედიცინო თუ სატრანსპორტო მომსახურების ქსელები)

ინტელექტუალური ტექნოლოგიების გამოყენება სატრანსპორტო საშუალებების მართვის აუცილებლობას უკავშირდება. ტრანსპორტის სფეროში რეალურ მაშტაბში მომუშავე მართვის სხვადასხვა სისტემამ შემთხვევითი ფაქტორების ზემოქმედების პირობებში თავის თავზე უნდა აიღოს მართვის ფუნქციები არა მარტო იმ ჩვეულებრივ სამუშაო პირობებში, არამედ სატრანსპორტო კომპლექსის მუშაობის გარკვეული მტყუნების დროსაც. უსაფრთხოების მართვის სისტემებისათვის ინტელექტუალურ ტექნოლოგიებს სხვა თვისებებთან ერთად კრიტიკული სიტუაციების პროგნოზირების თვისებებიც უნდა გააჩნდეს.

ინტელექტუალური უსაფრთხოების სისტემები ერთ სივრცეში განიხილავს ადამიანზე ზემოქმედების ფიზიკურ-ქიმიურ, ფსიქოლოგიურ, ბოლოლოგიურ, ნარკოტიკული თუ გენმოდიფიცირებული სურსათის ზემოქმედების ფაქტორებს, რის შედეგადაც ხორციელდება ადამიანის ქცევის წესების პროგნოზირების

განსაზღვრა. სატრანსპორტო დანაშაულთა განსაზღვრა და კრიტიკული სიტუაციების პროგნოზირება წარმოებს პრინციპით: **ტექნიკა – ადამიანი – გარემო სივრცე**, რომელიც ობიექტის კვლევის მიმართ ითვალისწინებს შემდეგ კარდინალურ პრინციპებს:


- შემთხვევის ადგილზე ფიქსირებული კვლები დიდი ინფორმაციის მატარებელია;
- დაფიქსირებული კვლები ექვემდებარება მანქანურ ანალიზს;
- ვერბალური ინფორმაციები - ჩვენებები მომხდარი მოვლენის შესახებ - ექვემდებარება პროგრამულ - იმიტაციურ მოდელირებას, რაც ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

ავტოსატრანსპორტო - ტრასოლოგიურ დანაშაულთა გახსნის მეთოდის საკითხები მოიცავს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის ხასიათის პირველადი მინაცემების, ასევე მათი ჩადენის ხერხებისა და საშუალებების განსაზღვრასა და ანალიზს. კერძოდ: რაში გამოიხატება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, როგორ და რა სახის მართლწინააღმდეგო ბრალეული ქმედება იქნა ჩადენილი, ადგილი ჰქონდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების თუ ექსპლუატაციის წესების დარღვევას, ადგილი ხომ არ ჰქონდა სატრანსპორტო საშუალებების შეგნებულად გაუვარგისებას, მის დაზიანებას ან განადგურებას, რა იყო უშუალოდ მომხდარი მოვლენის მიზეზი ან მიზანი და სხვ. ავტო სატრანსპორტო ექსპერტიზის ნორმატიული ამოცანები ჩვეულებრივ ფორმულირდება შემდეგნაირად: ქონდა თუ არა ადგილი სპეციალური ნორმების მოთხოვნებიდან გადახრებს იმ მოქმედების შესრულების დროს, რომლის მიმდინარეობისას მოხდა შემთხვევა. ამასთან დაკავშირებით ბრალდებულების, ექვიტანილების და დაზარალებულების დაყოფა პირობითად შესაძლებელია სამ ჯგუფად: **პირველი ჯგუფი** - შემთხვევის უშუალო მონაწილეები, რომელთა მოვალეობაში შედის თავიანთი საქმიანობის შესაბამისობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ სამუშაოების ტექნოლოგიების მარეგლამენტებელი წესების დაცვა, რომლებიც ეხება მათ პროფესიას და შემუშავებულია შესაბამისი ტიპიური ინსტრუქციების საფუძველზე. **მეორე ჯგუფი** - პირები, რომელთა მოვალეობაა განსაზღვრულ უბანზე შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა. **მესამე ჯგუფი** - პირები, რომლებიც ქმნიან საავარიო სიტუაციებს ტექნიკისა და პირადი ქმედებით.

ამ სახეობის ამოცანების გადაწყვეტა ემყარება დადგენილი ექსპლუატაციის წესებისაგან გადახრასა და მომხდარ ავტო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების

სახეობის დადგენას. დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების დროს შეიძლება წამოყენებულ იქნას ანალოგიური სახის საგამომიებო ვერსიების მთელი ციკლი.

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების კვლევა და დანაშაულის კრიმინალისტიკური კლასიფიკაცია ექვემდებარება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების კომპიუტერული მოდელირების ერთიან ციკლს.



ავტოსატრანსპორტო შემთხვევის სიმულაციური მოდელირება

დასკვნის სახით: თემის აქტუალობა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ავტოსატრანსპორტო - ტრასოლოგიურ ექსპერტიზაში თავმოყეილია როგორც ტექნიკური უსაფრთხოების პრობლემები, ასევე ემოციური, ფსიქოლოგიური და ქცევის თავისებურებებიც. ქცევის პროგნოზირების საწყის ინფორმაციას შეადგენს ინფორმაცია გარემოებებზე, რომელთა დადგენა დაკავშირებულია ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევასთან, იმ პირის მოქმედებასთან, ვისაც ევალუბოდა ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა და ექსპლუატაციის წესების დაცვა. საკითხთა ის წრე, რომელთა დადგენა უშუალოდ დაკავშირებულია სატრანსპორტო შემთხვევების ინსცენირებულ გარემოებებთან - საფინანსო დანაშაულის კვალის დასაფარავად. კომპიუტერული მოდელირების გამოყენებით კი ვახდენთ როგორც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა სიმულაციას მოძრაობაში, ასევე ვაანალიზებთ ვერბალურ და არავერბალურ ინფორმაციის მანქანურ ანალიზს, რომელიც დასკვნის სახით ფორმირდება აექსპერტულ დოკუმენტაციაში.

ლიტერატურა

1. The Nano-sensing systems as a system of simulation modeling means of informational technologies. International Conference Nanosensory systems and Nanomaterials GTU 2011
2. რ. გაფრინდაშვილი და სხვ. გამოყენებითი ფსიქოლოგია 1- 90 გვ 201

ავტოსატრანსპორტო - ტრასოლოგიური ექსპერტიზა, როგორც
კრიმინალისტიკური ინფორმაციების ექსპერტული კვლევის ობიექტი

*არჩილ ჯანელიძე ტ.მ.კ აკად. დოქტორი
გოდერძი ჯანელიძე ტ.მ.კ ასოც. პროფ
ბესიკ ოსიასვილი, ხატია მაწიაშვილი, მარი წიკლაური
სტუ მაგისტრანტები:*

რეზიუმე

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების კვლევა და დანაშაულის კრიმინალისტიკური კლასიფიკაცია ექვემდებარება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების კომპიუტერული მოდელირების ერთიან ციკლს. თემის აქტუალობა კი განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ავტოსატრანსპორტო - ტრასოლოგიურ ექსპერტიზაში თავმოყრილია როგორც ტექნიკური უსაფრთხოების პრობლემები, ასევე პერსონალის ემოციური, ფსიქოლოგიური და ქცევის თავისებურებების კვლევის საკითხებიც.

**Auto-technical – trasology examination, as object of
mathematical modeling**

*A.Janelidze, G.Janelidze ,
Besik Osiashvili, Xatia Matsiashvili, Mari Tsiklauri*

Abstract

Modern researches concerning to modeling questions in a real mode transporting objects divid to three groupe: Expert systems, Systems cogitative managements, Expert control systems Experimental analysis of the (transport –Trace Evidence Examination) is defined by a combination of factors: response faqtors, fatigue, mood and emotion factor, which has been developed on the basis of the findings and recommendations.

არქიტექტურა – Архитектура - Architectura

„კედელი“

*ნინო იმნაძე, სრული პროფესორი
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკის
და დიზაინის ფაკულტეტი
მიხეილ ჯინჭარაძე, არქიტექტორი*

საკვანძო სიტყვები: დეკონსტრუქცია, პოსტმოდერნიზმი, არქიტექტურა, ქანდაკება, ფორმა.

„კედელი“ თითქოს არ მიეკუთვნება მრავლის მომცველ სიტყვებს. და პირველი რის ასოციაციასაც ის არქიტექტორში იწვევს, ეს არის შემომსაზღვრელი კონსტრუქცია, რომელიც გარკვეულ სივრცეს იცავს, კლიმატური, თუ სხვა მავნე ზემოქმედებისაგან. ვიყენებთ აბსტრაქტული მნიშვნელობითაც: „ორ ადამიანს შორის უხილავი კედელი აღიმართა“. არქიტექტურული თვალსაზრისით კედელი შეიძლება იყოს არა ობიექტი, არამედ წაშლილი ადგილიც, ახლახან შექმნილი სიცარიელე. კულჰაასის „ბერლინის კედლის“ მნიშვნელობა იმაშია, რომ არქიტექტურაში შემოიტანოს შინაარსის გადმოცემის ახალი მეთოდი, რომელსაც ფორმასთან კავშირი არა აქვს. რითაც ის უარს ამბობს არქიტექტურის ჩვეულ სახეზე და პროექტი იქცევა „არაარქიტექტურის“ პირველ მაგალითად. 165 კმ. სიგრძის ნაგებობა აღწერილი, გაანალიზებული, კოლაჟების და სკეჩების სახით წაკითხული იქნა მის მიერ როგორც „ტექსტი“.

საფორთიფიკაციო კედელზე, ფუნქციური დატვირთვის მიუხედავად ხვდებით შემოქმედებითობას. ეს არ არის მხოლოდ სადა, მტკიცე ზღუდე, რომელიც ქალაქს, თუ ქვეყანას იცავს გარე მტრისაგან, სათვალთვალ კომპლექსისა და სათოფურების რიტმულობა, მხატვრულობა და არაერთგვაროვნება გასაოცარ ემოციებს ბადებს.

და უბრალოდ კედელი

ფერთა გამა დარღვეული ფერწერა.

წინამდებარე სტატიის მიზანია „კედლის“ ევოლუციური განვითარების რეტროსპექტული ანალიზი. არქიტექტურის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე „კედელი“, როგორც არქიტექტურული ფორმა მუდმივად იცვლიდა თავის სახეს. ჯერ იყო მხოლოდ „კედელი“ ფუნქციური დატვირთვით, შემდეგ

ორნამენტმა იგი მხატვრულ ნაწარმოებად გადააქცია, ორნამენტი გახდა „კედლის“ მთავარი ატრიბუტი და კედელი თავად გააორნამენტდა და ბოლოს გარდაქმნა „კედელი“ ქანდაკებად. ესთეტიკა, სილამაზე, მრავალფეროვნება, მიიღწეოდა ორნამენტით, დეკორით, ქანდაკებით...„კედელ“ განვითარდა, როგორც კონსტრუქციული ელემენტი, სხვადასხვა პერიოდში კედლის სიმძიმე შემსუბუქდა, თაღოვანი თუ შეისრული ჭრებით, და ა.შ. ეპოქებმა შვა კედელი, როგორც არქიტექტურული სტილების განმსაზღვრელი საშუალება.დეკონსტრუქტივიზმმა კი ის ქანდაკებად აქცია.

არა აქვს მნიშვნელობა, როგორაა დამუშავებული, ბრტყელ კედელზეც შეგიძლიათ შეამჩნიოთ გარკვეული, ზოგჯერ უმნიშვნელო განსხვავებაც კი, ჩრდილს შეუძლია დაარღვიოს ერთფეროვნება კედლის ზედაპირზე.გლუვი ქვის კედლები გვხვდება როგორც ბერძნულ და რომაულ, ასევე რენესანსის არქიტექტურაში. თუმცა ჯერ კიდევ ადრეულ ბერძნულ არქიტექტურაში ცდილობენ კედლის გამრავალფეროვნებას სხვადასხვა ხერხებით: ორნამენტი, დეკრი, ნიშა, თაღი, შუქ-ჩრდილი.რენესანსის პერიოდში ზოგჯერ რუსტირებულია მთელი კედელი,ზოგჯერ მხოლოდ ქვედა სართულები, რათა შეინარჩუნონ სიმტკიცე. ფასადის ასეთი რუსტირება გვხვდება ფლორენციაში, ამიტომ ამ სტილს ფლორენციული სტილი ეწოდება.კედლის სრულყოფისათვის ადრეული რენესანსის პერიოდში ხდებოდა I სართულის კედლის უფრო მასიური და რელიეფურიუსტირება, რაც ამცირებდა მშენებლობის ხარჯებს, რადგან რთულია მიიღო ერთი და იმავე სისქის ქვები.რენესანსის პერიოდში ფართოდ გამოიყენება კედლის რუსტირება, თუმცა მაღალირენესანსის დროს უკვე ნელ-ნელა ქრება კედლის ასეთი დამუშავება.

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და ძვირადღირებული გახდა კედლის მარმარილოს ფილებით მოფირკეთება. მოსაპირკეთებელი ფილები კეთდება მცირე სისქის, მაგრამ თუ შესაძლებელი იყო დიდ ზედაპირზე, ამასთან სხვადასხვა ფერს. არჩევდნენ: მწვანეს, წითელს,ყვითელს, ცისფერის, ნათელ მწვანეს (მალაქიტი) - იქმნებოდა მრავალფეროვანი და საინტერესო ნიმუშები.კედლის ფერადი ფილებით მოპირკეთება განვითარდა არა იმდენად ძველი რომისგავლენით, არამედ ისლამური ხელოვნების ზემოქმედებით. აღზევების პერიოდში დატოვა კედლის გასაოცარი ნიმუშები: ყვავილებით დაფარული ფერადი მარმარილოს ხალიჩები, ფერადი მაიოლიკები და მხატვრულიქარგა, რომელიც დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ფასადის დამუშავებასთან ერთად მრავალფეროვნდებოდა შიდა კედელი, ბრუნდებოდა ფრესკული მხატვრობა, გათხრების შედეგად აღმოჩენილი პომპეის კედლები რენესანსის მხატვრ-არქიტექტორთა შთაგონების წყაროა. იქმნება პერსპექტიული ფერწერა. ყველაზე ნათელი მაგალითია 1519 წელს რაფაელის მიერ

შესრულებული ვატიკანის ლოჯია რომში. ფრესკული მხატვრობა არ გამოიყენება გარე მოპირკეთებისთვის, რადგან საღებავზე ცუდად მოქმედებს წვიმა, ქარი და მზე. გარე კედლის შესამკობად შემუშავდა ახალი მეთოდი „sgraffito“, რომელიც იტალიურიდან მომდინარეობს და ნაკაწრს ნიშნავს. ამ მეთოდის გამოყენებით ვიღებთ ორ სხვადასხვა ტონს კედელზე. მაღალმხატვრულ, მონუმენტურ, მსოფლიო მნიშვნელობისა და მრავალსაუკუნოვანი არსებობისათვის განკუთვნილ შენობებში, ფრესკისა და sgraffito-ს ნაცვლად გამოიყენება სპეციალური სახის მონუმენტური მხატვრობა - მოზაიკა.

თუკი ძველი ბერძნები მოზაიკას იყენებდნენ იატაკის მოპირკეთებისათვის, რომაელებმა ის წარმატებით გამოიყენეს კედელზე. ქრისტიანული სამყარო მოზაიკის ენით ქადაგებდა. მოზაიკას ახალ სიცოცხლეს სძენს „ოქროს“ ნატეხები. გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ოქროსფერზე არეკლილი სხვადასხვა ფერი. თუმცა XIX – XX საუკუნეში მოზაიკა თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას და მონუმენტური ხელოვნების ხასიათს.

კედლის დამუშავებისას მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ქანდაკება, მკაცრად გაწერილი პროპორციებით. მთელი ტანით გამოსახული ადამიანის ფიგურები მასშტაბურს ხდიდა კედელს, ხოლო მარტო გამოსახული თავი ორნამენტად აღიქმებოდა. რენესანსის ეპოქისათვის მნიშვნელოვანი მოტივია ნიშა, რომელმაც უფრო გვიან პერიოდში - კლასიციზმისა და ამპირის ეპოქაში ჰპოვა განვითარება. ნიშაში ხვდებით ქანდაკებებს, ლარნაკებს, ან ისინი ცარიელია. მშენებლობისას ვერ მოხერხდა მათი შევსება, შემდეგ კი გემოვნება შეიცვალა და ნიშა დავიწყებას მიეცა. რომანული კედლის მშენებლებს წარმოადგენდა სპეციალური ნიშაში მოთავსებული მარმარილოს, ბრინჯაოს, ან რკინის დაფები, რომლებიც არამხოლოდ დეკორაციას წარმოადგენდა, ხშირად მასზე გადმოცემული იყო მშენებლობის მიზეზები, სამშენებლო წლები და მშენებლის სახელი.

არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში დგება „სწორხაზოვნების“ უარყოფის პერიოდიც. ელასტიური მრუდები ხვიარებივით ედება ფასადს და უწყვეტად გადაინაცვლებს ინტერიერში. არასოდეს ყოფილა ხაზი ასეთი მრავლის-მთქმელი, ჩრდილი ერთდროულად ასეთი დინამიურიც და ემოციურიც. ხედავ ფასადს და წარმოიდგენ ინტერიერს, ექსტერიერის გამოძახილს, თუმცა ხვდები სრულიად სხვა სამყაროში, აბიჯებ მხატვრულ მრავალფეროვნებაში, კედლის ხვეული მხატვრობა, სკულპტურული ჩანართები, არასწორხაზოვნება გწყვეტს გარესამყაროს. ინტერიერის დატოვების შემდეგ კი აღმოაჩენ, რომ ექსტერიერია გარსამყაროს ერთფეროვნებისაგან გაუფერულებული ინტერიერის გამოძახილი.

საუკუნეების მანძილზე ევოლუციას განიცდიდა „ქართული კედელი“. ერთი და იგივე ფასადები, ერთი და იგივე ხუროთმოძღვრული დეტალები, რომლებიც არსებით როლს თამაშობენ ფასადთა სახის შექმნაში, ხშირად ათეული წლების

მანძილზე გვხვდება ხანდახან ძველი ნიმუშები დიდი ინტერვალის შემდეგ ამოტივტივდება განვითარების სხვა, ახალ ეტაპზე. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდგომი საქართველო, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურების გავლენებს განიცდიდა, ამიტომ მეტ-ნაკლებად ყველა ეპოქაზე მოგითხრობთ „ქართული კედელი“, ნამდვილი სული და ორნამენტი მხოლოდ ტაძრების ფასადზე, ან ხის „მოცვეთილ“ აივნებში იკითხება. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანულად შეითვისა გოთიკა, ეკლექტიზმი და სხვა არქიტექტურული სტილები, მუდმივად ეროვნულობის ძიებაში.

ეკლექტიზმი (ბერძნულიდან *ekiektikos* - ოსტატურად შერჩეული, რჩეული ხელოვნება) აკავშირებს განსხვავებულ ხელოვნების კომპონენტებს ერთმანეთთან. ეკლექტიზმში აქტიურად ირეოდა და ერწყმოდა ერთმანეთს ევროპიდან, ბერძნულიდან, ეგვიპტურიდან ან აზიურიდან ნასესხები ელემენტები. ეკლექტიზმი სწრაფად განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კედელი ახალ სიცოცხლეს სძენდა გოთიკას, რენესანსს, ბაროკოს, როკოკოს....

ეკლექტიზმის „ფასადურმა“ არქიტექტურამ, კედელი გახადა რელიეფური და შემოქმედებითი, რუსტირებით, ორდერულიგაფორმებით, მდიდრულად მორთული სარკმლებით. დეკორის სტრუქტურაში ძლიერი პლასტიური აქცენტები შეიტანა ერკერის გამოჩენამ.

ქანდაკება, ორნამენტი, ორდერი, ვარდული ფანჯარა, კოშკი ორგანულად ერწყმის და ერთ მთლიანობად აღიქმება. თითქოს ეკუთვნის ყველა პერიოდს და ამავე დროს არც ერთს. სტილების ამ სინთეზმა შეძლო ეკლექტიზმის სახელით დამკვიდრებულიყო არქიტექტურის ისტორიაში. გასაოცარია, მაგრამ სწორედ ასეთმა თავისუფალმა არჩევანმა დამოქმედებამ მისცა ბიძგი არტ - ნუვოს (მოდერნის) განვითარებას.

„შეერწყას საგრძნობლად განსხვავებული არმატები. ერთსა და იმავე ქუჩაზე წამოიმართოს პირქუში გოთიკური, დიდებულად მორთული აღმოსავლეთი, უზარმაზარი ეგვიპტური და სიზუსტით გამსჭვალული ბერძნული ... იშვიათად გვხვდებოდეს ერთფეროვანი კედელი. ნ.ვ. გოგოლი - არსებული პერიოდის არქიტექტურის შესახებ - 1831 წ.

პოსტმოდერნიზმის თავისებურებას წარმოადგენს მისი ეკლექტურობა. რომანტიულ, რეალისტურ და თანამედროვე (მოდერნისტულ) მხატვრულ მეთოდების საფუძველზე იგი აყალიბებს თავის სტილს. პოსტმოდერნიზმის რეალობაა „სამყარო როგორც ტექსტი“ და „ტექსტი როგორც სამყარო“. პოსტმოდერნიზმის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ციტატა: „ ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა ყველა სიტყვა უკვე ნათქვამია“ - ავერინ-ცევი. პოსტმოდერნიზმი აქცენტს აკეთებს „გამიფვრაზე“ და ორაზროვნებაზე. იმის ნაცვლად ისწრაფიდეს

სტილისტური ორგანულობისაკენ, ის მხარს უჭერს წარსული სტილების ელემენტების გამოყენებას.

ფუნქციური დატვირთვისა და ძირითადი ფორმების მაქსიმალური გამარტივების გარდა პოსტმოდერნისტი არქიტექტორები შეეცადნენ არქიტექტურაში შემოეტანათ მათი ფანტაზია, თეატრალური თამაშები, ასოციაციების რთული მაგალითები. კიდევ ერთ თვისება, რაც განასხვავებს პოსტმოდერნისტულ არქიტექტურას არის კონტექსტურობა. ფასადი იყოფა კლასიკური ორდერის კანონებით. თუმცა არსად ჩანს ორდერი, კედელი სრულიად ბრტყელი და ერთფეროვანია, მოსაწყენია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების წესრიგი გლუვ ზედაპირზე.

პოსტმოდერნისტი არქიტექტორთაგანს უწოდეს „პოეტი, რომელიც გახდა არქიტექტორი“. ფუნქცია, კონტექსტი, ფორმების მასიურმა გამარტივებამ რაც ამ მიმდინარეობის ძირითად პრიციპებს წარმოადგენდს მოგვცა ეკლექტიზმთან შედარებით უსახო კედელი. რთულა ამ არქიტექტურულ ნაწარმოებში პოეზია წაიკითხო.

ცხოვრების, ესთეტიკისა და გნოსეოლოგიის ფილოსოფია დეკონსტრუქციულ „უღმერთობად“ გადაიქცევა. დეკონსტრუქტივიზმი მიწასთან ასწორებს არქიტექტურულ ჭეშმარიტებას, არანაირი ცენტრი და ფიქსირებული კოორდინატთა სისტემა. მახვილი კუთხეები ემოციურად ზემოქმედებს გრძნობებზე, ქმნის დინამიურ და დეფორმირებულ შთაბეჭდილებას. იქმნება ახალი სამყარო, რომელიც არღვევს ფიზიკის კანონებს, ადამიანურ აზროვნებას და პრაგმატიზმს. გააზრებულად იქმნება კონფლიქტი კედლის არსსა და მის ინტერპრეტაციას შორის.

შესაძლებელი გახდა კედელი მოწყდეს ტექტონიკის ფუნდამენტალურ პრინციპებს, ვერტიკალებისა და ჰორიზონტალების წონასწორობას უფუნქციო საყრდენების კუთხეებში „დაბრეცილი“ ფანჯრები ბუნდოვან ვარაუდებს ასხივებენ ჯოჯოხეთზე. ეს არის მეტალსა და მინას შორის განცხადებული აპოკალიფსი.

განვითარების პერიოდში ამ სამმა მიმდინარეობამ წარმოშვა აბსოლიტურად განსხვავებული კედელი. ეკლექტიზმმა იგი არქიტექტურული სტილების ერთგვარ პოლიგონად აქცია სადაც „საგრძნობლად შეერწყა განსხვავებული არომატები“. ცხოვრების, ესთეტიკისა და გნოსეოლოგიის ფილოსოფიამ კედელი ერთფეროვან ჰორიზონტალებად და ვერტიკალებად დაანაწევრა. წესრიგის შედეგია ამ ფილოსოფიის 25 წლიანი არსებობაც.

ორნამენტი და მასთან ჭიდილი წარმოშობს აბსოლიტურად „დინამიურ ქანდაკებას“ დეკონსტრუქციულ კედელ, რომელიც გააზრებულ კონფლიქტს ქმნის კედლის არსსა და მის ინტერპრეტაციას შორის.

„კედელი“

*ნინო იმნაძე, სრული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მიხეილ ჯინჭარაძე, არქიტექტორი*

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია არქიტექტურული სტილების გავლენით, კედლის სახეცვლილებაზე, არა როგორც უბრალოდ შემომზღუდავ კონსტრუქციაზე, არამედ როგორც მეტყველ ორგანიზმზე.

განალიზებულია, საუკუნეების მანძილზე ამ არქიტექტურული ფორმის ტრანსფორმაცია დროში და სივრცეში. როგორ გახდა ორნამენტი კედლის ატრიბუტი და როგორ გაორნამენტდა თავად, როგორ გარდაიქმნა ფასადი ქანდაკებად.

კონკრეტულად განხილულია სამი არქიტექტურული სტილის ეკლექტიზმის, პოსტმოდერნიზმისა და დეკონსტრუქტივიზმის შედარებითი ანალიზი. როგორ იკითხება დეტალებში სტილი, ემოცია, ეროვნულობა, იდეოლოგია, სწრაფვა სიმძიმიდან და მრავალფეროვნებიდან სიმსუბუქისა და სიმარტივისაკენ.

„The Wall“

*Nino Imnadze, Georgian Technical University
Mikhael Djinchradze, architect*

Abstract

The report deals with the influence of architectural styles, modification of the wall, not just on filler structure but on expressive body.

In the past centuries is briefly discussed about architectural form transformation. How to become the ornament wall attribute and how to become the ornament itself, how transformed the facade as a statue.

Specifically is discussed three architectural styles Eclecticism, Postmodernism and comparative analysis of deconstructivism. How to read the style in details, emotion, nationality, ideology, aspiration from heaviness and diversity to easiness and simplicity.

Key words: deconstruction, post-modernizm, architecture, sculpture, form

“Сте́на”

*Нино Имнадзе, профессор,
Грузинский технический университет
Михаил Джиджарадзе, архитектор*

Резюме

В данной статье рассмотрено развитие архитектуры стены. Под влиянием архитектурных стилей, видоизменения стены рассматриваются не как несущая конструкция а как выразительный художественный организм. В течение веков эта архитектурная форма трансформируется во времени и пространстве. Для нас интересна некоторые вопросы: Как стал орнамент главным элементом стены и как стена сама стала орнаментом и как фасад стал скульптурой. Конкретно рассмотрен и сделан сравнительный анализ трех архитектурных стилей: эклектизм, постмодернизм и деконструктивизм. Анализ выявил особенности стены в каждой детали читается стил, эмоция, национальность, идеология и переход из тяжести и сложностей на более упрощенную художественную форму.

Ключевые слова: деконструкция, пост-модернизм, архитектура, скульптура, форма.

თანამედროვე არქიტექტურის ისტორიულ გარემოში (თბილისის
მაგალითზე)

*ნინო იმნაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თეა ჩუბინიძე, არქიტექტორი*

საკვანძო სიტყვები: ქალაქგეგმარება, დიალოგი, რელიეფი, სტრუქტურა, მასშტაბი.

რამდენიმე ხნის წინ სულ, რაღაც 25 წლის ახალგაზრდის სიტყვები ამოვიკითხეთ: "ქუთაისი გრძნობაა". წინამდებარე სტატიის თემა, რომელიც თანამედროვე არქიტექტურის ისტორიულ გარემოსთან ურთიერთობას ეხება,

თბილისის მაგალითზე, ამ სიტყვებით დაწყება პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. არქიტექტორები თენგიზ გოგოლაშვილი, ან ნინო იმნაძე, როდესაც ძველ თბილისზე საუბრობენ, მათ თვალეში ამოიკითხავთ, რომ "თბილისი გრძობაა". „იარეთ, გადაიღეთ, დაინახეთ, შეაფასეთ... აქედან ყალიბდება არქიტექტორის ხედვა, გემოვნება და კრიტიკული აზროვნება.“ განსახილველი საკითხი არ ახალია. თუმცა დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

კონკრეტულად არქიტექტურაზე....

ვიარეთ, გადავიღეთ, დავინახეთ....

ქალაქგეგმარებითი მიმართულება გეხმარებათ ნათლად ხედავდეთ ისეთ სიღრმეებს, რომელთა არსებობას ვერც კი წარმოიდგენდით. შენობა შეიძლება არსებობდეს თავისთავად და არაჩვეულებრივიყოს, მაგრამ „დიალოგი“- სიღრმე, რასაც ქალაქგეგმარებითი მიმართულება გაჩვენებს: თანაარსებობა ასივრცესა და დროში.

მარტოობის მშენება...

ინტერნაციონალური არქიტექტურა, რომელმაც ფეხი მოიკიდა დღევანდელ მსოფლიოში, გლობალიზაციის გავლენით თბილისშიც შემოდის და არაორგანულად ეწერება ურბანულ ქსელში, რომელიც მკვეთრი საკუთარი სახისა და უნიკალური სივრცითი სტრუქტურის მქონეა. წარმატებული ქალაქგეგმარება ყურადღებას ამახვილებს „შინაურ“ ხასიათზედა „ადგილის შეგრძნებაზე“, ბუნებრივი, ხელოვნების და ისტორიული მემკვიდრეობის პატივისცემაზე.

ყოველთვის, როდესაც ახალ ქალაქში ხვდებით, პირველ რიგში მიიჩქარით მსოფლიოში ცნობილი ღირსშესანიშნაობების სანახავად. ამის შემდეგ კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით: საქმე გაკეთებულია, ახლა უკვე შეგიძლიათ მეგობრებს დამაჯერებლად მოუყვეთ მოგზაურობის შესახებ. თქვენთვისაც საკუთარი ქალაქი ხშირად UNESCO-ს გზამკვლევით შემოიფარგლება. ბევრი თქვენგანი ტურისტია საკუთარ ქალაქში. ამჩნევთ, როგორ იხურება საყვარელი რესტორანი, ან რაღაც ოფისის შენობა გადაინაცვლებს გარეუბანში, მაგრამ რამდენად აკვირდებით, მოგწონთ, თუ არა არსებული არქიტექტურა? სწორედ შენობა, ხიდები, გზები აყალიბებენ ურბანულ სივრცეს, გაწვდით მოძრაობის მიმართულებას და მოქმედებენ თქვენს განწყობაზე. დღეს აშენებენ ყველგან და ყველგან: მცირედ გარეუბნებში და ცენტრის პატარა ხეივანებშიც. რეალურად დრო განსაზღვრავს გახდება თუ არა შენობა ღირსშესანიშნაობა.

2000-იანი წლებიდან ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი, თუ საოფისე შენობების მასიური მშენებლობები დაიწყო. მინა-ბეტონის ჯუნგლები ერთმანეთს ფარავდნენ, ირღვეოდა ურბანული ქსელი, მხოლოდ ტრანსპორტით

მოდრაობისას შეინიშნებოდა „ჩიხური“ საცობები, თითქოს ერთიანი სივრცე არ ირღვეოდა. მაგრამ მრავალსართულიანობა და ინტერნაციონალიზმი მიუღებელი გახდა ძველი თბილისისათვის, როცა დაიკარგა ქალაქის ერთიანი სილუეტი მთაწმინდაზე, დაირღვა მასშტაბი და „აივნების ქალაქმა“ სახე იცვალა.

ურთიერთობა „დიალოგია“, ან „პროცესი“- „მოდრაობა“. ხშირად თუ ჩაივლით ძველი თბილისის აივნებთან, მოგეჩვენებათ, რომ ისინი არ არიან უბრალო უსულოს ხეულები. თავად ჰგვანან აივანზე გადმომდგარ „ჭორიკანა ქალბატონებს“, თითქოს განაპირა სახლმა, რაღაც სიახლის შესახებ შეიტყო და ეს სიახლე თქვენთან ერთად მოძრაობს, გადადის სახლიდან სახლში, აივნების საშუალებით.

„ჭორიკანა აივნები“



აივნების ღიაობა, როგორც თბილისელი იტყვის: „ადამიანის ხასიათის ღიაობაა“, ანუ ძველ თბილისში „ხასიათს“ ქმნიდნენ. ურთიერთობა დიალოგია სახლებს შორის, ხმაური, ჩურჩული, სიცილი, თითქოს გელაპარაკებინ, გიყვებინ, ყოველ გავლაზე ახლად თხზავენ თბილისის ისტორიას. ეს თითქოს რაღაც წარმოდგენაა, მოძრაობა, რომელიც ახალ თბილისში უნდა გაგრძელდეს და საშუალება ამ „გაგრძელებისა“ უნდა გამხდარიყო მშვიდობის ხიდი, რომელიც თავადაა დაბრკოლება ახლისა და ძველის ურთიერთობაში. ხშირად გსმენიათ მოსაზრება, „შენობა თავისთავად არაა ცუდი“- ეს სულაც არ არის იმის მტკიცება, რომ ის კარგია. შენობისთავის თავადობა კავშირს მოკლებულია და ამიტომაცაა, რომ იუსტიციის სახლი, მშვიდობის ხიდი და საკონცერტო დარბაზიც კი ვერ ურთიერთობენ. ვერ წარმოიდგენთ ვერც ერთ გარემოს, სადაც სიახლე ორგანულად გადავა ერთიდან მეორეში.

ქალაქი ორგანიზმია, პატარ-პატარა მიკრო ორგანიზმებისაგან შემდგარი, სადაც რიტმი, პროპორცია, მასშტაბი, ფერი, მასალა ორგანულია და მთლიანი, ჩვენ აღარ გვახსოვს თბილისი ამ ახალი შენობების გარეშე, თუმცა მანამდე იგი იყო

უზარმაზარი ცარიელი სივრცე, რომელიც „არქიტექტურულ ზეიმის“ მოლოდინში იყო. ვფიქრობ ამ სამი უზარმაზარი მოცულობით ირღვევა მთლიანობა და ნაცვლად იმისა შეივსოს სივრცე, ის როგორღაც „ცარიელდება“, ჩვენთვის.

არშემდგარი დიალოგი



რადგან არქიტექტურაზე საუბრობენ, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, როგორია, კარგი, თუ ცუდი, ე.ი. პოპულარულია. ხშირად შეამჩნევთ ტურისტებს, ძველთბილისში, რომ გადაადგილდებიან, ტკბებიან „ჭორიკანა“ აივნებით და იქვე დიდი ინტერესით აღბეჭდავენ ფოტოფირზე ხიდს, რომელიც ერთად-ერთი ადგილი დარჩა, საიდანაც აღიქმება ძველი თბილისის სილამაზე.

რელიეფი - ურბანული ქსელის ერთ-ერთი მაფორმირებელი „სტრუქტურა“ ნელ-ნელა კარგავს თავის მნიშვნელობას, იგლიჯება უკონტექსტო შენობებით და ერთიანი სილუეტის ნაცვლად აღიქვამთ უსახურ ფრაგმენტებს. დღესდღეობით იშვიათად გეგმარდება ქალაქები, მეტწილად „გადაგეგმარდება“, რეკონსტრუქცია უტარდებათ შენობებს ან კონკრეტულ უბნებს. ახლად წარმოიშობა „ეკლექტიზმი“, ხანდახან „კიჩი“ (ზოგჯერ გასაოცრად ორგანული), ან „გამოცარიელებული“ სივრცე ინთქება ინტერნაციონალიზმში. ახალი არქიტექტურა ყოველთვის არ გეგმარდება ნულიდან, ხშირად ახლის ფუნდამენტი ძველი შენობაა, რომელიც შესაძლოა შენარჩუნდეს, მოხდეს მისი რეკონსტრუქცია, ან რეაბილიტაცია, შენარჩუნდეს თუნდაც ფასადის ნაწილი, როგორც ისტორიზმის მემკვიდრეობა.

შენობის ახალი მასშტაბი ირჩევა მისი ახალი ფუნქციის მიხედვით, რესტრუქტურისაციის მთავარი მიზეზი ხშირად გაფართოებაა, ამიტომ ძველ ნაგებობებს შეიძლება დაემატოს რამდენიმე სართული, მანსარდი, ან მინის გუმბათი. რამდენიმე წელია რეკონსტრუქცია ჩაუტარდა (ნაციონალურ-

ტრადიციული მეთოდით - მთავარ ქუჩაზე გამავალი ფასადები შეიფუთა სხვადასხვა სტილით) აღმაშენებლის გამზირს, ფეხით მოსიარულეა რა არქიტექტორიც (რომელსაც წარმოდგენა არა აქვს არქიტექტურულ სტილზე) შენიშნავს მრავალფეროვნებას და რადგან ყველაფერი მეტნაკლებად მასშტაბურია, თვალს აღარ აღიზიანებს. რესტრუქტურიზაციას აქაც მოჰყვა დამატებითი სართულები, მასშტაბის თვალსაზრისით ისინი ეწერებიან გარემოში, თუმცა ზოგჯერ ფერთა შეხამება არღვევს „დიალოგს“. მასიური ფრანგული მანსარდი ერთგვაროვანს ხდის შენობებს, იკარგება ძველი ფასადი, სივრცულ - მოცულო-ბითი წყობა, როგორც ისტორიული მემკვიდრეობა და იქმნება „თეატრალური წარმოდგენა“ არქიტექტურული სტილებისა, რომელიც არ არის ოცდამეერთე საუკუნე, აქ არ იქმნებ ახალი, ეპოქა არ ტოვებს თავის ხელწერას, ასეთი არქიტექტურა განწირულია ახალი რესტრუქტურიზაციისათვის. თბილისის არქიტექტურაში შედარებით ახალი სიტყვაა ჟანგისფერი და თეთრი ფასადები, სიხისტე და დინამიზმი, ფერთა კონტრასტი, მხოლოდ მასშტაბის საშუალებით ურთიერთობენ.

მსოფლიო მასშტაბით ხდება ისტორიულ სივრცეში ახლის შეტანა, მხოლოდ თბილისისაგან განსხვავებით, ყოველ ახალ წამოწყებას უწესდება გარკვეული შეზღუდვები, რომელთაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მასშტაბი წარმოადგენს. კრისტალური სამკუთხედებით არა მხოლოდ ფასადს, შენობას არღვევ სლიბესკინდის კონტრასტი. ცხადია, აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა არქიტექტორ, თუ არა არქიტექტორ ტურისტში, მაგრამ მასშტაბით „ჩაეწერა“ ეს „გახლეჩა“ ისტორიზმში და ამჯერად რესტრუქტურიზაციამ თავისი ხელწერა დატოვა. კრიტიკის ქარ-ცეცხლს მხოლოდ იმიტომ არ გაუძლო ჰანს ჰოლაინის ჰაას ჰაუსმა, რომ მის მიწებში საოცრად აირეკლება მოპირდაპირედ მდგომი ქალაქის მთავარი ტაძარი. ის არ წარმოადგენს სივრცის დომინანტს და მასშტაბურად ეწერება გარემომცველ სივრცეში.

ამრიგად, ახლისა და ძველის ურთიერთობა ყოველთვის ბადებს კითხვას: აღარ ვაშენოთ? ცხადია უნდა ვაშენოთ, მაგრამ საჭიროა შენარჩუნება, რადგან ეს არის ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ეს არის თბილისის განუმეორებელი სახე, რომელიც განარჩევს მას ყველა დანარჩენი ქალაქებისგან, ეს არის უნიკალური ურბანული ქსოვილი, ურბანული სტრუქტურა, რომელიც განლაგებულია რთულ რელიეფზე და რომელიც მოიცავს სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ ფენებს. ასეთი სიმდიდრე ძალიან ფაქიზი მოსავლეელია. ეს კულტურული მემკვიდრეობა თავის თავად ღირებულია, ეს აჩვენებს ჩვენი ერის სულიერ სიმდიდრეს. თუ არ დავიცავით და არ შევინარჩუნეთ, შეიძლება თბილისელებს მოსწყინდეთ ჭორობა, დასრულდეს ღიაობა და ფერადი ჩუქურთმები მეტალის გისოსებმა (ჩაკეტილობამ) შეცვალოს, ქალაქი კონსტრუქციის ტყვედ გადაიქცეს, ახალი პროპორცია და მასშტაბი გახდეს ორგანული, ეს ხომ

ის ქალაქია სადაც სიახლე მოდური ხდება და ამ სიახლეს (სამწუხაროდ) არათბილისელები ქმნიან.

თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ გარემოში (თბილისის მაგალითზე)

*ნინო იმნაძე, სტუ. პროფესორი
თეა ჩუბინიძე, არქიტექტორი*

ანოტაცია

წინამდებარე სტატიაში, ჩვენს მიერ განხილულია არქიტექტურის ისტორიის და თეორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, როგორცაა ურთიერთობა ახალსა და ძველს შორის - თუ როგორ უნდა მოხდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ გარემოში თანამედროვე ნაგებობის შეტანა ისე, რომ არ დაირღვას მთლიანობა, ჩნდება კითხვა: საჭირო თუ არა ერთიანობის შენარჩუნება?

კვლევის მიზანია არსებული მსოფლიოს და საქართველოს გამოცდილების ანალიზით, კონკრეტული არქიტექტურული ობიექტების განხილვით, გამოვავლინოთ ძველსა და ახალს შორის ურთიერთობის თავისებურებანი, ისეთი როგორცაა: რამდენად შენარჩუნდა ან დაირღვა ძველის იდენტობა ახალი ორგანიზმის შეტანით; შედგა თუ არა დიალოგი ძველსა და ახალს შორის; რამდენად ორგანულად ჩაეწერა ან პირიქით დაუპირისპირდა ახალი შენობა ჩამოყალიბებულ გარემოს. როგორ შეცვალა თვითდამკვიდრებისა და ახალი სიტყვის თქმის სურვილმა გარემო. სწორედ ამ კუთხით არის დანახული ძველი და ახალი თბილისი, როგორც ტრადიციულ და ინტერნაციული არქიტექტურას შორის ურთიერთობა.

Modern architecture in the historical environment (in the example of Tbilisi)

*Nino Imnadze, GTU.prof.
Tea Chubunidze, Architect*

Abstract

In this report, we discussed about one of the most problematic and important issue of the history and the theory of architecture – relationship between the old and the new architectural environment. How formed the integrity modern building in to the historical architectural environment and that does not violate the integrity.

The aim of the research is analysis of the world and Georgian experience, in specific architectural objects discussion to show the relationship peculiarities between the old and the new, such as: How is persisted or broken old identity to implement new organism, carried out or not dialogue between new and old; How the new building record organically or vice versa challenged in environment, how changed exists environment to say new word. New and old Tbilisi is seen in this light, communication between the national and modern architecture.

Key words: urban planing, dialog, landscape, structure, scale.

Современная архитектура в исторической среде

*ნინო იმნაძე, ГТУ.Проф.
თეა ჩუბინიძე, Архитектор*

Резюме

В данной статье, рассмотрена одна из актуальных проблем теории и истории архитектуры отношения между новым и старым – как можна внести в историческую среду новое, современное здания так чтобы не нарушилось единство и гармония между старым и новым. Возникает вопрос нужна ли сохранять единство?

Цель данной статьи анализ зарубежной и отечественной практики. На примере конкретных объектов выявить особенности отношений между новым и старым, такие как диалог между старым и новым, сохранение или разрушения идентичность при внедрении новой архитектуры в историческую среду, На сколько органически вписалас новая архитектура в старом или наоборот не вписалас.

Ключевые слова: градостроительство, диалог, рельеф, структура, масштаб

არქიტექტურა არის სინამდვილის შემეცნების სპეციფიკური ფორმა

მ. მელქაძე

*არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
77 კოსტავას ქ., თბილისი, 0175, საქართველო, avtori@gtu.ge*

პრეამბულა

სტატიის მიზანი დუალისტურია - გაშუქდეს ის პრობლემები, რომლებიც მთელი არქიტექტურული საზოგადოების განსჯის საგანია, თუმცა უფრო მეტად კულუარებში, და აგრეთვე, ოფიციალურ და საზოგადოების არაარქიტექტურული ნაწილის თვალთახედვის ცენტრში მოხვდეს პროფესია, რომელიც მთელ მსოფლიოში არსებულ პროფესიათა ტრიუმვირატის - იურისპრუდენცია, მედიცინა, არქიტექტურა - გამორჩეულ წევრს წარმოადგენს. მოყვანილი მსჯელობიდან ბევრი რამ, ალბათ, გამოიწვევს აზრთა პოლარიზებას, რაც ჩატარებული აქციის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს.

ქართველ არქიტექტორთა დღევანდელი მდგომარეობა, ჩვენი ზოგიერთი პროვინციული აზროვნების მქონე ფუნქციონერის ხელშეწყობით, დასავლეთის ბიზნესმენებს უქმნის ილუზიას, თითქოს საქართველოში არ არის მაღალი რანგის არქიტექტურული კადრები, რაც მათთვის ხდება საფუძველი თავს ნება მისცენ მოურიდებლად შემოვიდნენ ჩვენთან საკუთარი, ხშირ შემთხვევაში, საექვო დონის არქიტექტურული კადრებითა და აზრებით.

უნდა ავღნიშნოთ, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება: არქიტექტურა ეფუძნებოდა და ეფუძნება ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს და ყოველი პოლიტიკური კატაკლიზმი პოულობს ასახვას ხუროთმოძღვრებაში, რის გამოც არქიტექტურა საზოგადოების სარკეს წარმოადგენს.

დღეს კარგ ტონად ითვლება აუგად მოიხსენიონ ყოველივე ის, რაც კეთდებოდა ე.წ. სოციალიზმის დროს, მათ შორის არქიტექტურაც. ერთ კალათში უყრიან თავს დადებითსა და უარყოფითს. აპრიორი, დადებითი ნიშნით მიიღება ყოველივე დასავლური, უარყოფითით კი საკუთარი. ეს იგივე მაქსიმალიზმია, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს არც თუ ისე შორეულ წარსულში. საბჭოთა ხელოვნებისა და არქიტექტურის კრიტიკოსები და საბჭოთა ოფიციალური მინუს ნიშნით დაღავდა ყოველივე დასავლურს, და დადებითი ნიშნით საბჭოურს, მეთოდი იგივეა - მსჯელობა აბსოლუტური კატეგორიებით. ამ დროს კი,

მსჯელობის აბსოლუტური და კატეგორიული ტონი მიუღებელი უნდა იყოს შემოქმედებისა და კერძოდ არქიტექტურის ანალიზისას.

ისტორიული ექსკურსი

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საბჭოეთისა და დასავლეთის პროფესიონალურ წრეებში, არქიტექტურული აზრის განვითარება მიდიოდა პარალელურად და ძირეულ საკითხებში ადგილი ჰქონდა კონცეპტუალურ თანხვედრასაც.

1932 წლის სტალინის ცნობილი დადგენილების შემდეგ (შემოქმედებითი კავშირების შექმნის შესახებ) ადგილი აქვს სიტუაციის დიამეტრალურ ცვლილებას. ეს დადგენილება გახდა რუბიკონი, რომლის გადალახვამ საბჭოური ხელოვნება და, კერძოდ არქიტექტურა ჩააგდო დადგენილებებისა და რეზოლუციების კლანჭებში. ერთდროულად გაქრა ჭეშმარიტი კრიტიკა და აზრი, რომელთა ადგილი დაიჭირა მიმიზირებულმა, შტამპურმა კრიტიკამ, რომლის მსხვერპლი სამუდამოდ დამდადასმული, განადგურებული, უკეთეს შემთხვევაში, შემოქმედების აქტიური ასპარეზიდან განდევნილი ხდებოდა.

ლოგიკურად ისმება კითხვა: შემოქმედება დადგენილებით, მზა რეცეპტებით კეთდება, თუ ის, მაინც, თავისუფალი პიროვნების, თავისუფალი ნებისა და შემოქმედების აქტს წარმოადგენს?

პასუხად შეიძლება მოვიყვანოთ ხრუშჩოვის, 1955 წ. სკკპ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „პროექტირებასა და მშენებლობაში ზედმეტობების ჩამოცილების შესახებ“, რაც არის ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე აზრი როგორ ხდება საფუძველი ზოგჯერ აბსოლუტურად პოლარული ქმედებისა, როგორც გლობალური პოლიტიკის, ასევე კერძო გადაწყვეტილებების სფეროში.

ტექსტი: "საბჭოთა არქიტექტურისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი სისადავე, ფორმათა სიმკაცრე, გადაწყვეტილებათა ეკონომიურობა. შენობათა მიმზიდველობა უნდა იქმნებოდეს არა ძვირადღირებული, დეკორატიული მოკაზმულობის ხარჯზე, არამედ შენობის დანიშნულების ორგანულ კავშირზე არქიტექტურულ ფორმასთან. . . მასალის, კონსტრუქციებისა და დეტალების სწორი გამოყენებისა და შესრულების მაღალი ხარისხის ხარჯზე". ეს დადგენილება სიტყვასიტყვით იმეორებს ლე კორბუზიეს მიერ 1924 წ. სორბონაში წაკითხული ლექციის „ახალი სული არქიტექტურაში“ არსს, სადაც დიდმა შვეიცარიელმა ჩამოაყალიბა თანამედროვე არქიტექტურის ხუთი პოსტულატი და იქვე დაახასიათა მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის არქიტექტურა, ილაპარაკა სტილების აღრევისა და გაუმართლებელი მოკაზმულობის უსაფუძვლობასა და მიუღებლობაზე.

სხვაგან ანალიზებდა რა რკინა-ბეტონის, როგორც მასალის თვისებებს, ასკვნიდა, რომ რკინა-ბეტონი, როგორც მასალა 5 პოსტულატში ჩამოყალიბებულ კონსტრუქციულ სქემაზე დაყრდნობით, მოიცავს არქიტექტურული გადაწყვეტილებების რაციონალურობასა და შედეგად მატერიალური საშუალებების დიდ ეკონომიას.

ლე კორბუზიეს პოსტულატები თავისი დროის ეტაპური მოვლენა იყო და მას არა რეცეპტის, არამედ სააზროვნო სახელმძღვანელოს როლი ჰქონდა. მაშინ, როდესაც ნებისმიერი დადგენილება და, კერძოდ, ხრუმჩოვისა, რეცეპტის, პანაცეის - პრეტენზიის მატარებელია.

სორბონაში ლექცია შედგა 1924 წელს. ხრუმჩოვის დადგენილება გამოვიდა 1955 წელს. ადგილი აქვს აზრის თანხვედრას, მაგრამ თავს იჩენს დროში შეუსაბამობა, ინტერვალი 31 წელი, და შედეგის დიამეტრული სხვაობა.

ერთის მხრივ შემოქმედებითი აზროვნების ლოგიკით მიღწეული სრულყოფილება ლე კორბუზიესა და სხვა დიდ არქიტექტორთა შემოქმედებაში და მეორეს მხრივ დადგენილების მიერ შექმნილი ფურნიტურა - უსულო საგნობრიობა ჩვენთან. მაგ.: ახალი უბნების არაესთეტიურობა. - მიზეზი? - ალბათ ერთი - არ კეთდება შემოქმედება ბრძანებებითა და დადგენილებით.

არქიტექტურის ნებისმიერი სფეროს - ეს იქნება მოცულობითი, თუ ქალაქგეგმარებითი პრობლემატიკა - ამოსავალი იყო, არის და იქნება - ადამიანი. მისი კეთილდღეობა, რაც, ალბათ, ნებისმიერი ჩვენგანის, და განსაკუთრებით - სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს („მე მუდამუამ მოცული ვყევარ ადამიანის პრობლემას. მე ყოველთვის ვთვლიდი ადამიანის ფაქტორს საკითხის გადაწყვეტის გასაღებად“ - ლე კორბუზიე, [1] (ღია წერილი პარიზის პრეფექტს 07.02.1955).

თუ ეს პრობლემატიკა წინა საუკუნეებშიც ესმოდათ ქვეყნის მმართველთ, დღეს მით უფრო უპრიანია, რომ ყველა დროისა და ქვეყნის პირველი პრობლემა - არქიტექტურა და აღმშენებლობა, ადამიანი და მისი კეთილდღეობა - დადგეს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში. არქიტექტურას ისტორიული მაგალითებიდან გამომდინარე, გააჩნია უნარი იმოქმედოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. საჭიროა გავიხსენოთ, რომ წინა საუკუნის 20-იანი წლების ხუროთმოძღვრებს სჯეროდათ არქიტექტურის სოციალ-რეფორმატორული იდეების ქმედითუნარიანობისა. ამ პერიოდის ბევრი წამყვანი არქიტექტორი თვლიდა, რომ ხუროთმოძღვრების პროგრესული გზით განვთარება, შესაძლებელია, გახდეს საზოგადოების განახლების მამოძრავებელი ძალა, და თავისი პროფესიის დანიშნულებად მიაჩნდათ „ცხოვრების მშენებლობა“. მაგრამ საბჭოთა და ზოგიერთი დასავლეთის კრიტიკოსები აფასებდნენ ამ პერიოდის ხუროთმოძღვართა დამოკიდებულებას არქიტექტურის პოტენციალისადმი, როგორც „უტოპიურს“, მიუხე-

დავად იმისა, რომ ამ „უტოპიურ“ აზრზე იდგნენ გროპიუსი, კორბუზიე და ბევრი სხვა.

ავტორის აზრით, არქიტექტორული ლოგიკა დაფუძნებული შენობის არსზე, ტექნოლოგიურ რევოლუციაზე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, ადამიანის ფსიქოლოგიაზე, ადამიანის საარსებო გარემოს სწორ მოწყობა-დაგეგმვაზე და მის ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიულ თანაარსებობაზე, არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია ჩამოაყალიბოს მწყობრი დასახუთება, თუ როგორი უნდა იყოს სრულყოფილი საზოგადოება - სახელმწიფო - სახელმწიფოთა ერთობლიობა, სადაც ადამიანი იარსებებს ჰარმონიაში თავისნაირებთან და გარემოსთან.

ეს ლოგიკა ყველა ქვეყნისათვის ერთნაირი უნდა იყოს და შესაბამისად, არ შეიძლება რეგიონალური თავისებურებების დავიწყება და გვერდის ავლა.

მსოფლიო მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, და კერძოდ, საქართველოში არსებულ კონფლიქტს - საზოგადოებრივ ინტერესებსა და კერძო სექტორს შორის, ეწირება საღი აზრი არქიტექტურაში. სახეზეა ქალაქების კრიზისის გაღრმავება და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, კორუმპირება - საზოგადოების ყველა ფენაში, დაწყებული ქვედა ეშელონიებიდან, დამთავრებული სახელმწიფოს პირამიდის ზედა სტრუქტურებით. მიწით სპეკულაცია ეს არის მიზეზი და შედეგი იმ ქაოსისა, რომელმაც დიდი ხანია დაისადგურა საზოგადოებაში და კერძოდ დღევანდელ საქართველოში.

სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებს ფეხს ვერ უბამს ისეთი სტრუქტურული გიგანტი, როგორიც ქალაქია. პრობლემის ყოველმხრივი დეტალური და სისტემური შესწავლის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ქალაქების კრიზისიდან გამომყვანი ყოველი არქიტექტურული იდეა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ეღობება და ხელს უშლის ქვეყნების სოციალური მოწყობის საფუძვლები. პრობლემის ქვაკუთხედაა მიწაზე კერძო მფლობელობის საკითხი.

შესაძლებელია გაისმას მართებული კითხვა: თუ სსრკ-ში არ იყო მიწაზე კერძო მფლობელობა, რატომღაა ჩვენი ქალაქებიც იგივე სენის მსხვერპლი, რომელმაც დააავადა კაპიტალისტური გიგანტები?

პასუხი შესაძლებელია იყოს ასეთი:

აქ სწორედაც თავს იჩენს დადგენილებების დამღუპველი არსი. 30-იან წლებში საბჭოთა არქიტექტურამ რადიკალურად იცვალა განვითარების მიმართულება. ქალაქგეგმარებითი სიღრმისეულ-ურბანისტული გადაწყვეტა გადავიდა მხოლოდ ფასადური მხარის პრობლემაზე. პრიორიტეტი მიეცა ე.წ ქუჩა - კორიდორის - დერეფნის ცნებას. ქალაქის პრობლემები წყდებოდა არა სივრცობრივად, არამედ სიბრტყობრივად - ფასადებზე აქცენტის გადატანით.

ყურადსაღებია ო. ნიმეირის აზრი ამ პრობლემისადმი „...უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პროფესია იფარგლება ცალკეული შენობის აგებით, რაც ლოგიკით აღარ უნდა იყოს ასე. ადგილი უნდა დაეთმოს ერთიან სახელმწიფოებრივ გეგმას, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა არქიტექტურული პრობლემის გადაწყვეტისაკენ... ასეთი გეგმის უქონლობა ხსნის ჩვენი ქვეყნის ქალაქების უწესრიგო ზრდას და სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას... ჩვენი ქალაქგეგმარებითი პროექტები შეზღუდულია დრომოჭმული სოციალური სტრუქტურით, სადაც ინდივიდუალური ინტერესები სჭარბობენ საზოგადოებრივს. დღეს არქიტექტურა უნდა გახდეს საზოგადოების აქტიური ძალა“. [2]

აღბათ საჭირო იქნება ფიქრი, თუ რა სახე უდა მიიღოს კანონმა, რომ შემდგომ იგი არ გახდეს სახელმწიფოს მტერი და დამანგრეველი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ხელთ ის ბერკეტები, რომლებიც სწორი არქიტექტურული პოლიტიკის მეშვეობით შეძლებენ საზოგადოების გაჯანმრთელებას. ქალაქგეგმარებითი პრობლემის ჯანსაღი გადაწყვეტა უნდა გახდეს გასაღები სოციალური პრობლემის გადაწყვეტისას და გამჟღავნდეს არქიტექტურის სოციალური როლი.

ბიბლიოგრაფია

1. Ле Корбузье. "Архитектра XX века". Москва. Издательство прогресс. Прогресс 1977 г. Париж. 07.02.1955 г. стр. 271
2. Оскар Нимейер. "Архитектура и общество". Москва "Прогресс" 1975 г.

არქიტექტურა არის სინამდვილის შემეცნების სპეციფიკური ფორმა

მ. მელქაძე

*არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არქიტექტურული აზროვნება არის თუ არა კონკრეტული რეზოლუციებისა და დადგენილებების (მაგ. ნ.ს. ხრუმჩოვის განკარგულება "არქიტექტურული ზედმეტობების" შესახებ) სივრცე. თუ იგი არის თავისუფალი ადამიანის, პიროვნების თავისუფალი შემოქმედების შედეგი, როგორც იყო XX საუკუნის დიდი არქიტექტორების: ლე კორბუზიეს, ნიმეირის, რუსი ავანგარდისტების და სხვათა შემოქმედებაში.

The architecture is a specific form of knowledge of the validity

M. Melkadze

Georgian Technical University,

Faculty of architecture, urbanistics and design

Summary

The essence of the present paper is that architectural cogitation may be the result of the proper resolutions or voluntary decisions of the state officials, as N.S. Khrushchev's order "On Excessiveness in Architecture" or to be the display of free creator's thinking as it was in creative work of the greatest architects of the XXth century – Le Corbusier, Niemeyer, Russian avant-garde members or others.

Архитектура – это специфическая форма познания действительности

M. Melkadze

Грузинский Технический Университет,

Факультет архитектуры, урбанистики и дизайна

Резюме

Суть данной статьи в том, что архитектурное мышление может быть ли итогом конкретных резолюции и волевых установок государственных чинов, к примеру как указ Н.С. Хрущева об "Излишествах в архитектуре", или оно является изявлением полета архитектурной мысли свободного творца, как это было в творчестве великих архитекторов XX века, будь то Ле Корбузье, Нимейер, русские авангардисты или другие.

ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „განათლება“ რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალია. რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს (დადგენილება №3, 30.04.3008) და სტუ-ს აკადემიური საბჭოს (დადგენილება №5 „სადისერტაციო საბჭოს შესახებ“) მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხის თანახმად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მიეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ტექნიკურებს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ, ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მინიმუმ 150 სიტყვა) სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სრული სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური;
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen, AcadNusx შრიფტებით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა sylfaen, Times New Roman შრიფტებით;
- შრიფტის ზომა უნდა იყოს 12, ინტერვალი - 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.
- ნაშრომის მოცულობა ხუთ და ზოგ შემთხვევაში მეტ ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს წარმოადგენს;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის), სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვარდოდოდ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქალაქში;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია თავად ავტორი.